

დევნილთა დამოკიდებულების კვლევა  
მრძელვადიანი გადაწყვეტილებების შესახებ:  
საქართველოში იძულებით გადაადგილებულ  
პირთა მოსაზრებების გაშლერება

---





გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR), ივნისი 2015წ.

დოკუმენტი ექვემდებარება საყოველთაო გავრცელებას. საავტორო უფლებები დაცულია. ნებადართულია დოკუმენტის გამრავლება. არ დაიშვება მისი კომერციული მიზნებისთვის გამოყენება შესაბამისი წყაროს მითითების გარეშე.

გამოყენებული აღნიშვნები და ქვეყნისა თუ რეგიონის დასახელებები არ გამოხატავს UNHCR -ის რაიმე მოსაზრებას ქვეყნის ან რეგიონის დასახელების, მათი ადმინისტრაციული მმართველობის ან ადმინისტრაციული საზღვრების დადგენის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით.

*ფოტო გარეკანზე: ავარიულ მდგომარეობაში მყოფ კოლექტიურ ცენტრში მცხოვრები დევნილი ქვრივი ქალი, თბილისი  
(ფოტოგრაფი: ირაკლი პირველი)*

წინამდებარე დოკუმენტი ქვეყნდება ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებზე. ინგლისური ტექსტი წარმოადგენს დოკუმენტის ოფიციალურ ვერსიას.



INSTITUTE OF SOCIAL STUDIES AND ANALYSIS



დევენილთა დამოკიდებულების კვლევა  
ბრძელვადიანი გადაწყვეტილებების შესახებ:  
საქართველოში იძულებით გადაადგილებულ  
პირთა მოსაზრებების გაუღწერება

ივნისი, 2015

საქართველო



# სარჩევი

---

მოკლე მიმოხილვა .....	7
შესავალი .....	22
<b>1. მეთოდოლოგია .....</b>	<b>24</b>
1.1 სამიზნე ჯგუფები .....	25
1.2 კვლევის მეთოდოლოგია .....	26
<b>2. გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაცემები .....</b>	<b>29</b>
2.1 დევნილობამდე საცხოვრებელი ადგილი .....	29
2.2 ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილი .....	33
2.3 სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემები .....	36
2.4 ეკონომიკური მდგომარეობა .....	38
2.5 გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა მთავარი პრობლემები .....	44
<b>3. იძულებით გადაადგილებულ პირთა მოსაზრებები     გრძელვადიანი გადაწყვეტილებების შესახებ .....</b>	<b>45</b>
3.1 დემოგრაფიული მონაცემები და დამოკიდებულებები .....	48
<b>4. ინტეგრაცია .....</b>	<b>50</b>
4.1 დემოგრაფია და ინტეგრაცია .....	55
4.2 ინტეგრაციისთვის საჭირო პირობები .....	56
4.3 ამჟამინდელი საცხოვრებელი პირობები .....	62
4.4 საცხოვრებლის გრძელვადიანი გადაწყვეტა .....	64
4.5 საცხოვრებლის სასურველი გრძელვადიანი გადაწყვეტილება .....	65
<b>5. ახალ ადგილას განსახლება .....</b>	<b>68</b>
5.1 დემოგრაფია და ახალ ადგილას განსახლება .....	70
5.2 ახალ ადგილას განსახლების სასურველი გადაწყვეტილება .....	71
<b>6. ნებაყოფლობითი დაბრუნება .....</b>	<b>73</b>
6.1 მოსაზრებები ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ .....	75
6.2 დემოგრაფია და დაბრუნება .....	86
6.3 ნებაყოფლობით დაბრუნების პირობები .....	88
<b>მადლიერების გამოხატვა .....</b>	<b>98</b>
დანართი 1: დევნილთა დამოკიდებულების კვლევის კითხვარი .....	99
დანართი 2: ცხრილების საძიებელი .....	110
დანართი 3: დიაგრამების საძიებელი .....	113



# მოკლე მიმოხილვა

## შესავალი

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) დაკვეთით, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის (ISSA) მიერ ჩატარდა საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა კვლევა, რომლის მიზანი იყო იძულებით გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობით დაბრუნებასა და ალტერნატიულ გრძელვადიან გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით მათი მოსაზრებებისა და დამოკიდებულებების გაუღერება და შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირების ინფორმირება დასახული გეგმების შესახებ. კვლევის ფარგლებში სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა გამოკითხა ორიათას ერთი (2,001) იძულებით გადაადგილებული პირი 2014 წლის ოქტომბერ-დეკემბერში თბილისსა და საქართველოს ათ რეგიონში. კვლევა მოიცავს აფხაზეთის ყველა რაიონიდან და სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირს, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ სხვადასხვა საბინაო პირობებში, მათ შორის კოლექტიურ ცენტრებში, კოტეჯური ტიპის დასახლებებში და კერძო სახლებში.

საქართველოში ორიათას ერთმა (2,001) იძულებით გადაადგილებულმა პირმა ამ დოკუმენტის მკითხველს გაუზიარა მისწრაფებები, ფიქრები და გრძნობები თავისი მომავლის შესახებ. მრავალი მათგანისთვის ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო შინ დაბრუნებაზე, ინტეგრაციასა და ახალ ადგილას განსახლებაზე ფიქრის პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ჩატარება ტექნიკური სამუშაოა, კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების, მამაკაცებისა და ბავშვებისთვის ეს იყო ემოციური მოგზაურობა, რომელსაც ისინი 63 კითხვისაგან შემდგარ ექვსგვერდიან ინტერვიუს დროს ახდენდნენ. ბევრი ცრემლი დაიღვარა წარსულის მოგონებაში, თუმცა უკეთესი მომავლის იმედმაც გაიჟღერა. დევნილები ნდობით განიმსჭვალნენ გამოკითხვის პროცესისადმი. მათ გაგვიღეს ყველა კარი, გულები და გონება, რადგან სჯერათ, რომ კვლევის შედეგები მათ მომავალ ბედ-იღბალს ისეთ გზას მისცემს, როგორც ეს მათ სურვილებშია ასახული.

UNHCR-ის მიერ ამ კვლევის დაკვეთის მიზანი იყო საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების საკითხის შესახებ თეორიული მსჯელობების ნაცვლად, მოექცია იგი ადგილობრივი ინტეგრაციისა და ახალ ადგილას განსახლების გრძელვადიანი გადაწყვეტილებების ემპირიული კვლევის კონტექსტში. კვლევის შედეგები იძლევა მომავალი ქმედებების საფუძველს. UNHCR გვთავაზობს ამ დოკუმენტის განხილვას არა პოლიტიკურ ქრილში, არამედ ყურადღების გამახვილებას იმაზე, თუ რა სურთ სინამდვილეში დევნილებს. მათი სურვილები და დამოკიდებულება მრავალფეროვანია და ამდენად



მათზე რეაგირებაც მრავალმხრივი უნდა იყოს, რათა მოხდეს მათი კომპლექსური მოსაზრებების ჯეროვნად გათვალისწინება, რადგან ეს არის ის მამოძრავებელი ძალა, რომლის მეშვეობითაც იძულებით გადაადგილებულმა პირებმა უნდა მიაკვლიონ ყველაზე შესაფერის გრძელვადიან გადაწყვეტილებას.

კვლევის მიზანი საუკეთესოდ არის ჩამოყალიბებული შემდეგ ციტატაში:

„როდესაც კონფლიქტის შემდეგ მრავალი წელი გადის, ადამიანებს ყოველთვის უჭირთ გადაწყვეტილების მიღება დაბრუნდნენ თუ არა უკან ნებაყოფლობით. ეს არ არის კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადამიანისთვის იოლად მისაღები გადაწყვეტილება. ქვეყნის შიგნით თუ მის გარეთ გადაადგილებულ ადამიანებს, მუდამ სჭირდებათ ზუსტი ინფორმაციის ფლობა. მთავარ წინაპირობას ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად წარმოადგენს დევნილობამდე საცხოვრებელ ტერიტორიაზე დაუბრკოლებელი გადაადგილების შესაძლებლობის არსებობა. როდესაც ნებაყოფლობით დაბრუნებას განვიხილავთ, მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება ფაქტებსა და ადამიანთა საჭიროებებზე და არა თეორიულ მოსაზრებებსა და მითებზე. აგრეთვე მნიშვნელოვანია ყველას წუხილისა და პოტენციური შიშის გაგება, განსაკუთრებით დაზარალებული ადამიანების, და არა მხოლოდ მათი, ვინც გადაადგილებულია, არამედ იმ მასპინძელი საზოგადოებისაც, რომელშიც ზოგიერთი ადამიანი ნებაყოფლობით ისურვებდა დაბრუნებას.“

კვლევა დევნილთა დამოკიდებულების შესახებ სტანდარტული ინსტრუმენტია იმის შესაფასებლად, თუ ვინ აპირებს ნებაყოფლობით დაბრუნებას დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას და ვის სურს დარჩეს იქ, სადაც ამჟამად იმყოფება. კვლევა ასახავს თუ რა ინფორმაციას ფლობენ ან არ ფლობენ იძულებით გადაადგილებული პირები ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად. იგი აგრეთვე შეიცავს ინფორმაციას მათ შესახებ, ვინც თავს ინტეგრირებულად გრძნობს იქ, სადაც ამჟამად იმყოფებიან. რატომ ვიყენებთ ამ ინსტრუმენტს? პასუხი მარტივია; ჩვენ არ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება დევნილი ადამიანის მაგივრად იმის თაობაზე, თუ რა არის მათთვის საუკეთესო გადაწყვეტილება. იმედი მაქვს, რომ დევნილთა დამოკიდებულების კვლევა დაგვეხმარება ყური დავუგდოთ მათ ხმას და მოვისმინოთ მათი მოსაზრებები“.

*ვენსან კოშტელი,  
UNHCR-ის ევროპის რეგიონული ბიუროს დირექტორი,  
2015 წლის 18 მარტი*

ამ კვლევისა და ანგარიშის მეშვეობით, იძულებით გადაადგილებულმა პირებმა თქვეს თავისი სათქმელი. ახლა ჯერი ყველა დაინტერესებულ მხარეზეა მხარი დაუჭირონ გრძელვადიანი გადაწყვეტილებების რეალიზებას იმ პირთა მოსაზრებების გათვალისწინებით, რომელთა აზრის შესმენაც ადრე არ ხდებოდა.

## მეთოდოლოგია<sup>1</sup>

ის ფაქტი, რომ ეს კვლევა ჩატარდა, მისი მეთოდოლოგია, კვლევის ჩატარების ტექნიკა, შედეგების შეჯამება და მათი ანგარიშში წარმოდგენა ასახავს UNHCR-ის საერთაშორისოდ მიღებულ საუკეთესო გამოცდილების სტანდარტს. კვლევაში გამოყენებული იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები ინტერვიუს კითხვარის შესადგენად და კვლევის განსახორციელებლად. კითხვარის მომზადებისას შეიქმნა ფოკუს-ჯგუფები აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებული პირებისგან, რომელშიც მონაწილეობდნენ იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებით სტრატეგიული გადანაცვლების მიმღები უწყებები და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები. ფოკუს-ჯგუფების შეხვედრების შემდეგ, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა გამოსცადა კვლევის ინსტრუმენტი 20 საპილოტე ინტერვიუს ჩატარების საშუალებით, რომელთა საფუძველზეც მოხდა კითხვარის მცირედი ჩასწორება. კითხვარი საბოლოო სახით შეიცავდა 63<sup>2</sup> დახურულ და ნახევრად დახურულ კითხვას. კითხვარის საბოლოო სახით ჩამოყალიბების შემდეგ, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის ანალიტიკოსებმა და სავსე კოორდინატორებმა მოამზადეს ტრენინგ-ინტერვიუერები, რომლებმაც შემდგომ სხვა, დამატებითი ინტერვიუერები მოამზადეს შესაბამის რეგიონებში. პირისპირ ინტერვიუების ჩატარების შემდეგ, მონაცემები იქნა შეტანილი SPSS-ის (ვერსია 15) პროგრამაში და მოხდა მათი დამუშავება ანალიტიკური ანგარიშისთვის.


კვლევის დაგეგმვისა და ჩატარებისას, UNHCR და სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი ხელმძღვანელობდნენ UNHCR-ის გაიდლაინების სამუშაო ვარიანტით პირადი მონაცემების და ინფორმაციის დაცვის შესახებ<sup>3</sup> (2015) და 1990 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული გაიდლაინებით კომპიუტერული პირადი მონაცემების შესახებ. მართალია, გაეროს გენერალური ასამბლეის გაიდლაინები ძირითადად სახელმწიფოებთან მიმართებაში გამოიყენება, ისინი აგრეთვე ერთმნიშვნელოვნად შეეხება სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში, მათ შორის UNHCR-ში დაცულ პირად მო-

1. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „ნებაყოფლობითი დაბრუნება“ არ არის კითხვარში ასახული, ინტერვიუერებს ჩაუტარდათ სათანადო მომზადება და ინსტრუქტაჟი, რათა მათ აეხსნათ თითოეული გამოკითხული პირისთვის, რომ დაბრუნებასთან დაკავშირებული შეკითხვა მხოლოდ ნებაყოფლობით დაბრუნებას გულისხმობდა. მათ აგრეთვე განემარტათ თითოეული გრძელვადიანი გადანაცვლების (როგორცაა ინტეგრაცია, ახალ ადგილას განსახლება და ნებაყოფლობითი დაბრუნება) შინაარსი. UNHCR ახორციელებდა ინტერვიუების მონიტორინგს, რათა დარწმუნებულიყო ამ ცნებების მკაფიოდ და გასაგებად მიწოდებაში.
2. დახურულ შეკითხვებზე მოითხოვება „დიახ“ ან „არა“ პასუხები.
3. UNHCR-ის პოლიტიკა პირის პირადი მონაცემების დაცვის შესახებ (რომელმაც ჩაანაცვლა UNHCR-ის 2001 წლის გაიდლაინები კონფიდენციალურობის შესახებ), UNHCR-ის საერთაშორისო დაცვის დეპარტამენტი, მაისი, 2015წ.

ნაცემებს. გაიდლაინების მთავარი პრინციპებია კანონიერება და სამართლიანობა, სიზუსტე, დაინტერესებული პირის წვდომა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, განსახლდრული მიზნობრიობა, პროპორციულობა, პირადი მონაცემის მქონე სუბიექტის უფლების პატივისცემა, უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა, ანგარიშვალდებულება და მეთვალყურეობა.

## დემობრაფია

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მონოდებული ინფორმაციის მიხედვით, კვლევის ჩატარების პერიოდში იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა საქართველოში შეადგენდა 257,989-ს, აქედან 223,715 რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირი იყო აფხაზეთიდან და 34,274 – სამხრეთ ოსეთიდან.<sup>4</sup>



იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრაციის პერსპექტივებისა და დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას<sup>5</sup> ნებაყოფლობით დაბრუნების შესახებ მათი მოსაზრებების შესასწავლად შეიქმნა ოთხი სამიზნე ჯგუფი:

- ა) იძულებით გადაადგილებული პირები სამხრეთ ოსეთიდან;
- ბ) იძულებით გადაადგილებული პირები 2008 წლის კონფლიქტის დროს.


4. ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტს მიანოდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ 2014 წლის ოქტომბერში, კვლევის ჩატარების პერიოდში. 2015 წლის მდგომარეობით, საქართველოში რეგისტრირებული იყო 262,009 იძულებით გადაადგილებული პირი (საქართველოში UNHCR-ის მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირები, 2015 წ. იანვარი).

5. მთელ დოკუმენტში ტერმინი „დევნილობამდე საცხოვრებელი ადგილი“ მოიაზრებს პირის საცხოვრებელ ადგილს პირველ იძულებით გადაადგილებამდე.

- გ) იძულებით გადაადგილებული პირები გალის რაიონიდან, აფხაზეთი;<sup>6</sup>
- დ) იძულებით გადაადგილებული პირები აფხაზეთის სხვა რაიონებიდან;

იძულებით გადაადგილებულ პირთა სამიზნე ჯგუფები დევნილობამდე საცხოვრებელი ადგილებიდან რაიონული მონაცემების მიხედვით:

### დევნილობამდე საცხოვრებელი ადგილი



ასაკი	გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა სქესი		სულ
	მდედრობითი	მამრობითი	
16-24	4.9%	4.0%	8.9%
25-39	16.7%	11.1%	27.7%
40-59	25.7%	14.9%	40.6%
60+	15.3%	7.5%	22.8%
<b>სულ</b>	<b>62.6%</b>	<b>37.4%</b>	<b>100.0%</b>

რესპონდენტთა უმრავლესობის ასაკი გადაადგილების დროს იყო 25-39 ან 40-59 წელი. ეს ტენდენცია შეიმჩნევა ყველა სამიზნე ჯგუფში, გარდა იძულებით გადაადგილებული პირებისა გალიდან, სადაც რესპონდენტების უმეტესობა გადაადგილების დროს მცირეწლოვანი იყო (38.8%).

6. რადგან დროთა განმავლობაში აფხაზეთის რაიონების გეოგრაფიული დაყოფა შეიცვალა, წინამდებარე ანგარიშში გამოყენებული გეოგრაფიული დასახელება „გალი/გალის რაიონი“ შეესაბამება კვლევის ჩატარების პერიოდში არსებულ გეოგრაფიულ აღნიშვნას.


კვლევა მოიცავდა აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან სხვადასხვა დროს იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ კოლექტიურ ცენტრებში (მათ შორის პრივატიზირებულ, რეაბილიტირებულ და არარეაბილიტირებულ), კოტეჯური ტიპის დასახლებებში და კერძო ბინებში.

გადაადგილების შემდეგ, იძულებით გადაადგილებულმა პირებმა მოძებნეს სხვადასხვა ტიპის დროებითი საცხოვრებლები, სადაც ზოგ მათგანში დღესაც ცხოვრობენ, ოცი წლის შემდეგ, და ელიან საცხოვრებლით უზრუნველყოფის გრძელვადიან გადაწყვეტას. გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა 39.3% ცხოვრობს კერძო ბინებში.<sup>7</sup> მათგან 19.9% საკუთრებაში აქვს საცხოვრებელი, 9.7% ცხოვრობს ნათესავებთან, 4.4% ქირაობს და 2.8% შესახლებულია თვითნებურად. რესპონდენტთა 21.5% ცხოვრობს არარეაბილიტირებულ კოლექტიურ ცენტრებში, 16.7% რეაბილიტირებულ კოლექტიურ ცენტრებში, 11.4% კოტეჯური ტიპის დასახლებებში და 10.5% ძირითადად ბათუმისა და ფოთის ახალ აშენებულ ბინებში.

გამოკითხულთა 49% თბილისში ცხოვრობს, ხოლო თითქმის იგივე პროცენტული რაოდენობა ცხოვრობს სხვა ქალაქებში და 18% ცხოვრობს სოფლებში.

იძულებით გადაადგილებული პირები სამხრეთ ოსეთიდან უმეტესად თბილისში ცხოვრობენ, ისევე როგორც კოტეჯური ტიპის დასახლებებში შიდა ქართლში და მეზობელ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში. გამოკითხულ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა თითქმის ნახევარი დასახლებულია თბილისში და მესამედი – სამეგრელოს რეგიონში. იძულებით გადაადგილებულ პირთა ამ ჯგუფის წარმომადგენლობა ყველაზე მაღალია მთლიანად საქართველოს რეგიონებში.

### საცხოვრებლის ტიპი




7. სექტორული დიაგრამის მარჯვნივ მოცემულია კერძოდ განსახლებული იძულებით გადაადგილებულ პირთა პროცენტული განაწილება, რომლებიც ფლობენ საკუთრებას, ცხოვრობენ ნათესავებთან, ქირაობენ საცხოვრებელს, თვითნებურად არიან შესახლებული ან სხვა (39.3%).

## კვლევის შედეგები

რესპონდენტებს დაესვათ შეკითხვები იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სამი ძირითადი გრძელვადიანი გადაწყვეტილების არჩევანთან დაკავშირებით:

- **ნებაყოფლობითი დაბრუნება:** მდგრადი და ნებაყოფლობითი დაბრუნება დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას;
- **ინტეგრაცია:** მდგრადი ადგილობრივი ინტეგრაცია იმ ადგილებში, სადაც იძულებით გადაადგილებულმა პირებმა თავშესაფარი ჰპოვეს;<sup>8</sup>
- **ახალ ადგილას განსახლება:** მდგრადი ინტეგრაცია ქვეყნის სხვა ნაწილში (ჩასახლება ქვეყნის ნებისმიერ ნაწილში).

### იძულებით გადაადგილებულ პირთა დამოკიდებულება დაბრუნების, ინტეგრაციისა და ახალ ადგილას განსახლების მიმართ



8. განმარტებები ალბუღია უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომიტეტის (IASC) ჩარჩო დოკუმენტიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი გადაწყვეტილების შესახებ. ბრუკინგის ინსტიტუტი, აპრილი, 2010 წ.

## ინტეგრაცია


ტერმინი „ინტეგრაცია“ მოიაზრებს მდგრად ადგილობრივ ინტეგრაციას იმ ტერტიტორიაზე, სადაც იძულებით გადაადგილებულმა პირებმა მოიპოვეს თავშესაფარი და იგი განისაზღვრება უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომიტეტის (IASC) იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი გადანაცვლების შესახებ ჩარჩოს მიხედვით. „განსახლება“ ან „განსახლებული“ იძულებით გადაადგილებულ პირთა მოსაზრებაში და ადგილობრივ კონტექსტში ასოცირდება საცხოვრებლის საკუთრებაში ფლობასთან, რაც მხოლოდ ერთ, თუმცა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ინტეგრაციისთვის.

- ✓ რესპონდენტების უმრავლესობა (57.3%) თავს სრულიად ინტეგრირებულად გრძნობს, მესამედი (33.3%) – ნაწილობრივ ინტეგრირებულად, ხოლო 8.3% ფიქრობს, რომ არ არის ინტეგრირებული. სხვა სამიზნე ჯგუფებთან შედარებით, 2008 წელს იძულებით გადაადგილებული პირები ყველაზე ნაკლებად ინტეგრირებულები არიან მათ ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას.
- ✓ თბილისში და სხვა ქალაქებში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირებში აღინიშნება ინტეგრაციის უფრო მაღალი დონე, ვიდრე სოფლად მაცხოვრებელთა შორის. ეს ფაქტი მიანიშნებს იმაზე, რომ ქალაქებში უფრო მეტი ხელშეწყობა აქვს იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრაციას, ვიდრე სოფლებში.
- ✓ ინტეგრაციის დაბალი დონე მეტად აღინიშნება უფრო ასაკოვან რესპონდენტებს შორის, ვიდრე ახალგაზრდებში: რესპონდენტთა მხოლოდ 47.9%, რომლებიც არიან 60 წლის და ზევით, თავს სრულად ინტეგრირებულად თვლიან, ხოლო 16–24 წლის ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტების პროცენტული მაჩვენებელი, ვინც სრულად ინტეგრირებულად თვლის თავს, უდრის 70.6%-ს.
- ✓ იძულებით გადაადგილებული მდებარეობითი სქესის პირთა პასუხები მიუთითებენ, რომ ისინი ოდნავ მეტად არიან ინტეგრირებული (59.5%), ვიდრე მამრობითი სქესის რესპონდენტები (53.8%).
- ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახები, რომელთაც საშუალოდ უფრო მაღალი ყოველთვიური შემოსავალი აქვთ უფრო მეტად ინტეგრირებულნი არიან, ხოლო საშუალოდ უფრო დაბალი ყოველთვიური შემოსავლის მქონე ოჯახები თავს თვლიან მხოლოდ ნაწილობრივ ინტეგრირებულად ან არაინტეგრირებულად.
- ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთა თანახმად, სრული ინტეგრაცია შესაძ



ლებელია, თუ მათ პირველ რიგში ექნებათ საარსებო წყარო<sup>9</sup> (46.3%), სახლი/ ბინა კარგ მდგომარეობაში (20.4%), სამედიცინო მომსახურება (10.7%), და უსაფრთხოება (7.5%).

### მიიჩნევთ თუ არა თავს ადგილობრივად ინტეგრირებულად?



- ✓ ინტეგრაციასთან დაკავშირებით, იძულებით გადაადგილებულ პირთა ოთხივე ჯგუფმა ყველაზე ნაკლებ პრობლემატურად მიიჩნია დოკუმენტებზე წვდომა, უსაფრთხოება, საზოგადოებრივ საკითხებში მონაწილეობა, ადგილობრივ საზოგადოებასთან ადაპტაცია და პირადი კონტაქტების დამყარება (მეგობრები, ნაცნობები).
- ✓ ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას, გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა თანახმად, წარმოადგენს დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას მყოფი ოჯახის წევრების, ნათესავების, მეგობრების და ნაცნობების მონახულების საშუალების არქონა.
- ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების ნახევარს (50.9%) არ გააჩნია სახლი, ბინა ან მიწის ნაკვეთი საკუთრებაში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.


9. ამ კონტექსტში დასაქმება მიიჩნევა საარსებო წყაროს შემადგენელ ნაწილად. ზოგადად, „საარსებო წყარო, ისეთი საქმიანობის შედეგად მიიღება, რომელიც უზრუნველყოფს ძირითადი სასიცოცხლო საჭიროებებით, როგორც არის საკვები, წყალი, თავშესაფარი და ტანსაცმელი. საარსებო წყაროს ქონა გულისხმობს ცოდნის მიღების შესაძლებლობას, უნარებს, სოციალურ კავშირებს, ნედლეულს და სხვა რესურსებს, რაც აუცილებელია ინდივიდუალური და კოლექტიური საჭიროებების სტაბილურად და ღირსეულად დასაკმაყოფილებლად. საარსებო წყარო ჩვეულებრივ განმეორებადი ხასიათისაა, მაგალითად, სოფლის მეურნეობაში, მეცხოველეობაში, მეთევზეობაში, საბაზრო სექტორში დასაქმებით ან სამენარმეო საქმიანობით. იდეალურ შემთხვევაში, ადამიანები მუშაობენ საბაზრო ეკონომიკისთვის პროდუქციისა და მომსახურების მიწოდების ერთ ან მრავალ სფეროში, რაც ეფუძნება ფულად ანაზღაურებას ან ბარტერს. სამუშაო იძლევა მათი საკვებით უზრუნველყოფისა და თვითუზრუნველყოფის საფუძველს, ამასთან ერთად სტაბილურობას, აყვავებას და მშვიდობას მთლიანად საზოგადოებაში“. UNHCR-ის საარსებო წყაროს მოპოვების გლობალური სტრატეგია (2014-18), UNHCR-ის პროგრამის მხარდაჭერისა და მენეჯმენტის განყოფილება, 2014. შეგიძლიათ იხილოთ საიტზე: <http://www.unhcr.org/530f107b6.pdf>



## ახალ ადგილას განსახლება

- ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობას (57.1%) არ სურს ახალ ადგილას განსახლება, ხოლო 42.9%-ს აქვს ამის სურვილი. სამხრეთ ოსეთიდან 1990-იან წლებში იძულებით გადაადგილებულ პირებს, სხვა სამიზნე ჯგუფებთან შედარებით, სხვაგან განსახლების სურვილი ნაკლებად აქვთ.
- ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა, რომელთაც არ სურთ სხვაგან განსახლება, ყველაზე მაღალია თბილისში (72.6%). საქართველოს სხვა ქალაქებში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ რესპონდენტებს შორის დაახლოებით ნახევარს სურს სხვაგან განსახლება, აგრეთვე სოფლებში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობას (63.9%) აქვს სხვა ადგილას განსახლების სურვილი.


### თუ გსურთ ახალ ადგილას განსახლება, რომელ ვარიანტს მიანიჭებთ უპირატესობას?



- ✓ სხვაგან განსახლების მსურველ იძულებით გადაადგილებულ პირთა პროცენტული რაოდენობა შედარებით უფრო მაღალია 16-24 (51.7%) და 25-39 (50.6%) წლის ასაკობრივ ჯგუფებში და უფრო დაბალია 40-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში (41.8%) და განსაკუთრებით დაბალია 60 წლის ან ზევით ასაკობრივ ჯგუფში (32.1%).
- ✓ ერთ-ერთი ფაქტორი, რაც ზეგავლენას ახდენს სხვაგან განსახლების სურვილზე, არის ოჯახის შემოსავალი: იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯა-

ხებს, რომელთა საშუალო ყოველთვიური შემოსავალი უფრო დაბალია (417 ლარი), სავარაუდოდ უფრო მეტად აქვთ სხვაგან საცხოვრებლად გადასვლის სურვილი, ვიდრე ოჯახებს უფრო მაღალი საშუალო ყოველთვიური შემოსავლით (481 ლარი ან მეტი).


### სახელმწიფომ რომ შემოგთავაზოთ გრძელვადიანი საცხოვრებელი, რომელს მიაინიჭებთ უპირატესობას?



- ✓ რესპონდენტთა ნახევარი, ვისაც სურს საცხოვრებლად სხვაგან გადასვლა ამჯობინებს დიდ ქალაქში ცხოვრებას, ხოლო მეოთხედმა გამოთქვა რეგიონალურ ცენტრში ცხოვრების სურვილი. გალიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს ურჩევნიათ რეგიონალურ ცენტრში ცხოვრება (სახელდობრ ზუგდიდში, გალთან სიანლოვის გათვალისწინებით); ხოლო ყველა იძულებით გადაადგილებულ პირთა 14%-ს სურს სოფელში გადასვლა.
- ✓ მთავარი მიზეზები, რის გამოც იძულებით გადაადგილებულ პირებს სურთ სხვაგან გადასვლა არის: საარსებო წყარო (51.9%) და უკეთესი საცხოვრებელი პირობები (26.4%).

## ნებაყოფლობითი დაბრუნება

### გსურთ თუ არა სამუდამოდ დაუბრუნდეთ თქვენს დევენილობამდე საცხოვრებელ ადგილს?




✓ რესპონდენტთა მნიშვნელოვან უმრავლესობას სურს დევენილობამდე საცხოვრებელ ადგილას ნებაყოფლობით დაბრუნება. რესპონდენტებს შესთავაზეს პასუხის სავარაუდო ოთხი არჩევანი მათი ნებაყოფლობით დაბრუნების სურვილის შესაფასებლად:

- 1) ნამდვილად დავბრუნდები ნებაყოფლობით;
- 2) ალბათ დავბრუნდები ნებაყოფლობით;
- 3) ალბათ არ დავბრუნდები ნებაყოფლობით; და
- 4) არ დავბრუნდები ნებაყოფლობით.

მოცემულ შერჩევაში ნებაყოფლობით დაბრუნების მსურველთა რაოდენობა იძულებით გადაადგილებულ პირებს შორის არის 88.3%, ხოლო მხოლოდ 4%-ს ნამდვილად არ სურს ნებაყოფლობით დაბრუნება და 2.5% -მა არ იცის.

✓ 2.6%-მა აღნიშნა, რომ სურთ დაბრუნდნენ დევენილობამდე საცხოვრებელ ადგილზე ნებაყოფლობით, თუ იგი „შეინარჩუნებს ამჟამინდელ სტატუსს და არ იქნება აღიარებული მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების მიერ“ 2.6%-ში შედიან პირები დევენილობამდე ყველა საცხოვრებელი ადგილიდან .

## დაბრუნდებით თუ არა სამუდამოდ თქვენს დევნილობამდე საცხოვრებელ რეგიონში იმ შემთხვევაში, თუ ის ...



- ✓ რესპონდენტთა 42.8% არ თვლის, რომ ნებაყოფლობით დაბრუნება შესაძლებელია უახლოესი 10 წლის განმავლობაში.
- ✓ იძულებით გადაადგილებულმა პირებმა აფხაზეთიდან (გალის გარდა) ყველაზე დიდი სურვილი გამოთქვეს ნებაყოფლობით ნამდვილად დაბრუნების შესახებ (80.7%), ხოლო 1990-იან წლებში სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს შორის ეს სურვილი შედარებით ნაკლებ ადამიანს გააჩნია (55.1%). არჩევანი „ნამდვილად დაბრუნდები ნებაყოფლობით“ აგრეთვე გაიზიარა გალიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა 70%-მა და მათ, ვინც გადაადგილდნენ 2008 წელს.
- ✓ რესპონდენტთა 91.5% ნებაყოფლობით დაბრუნებას განიხილავს როგორც ერთ-ერთ არჩევანს, თუ მოხდება აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის საქართველოსთან რეინტეგრაცია, ხოლო 12.3% სურს ნებაყოფლობით დაბრუნება აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში იმ შემთხვევაშიც, თუ მსოფლიოს უმეტესი ქვეყნები, საქართველოს ჩათვლით, აღიარებენ მათ დამოუკიდებლობას.
- ✓ ნებაყოფლობით დაბრუნების სურვილის თანაფარდობა ასაკთან: 16-24 და 25-39 წლის ასაკობრივ ჯგუფში შემავალი რესპონდენტები ნაკლებად აფიქსირებენ შემდეგ პოზიციას „ნამდვილად დაბრუნდები ნებაყოფლობით“ (58.9% და 66.7% შესაბამისად), იძულებით გადაადგილებულ პირთა უფრო ასაკოვან თაობასთან შედარებით (60 წლის და ზევით ასაკობრივ ჯგუფში შემავალი რესპონდენტების 78.4% მტკიცედ გამოხატავს ნებაყოფლობითი დაბრუნების სურვილს).

- ✓ უფრო მეტმა მამრობითი სქესის რესპონდენტმა (76.9%) უპასუხა დადებითად შეკითხვას ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ, ვიდრე მდედრობითი სქესის რესპონდენტმა (70.1%).
- ✓ დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას ქონების დაკარგვა ნებაყოფლობით დაბრუნების სურვილის არქონის მიზეზთა ჩამონათვალში პირველ მიზეზად დასახელდა (62.4%).
- ✓ ოთხივე სამიზნე ჯგუფში ნებაყოფლობით დაბრუნების სურვილის მთავარ მიზეზებად დასახელდა შემდეგი: 1.) „მსურს ნებაყოფლობით დაბრუნება, დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილთან, ემოციური კავშირის გამო“ (30.9%); 2.) „მსურს ნებაყოფლობით დაბრუნება, რადგან იქ ჩემი სახლი და ქონებაა“ (28.7%); 3.) „მსურს ნებაყოფლობით დაბრუნება, რადგან იქ ჩემი ნათესავების საფლავებია“ (26%).


ნებაყოფლობით დაბრუნების სურვილის პრიორიტეტული მიზეზები

რა არის მთავარი მიზეზი, რის გამოც გსურთ დაბრუნება?	სულ	2008 წელს გადაადგილებული	სამხრეთ ოსეთი	აფხაზეთი		
				აფხაზეთი (გალის გარდა)	გალის რაიონი	სულ აფხაზეთი
ემოციური კავშირი ჩემს დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილთან	71.9%	77.3%	77.5%	67.5%	66.5%	67.0%
ჩემი სახლი და საკუთრება იქ არის	66.9%	70.3%	63.0%	68.1%	65.5%	66.8%
იქ ჩემი ნათესავების საფლავებია	60.6%	69.1%	64.9%	59.7%	49.7%	54.7%
ჩემი ოჯახი და ნათესავები იქ იმყოფებიან	19.4%	12.7%	8.4%	16.6%	38.1%	27.3%
სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობები	12.4%	24.4%	6.1%	11.0%	7.4%	9.2%
სხვა	0.3%	0.5%	0.4%	-	0.2%	0.1%
არ ვიცი	1.5%	0.5%	1.5%	1.9%	2.1%	2.0%

- ✓ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი ფიქრობს, რომ შეძლებენ ნებაყოფლობით სამუდამოდ დაბრუნებას დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას. ამგვარ პოზიციას შედარებით ნაკლებად იზიარებენ დევნილები გალიდან.
- ✓ რესპონდენტთა უმრავლესობა (70.7%) აცხადებს, რომ მათი ოჯახის წევრები იზიარებენ მათ დამოკიდებულებას ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ.
- ✓ ნებაყოფლობითი დაბრუნების წინაპირობებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია უსაფრთხოება (19%) და საარსებო წყარო (13%), ამის შემდგომ სახელდება საკუთარ სახლში/ბინაში ნებაყოფლობით დაბრუნება (12.9%) და სამოქალაქო უფლებების დაცვა (12.7%).

- ✓ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დევნილობამდე საცხოვრებელი ადგილი მონიახულა რესპონდენტთა 21.4% -მა.
- ✓ რესპონდენტთა უმრავლესობას (81.8%) აქვს დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების სურვილი უსაფრთხოების გარანტიის არსებობის შემთხვევაში.
- ✓ რესპონდენტთა 44.8%-ს აქვს კონტაქტი დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე მცხოვრებ მოსახლეობასთან. იძულებით გადაადგილებულ პირებს გალიდან და 2008 წელს გადაადგილებულ პირებს შედარებით მეტი კონტაქტი აქვთ დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას მცხოვრებ მოსახლეობასთან, ვიდრე სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან (გალის გარდა) 1990-იან წლებში იძულებით გადაადგილებულ პირებს.

### თუ განიხილავთ დაბრუნებას დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას, რა პირობების დაკმაყოფილება იქნება თქვენთვის მნიშვნელოვანი?



## შესავალი

UNHCR-ის დაკვეთით, **სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის (ISSA)** მიერ ჩატარდა საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა კვლევა, რომლის მიზანი იყო იძულებით გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობით დაბრუნებასა და ალტერნატიულ გრძელვადიან გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით მათი მოსაზრებებისა და დამოკიდებულებების გააზრება და შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირების ინფორმირება დასახული გეგმების შესახებ. კვლევის ფარგლებში სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა გამოკითხა ორიათას ერთი (2,001) იძულებით გადაადგილებული პირი 2014 წლის ოქტომბერ-დეკემბერში თბილისსა და საქართველოს ათ რეგიონში. კვლევა მოიცავს აფხაზეთის ყველა რაიონიდან და სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირს, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ სხვადასხვა საბინაო პირობებში, მათ შორის კოლექტიურ ცენტრებში, კოტეჯური ტიპის დასახლებებში და კერძო სახლებში.

საქართველოში ორიათას ერთმა (2,001) იძულებით გადაადგილებულმა პირმა ამ დოკუმენტის მკითხველს გაუზიარა მისწრაფებები, ფიქრები და გრძნობები თავისი მომავლის შესახებ. მრავალი მათგანისთვის ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო შინ დაბრუნებაზე, ინტეგრაციასა და ახალ ადგილას განსახლებაზე ფიქრის პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ჩატარება ტექნიკური სამუშაოა, კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების, მამაკაცებისა და ბავშვებისთვის ეს იყო ემოციური მოგზაურობა, რომელსაც ისინი 63 კითხვისაგან შემდგარ ექვსგვერდიან ინტერვიუს დროს ახდენდნენ. ბევრი ცრემლი დაიღვარა წარსულის მოგონებაში, თუმცა უკეთესი მომავლის იმედმაც გაიჟღერა. დევნილები ნდობით განიმსჭვალნენ გამოკითხვის პროცესისადმი. მათ გაგვიღეს ყველა კარი, გულები და გონება, რადგან სჯერათ, რომ კვლევის შედეგები მათ მომავალ ბედ-იღბალს ისეთ გზას მისცემს, როგორც ეს მათ სურვილებშია ასახული.

UNHCR-ის მიერ ამ კვლევის დაკვეთის მიზანი იყო საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების საკითხის შესახებ თეორიული მსჯელობების ნაცვლად, მოექცია იგი ადგილობრივი ინტეგრაციისა და ახალ ადგილას განსახლების გრძელვადიანი გადაწყვეტილებების ემპირიული კვლევის კონტექსტში. კვლევის შედეგები იძლევა მომავალი ქმედებების საფუძველს. UNHCR გვთავაზობს ამ დოკუმენტის განხილვას არა პოლიტიკურ ჩრილობაში, არამედ ყურადღების გამახვილებას იმაზე, თუ რა სურთ სინამდვილეში დევნილებს. მათი სურვილები და დამოკიდებულება მრავალფეროვანია და ამდენად მათზე რეაგირებაც მრავალმხრივი უნდა იყოს, რათა მოხდეს მათი კომპლექსური მოსაზრებების ჯეროვნად გათვალისწინება, რადგან ეს არის ის მამოძრავებელი ძალა, რომლის მეშვეობითაც იძულებით გადაადგილებულმა პირებმა უნდა მიაკვლიონ ყველაზე შესაფერის გრძელვადიან გადაწყვეტილებას.



კვლევის მიზანი საუკეთესოდ არის ჩამოყალიბებული შემდეგ ციტატაში:

„როდესაც კონფლიქტის შემდეგ მრავალი წელი გადის, ადამიანებს ყოველთვის უჭირთ გადაწყვეტილების მიღება, დაბრუნდნენ თუ არა უკან ნებაყოფლობით. ეს არ არის კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადამიანისთვის იოლად მისაღები გადაწყვეტილება. ქვეყნის შიგნით თუ მის გარეთ გადაადგილებულ ადამიანებს, მუდამ სჭირდებათ ზუსტი ინფორმაციის ფლობა. მთავარ წინაპირობას ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად წარმოადგენს დევნილობამდე საცხოვრებელ ტერიტორიაზე დაუბრკოლებელი გადაადგილების შესაძლებლობის არსებობა. როდესაც ნებაყოფლობით დაბრუნებას განვიხილავთ, მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება ფაქტებსა და ადამიანთა საჭიროებებზე და არა თეორიულ მოსაზრებებსა და მითებზე. აგრეთვე, მნიშვნელოვანია ყველას წუხილისა და პოტენციური შიშის გაგება, განსაკუთრებით დაზარალებული ადამიანების, და არა მხოლოდ მათი, ვინც გადაადგილებულია, არამედ იმ მასპინძელი საზოგადოებისაც, რომელშიც ზოგიერთი ადამიანი ნებაყოფლობით ისურვებდა დაბრუნებას.“

კვლევა დევნილთა დამოკიდებულების შესახებ სტანდარტული ინსტრუმენტია იმის შესაფასებლად, თუ ვინ აპირებს ნებაყოფლობით დაბრუნებას დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას და ვის სურს დარჩეს იქ, სადაც ამჟამად იმყოფება. კვლევა ასახავს, თუ რა ინფორმაციას ფლობენ, ან არ ფლობენ იძულებით გადაადგილებული პირები ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად. იგი აგრეთვე შეიცავს ინფორმაციას მათ შესახებ, ვინც თავს ინტეგრირებულად გრძნობს იქ, სადაც ამჟამად იმყოფებიან. რატომ ვიყენებთ ამ ინსტრუმენტს? პასუხი მარტივია; ჩვენ არ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება დევნილი ადამიანის მაგივრად იმის თაობაზე, თუ რა არის მათთვის საუკეთესო გადაწყვეტილება. იმედი მაქვს, რომ დევნილთა დამოკიდებულების კვლევა დაგვეხმარება ყური დავუგდოთ მათ ხმას და მოვისმინოთ მათი მოსაზრებები“.

*ვენსან კოშტელი,  
UNHCR-ის ევროპის რეგიონული ბიუროს დირექტორი,  
2015 წლის 18 მარტი*

ამ კვლევისა და ანგარიშის მეშვეობით, იძულებით გადაადგილებულმა პირებმა თქვეს თავისი სათქმელი. ახლა ჯერი ყველა დაინტერესებულ მხარეზეა მხარი დაუჭირონ გრძელვადიანი გადაწყვეტილებების რეალიზებას იმ პირთა მოსაზრებების გათვალისწინებით, რომელთა აზრის შესმენაც ადრე არ ხდებოდა.



# 1. მეთოდოლოგია

UNHCR-ის დაკვეთით საქართველოში დევნილთა დამოკიდებულების შესახებ კვლევის ჩატარების მიზანი იყო იძულებით გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობით დაბრუნებასა და ალტერნატიული გრძელვადიანი გადაწყვეტილებების შესახებ მათი მოსაზრებებისა და სურვილების გააზრება და დაშესაბამისი კომპეტენციის მქონე პირების ინფორმირება დასახული გეგმების შესახებ. თვით კვლევის ჩატარების ფაქტი, მეთოდოლოგია, კვლევის ჩატარების ტექნიკა, შედეგების შეჯამება და მათი ანგარიშში წარმოდგენა ასახავს UNHCR-ის საუკეთესო გამოცდილების საერთაშორისო სტანდარტს. კვლევა ჩატარდა **სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის (ISSA) მიერ 2014 წლის ოქტომბრიდან დეკემბრამდე**.

კვლევის დაგეგმვისა და ჩატარებისას, UNHCR და სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი ხელმძღვანელობდნენ UNHCR-ის გაიდლაინების სამუშაო ვარიანტით პირადი მონაცემების და ინფორმაციის დაცვის შესახებ (2015) და 1990 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული გაიდლაინებით კომპიუტერული პირადი მონაცემების შესახებ. მართალია, გაეროს გენერალური ასამბლეის გაიდლაინები ძირითადად სახელმწიფოებთან მიმართებაში გამოიყენება, ისინი აგრეთვე ერთმნიშვნელოვნად შეეხება სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში, მათ შორის UNHCR-ში დაცულ პირად მონაცემებს. გაიდლაინების მთავარი პრინციპებია კანონიერება და სამართლიანობა, სიზუსტე, დაინტერესებული პირის წვდომა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, განსაზღვრული მიზნობრიობა, პროპორციულობა, პირადი მონაცემის მქონე სუბიექტის უფლების პატივისცემა, უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა, ანგარიშვალდებულება და მეთვალყურეობა.<sup>1</sup>

კვლევის **მთავარ მიზანს** წარმოადგენდა სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების ან გრძელვადიანი გადაწყვეტილების სხვა ფორმების შესახებ მათი დამოკიდებულების, რაოდენობრივი მონაცემებისა და თვისებრივი ინფორმაციის შექმნა და ანალიზი. კვლევის შედეგების მიზანია, დაეხმაროს დაინტერესებულ მხარეებს საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი გადაწყვეტილების პროგრესის განსაზღვრაში და ხელი შეუწყოს გრძელვადიანი გადაწყვეტილებების სტრატეგიის განხორციელებას.

<sup>1</sup> UNHCR-ის პოლიტიკა მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირების პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ (რომელმაც ჩაანაცვლა UNHCR-ის 2001 წლის გაიდლაინები კონფიდენციალურობის შესახებ), UNHCR-ის საერთაშორისო დაცვის დეპარტამენტი, მაისი, 2015წ.

## 1.1. სამიზნე ჯგუფები

იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრაციის პერსპექტივებისა და დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე ნებაყოფლობით დაბრუნების შესახებ მათი მოსაზრებების გასაგებად შესწავლილი იქნა შემდეგი სამიზნე ჯგუფები:

- ა) იძულებით გადაადგილებული პირები სამხრეთ ოსეთიდან;
- ბ) იძულებით გადაადგილებული პირები 2008 წლის კონფლიქტის დროს;
- გ) იძულებით გადაადგილებული პირები გალის რაიონიდან, აფხაზეთი;<sup>2</sup>
- დ) იძულებით გადაადგილებული პირები აფხაზეთის სხვა რაიონებიდან.

კვლევა მოიცავდა კოლექტიურ ცენტრებში (მათ შორის პრივატიზებულ, ახლად აშენებულ, რეაბილიტირებულ და არარეაბილიტირებულ კოლექტიური ცენტრებში), კოტეჯური ტიპის დასახლებებში მცხოვრებ და კერძოდ განსახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირებს. ასევე, იქნა შესწავლილი აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან სხვადასხვა დროს იძულებით გადაადგილებულ პირთა მოსაზრებები.

### შერჩევის მოდელი

კვლევაში გამოყენებული *შერჩევის სიდიდე* უდრიდა 2,001 (ორი ათას ერთი) რესპონდენტს და წარმოადგენს საქართველოში ყველა იძულებით გადაადგილებულ პირს დევნილობამდე და ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით, საქართველოს რაიონებისა და საცხოვრებლის ტიპის მიხედვით. ინტერვიუში მონაწილე იძულებით გადაადგილებული პირებისა და მათი ადგილსამყოფელის დასადგენად, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა გამოითხოვა საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების ამჟამინდელი მისამართების სია ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან. იძულებით გადაადგილებულ პირთა შესარჩევად მონაცემთა ბაზის საფუძველზე მომზადდა პირველადი შერჩევის ჩარჩო.

შერჩევის პირველად ერთეულში მოხდა იძულებით გადაადგილებულ პირთა განაწილება რეგიონებისა და საცხოვრებლის ტიპის მიხედვით (კოლექტიური ცენტრები, კოტეჯური ტიპის დასახლებები, კერძო საცხოვრებელი) და მათი დახარისხება ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მონოდეტული მონაცემების მიხედვით. შერჩევის მეორეადი ერთეულია იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახები; ოჯახები შეირჩენ შემთხვევითი წესით. შერჩევის საბოლოო ერთეულში პირთა შერჩევა მოხდა ოჯახებში კიშის ცხრილის გამოყენებით<sup>3</sup>, რაც იძ-

2 რადგან აფხაზეთის რაიონების გეოგრაფიული დაყოფა დროთა განმავლობაში შეიცვალა, წინამდებარე ანგარიშში გამოყენებული გეოგრაფიული დასახლება „გალი/გალის რაიონი“ შეესაბამება კვლევის ჩატარების პერიოდში არსებულ გეოგრაფიულ აღნიშვნას.

3 ეს ტექნიკა გულისხმობს შესაფერის პირთა სიის შედგენას კონკრეტულ მისამართზე, ასაკობრივ ჯგუფებად დაყოფას და შემდგომ თვით მისამართის სერიული ნომრის მიხედვით შერჩევას. სისტემა შექმნილია იმგვარად, რომ ოჯახის ყველა წევრს აქვს შერჩევაში მოხვედრის თანაბარი შანსი. (ლ. კიში, „რესპონდენტთა ობიექტური შერჩევის პროცედურა შინამეურნეობაში“, ამერიკის სტატისტიკური ასოციაციის ჟურნალი, 19496).

ლეოდა ასაკისა და სქესის მიხედვით შემთხვევითი შერჩევის საშუალებას. გამოსაკითხი რესპონდენტები იყვნენ ის პირები, რომლებიც მოხვდნენ საბოლოო შერჩევის შედეგად მიღებულ სიებში.

კვლევის ცდომილება მთლიანი შერჩევისთვის უდრის 2.2%-ს 95%-იანი სანდოობის მიხედვით. თითოეულ ქვეჯგუფში შერჩევის საშუალო ცდომილებაა 4.5%.

ცხრილი № 1.1ა გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა და ცდომილება

სამიზნე ჯგუფები	ინტერვიუების რაოდენობა	ცდომილება (95%-იანი სანდოობის მიხედვით)
იძულებით გადაადგილებული პირები აფხაზეთიდან (გალის გარდა)	684	3.7%
იძულებით გადაადგილებული პირები გალის რაიონიდან	521	4.2%
აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა საერთო რაოდენობა	1,205	2.8% <sup>4</sup>
2008 წლის კონფლიქტის დროს იძულებით გადაადგილებული პირები	455	4.6%
იძულებით გადაადგილებული პირები სამხრეთ ოსეთიდან (1990-იან წლებში გადაადგილებულნი)	341	5.3%
სულ	2,001	2.2%

## 1.2 კვლევის მეთოდოლოგია

ინტერვიუს კითხვარის შესამუშავებლად და კვლევის ჩატარებისას გამოყენებული იყო თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები.

### კითხვარი და შერჩევის მოდელი

კითხვარის შესამუშავებლად და ინტერვიუს შემდგომ ინტერვიუებთან შეხვედრებზე გამოყენებული იყო თვისებრივი კვლევის მეთოდი. კითხვარის მოსამზადებლად ჩატარდა დისკუსიები ოთხ ფოკუს ჯგუფში იძულებით გადაადგილებულ პირთა მოსაზრებებზე ძირითადი ზემოქმედების ფაქტორების დასადგენად შემდეგ პირთა მონაწილეობით:

1. ერთი ფოკუს ჯგუფი აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებთან;
2. ერთი ფოკუს ჯგუფი სამხრეთ ოსეთიდან და შიდა ქართლიდან 2008 წელს იძულებით გადაადგილებულ პირებთან;

4 ამ ჯგუფისთვის ცდომილება ნაკლებია და იგი წარმოდგენილი იქნება მონაცემთა შედეგებში, გალისა და აფხაზეთის სხვა რაიონების რესპონდენტების შედეგებთან ერთად.

3. ერთი ფოკუს ჯგუფი იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული სტრატეგიული გადამწყვეტილების მიმღებებთან: თემის ლიდერები და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.
4. ერთი ფოკუს ჯგუფი იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

რვა-ცხრა ადამიანისგან შემდგარი თითოეული ფოკუს ჯგუფის შეხვედრა საათ-ნახევრიდან ორ საათამდე გრძელდებოდა. დისკუსიის წარმართვის ინსტრუქციები შემუშავდა სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის ანალიტიკოსების მიერ. გაკეთდა ფოკუს ჯგუფის ჩანაწერის გაშიფვრა და ანალიზი, კითხვარის სტრუქტურისთვის გაზომვადი ინდიკატორების დასადგენად.

ჩატარდა ინტერვიუს შემდგომი შეხვედრები თბილისსა და საქართველოს ათ რეგიონში მომუშავე ინტერვიუებთან, რათა განეხილათ იძულებით გადაადგილებული პირების მიერ კითხვარის აღქმასთან დაკავშირებით მათი დაკვირვებები, მოესმინათ მათი პირადი ისტორიები და ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ სხვა შესაბამისი ინფორმაცია, რასაც კითხვარი არ მოიცავდა. ეს შედეგები ამ კვლევის თვისებრივ ნაწილს შეადგენს და ინტერვიუერთა მიერ პროცესზე დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემები შესულია მთლიან ანგარიშში.

### საველე სამუშაოს მომზადება

ფოკუს ჯგუფების შეხვედრების შემდეგ, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა გამოსცადა კვლევის ინსტრუმენტი 20 საპილოტე ინტერვიუს ჩატარების საშუალებით, რომლის საფუძველზეც კითხვარში მცირედი შესწორებები შევიდა. კითხვარის საბოლოო ვერსია შედგებოდა 63 დახურული<sup>5</sup> და ნახევრად დახურული შეკითხვისგან. კითხვარის საბოლოო სახით ჩამოყალიბების შემდეგ, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის ანალიტიკოსებმა სათანადო მომზადება ჩატარეს უფროს ინტერვიუებზე, რომლებმაც, თავის მხრივ, მოამზადეს დამატებითი ინტერვიუები შესაბამის რეგიონებში 2014 წლის ოქტომბერში.

### საველე სამუშაო

რაოდენობრივი კვლევა განხორციელდა პირისპირ ინტერვიუების საშუალებით. გამოიკითხა 2001 იძულებით გადაადგილებული რესპონდენტი ოთხ სამიზნე ჯგუფში, მათი დევნილობამდე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თბილისსა და საქართველოს ათ რეგიონში სულ 56 ინტერვიუერი მუშაობდა უფროსი ინტერვიუების ხელმძღვანელობით. ინტერვიუები ჩატარდა 2014 წლის 17 ნოემბრიდან 5 დეკემბრამდე. თითოეულ რეგიონს ჰყავდა ერთი ზედამხედველი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ტრენინგზე და ხელმძღვანელობდა ერთიდან ცხრამეტამდე ინტერვიუერს. თითოეულმა ინტერვიუერმა ჩაატარა ცხრიდან 46 ინტერვიუმიდე. საველე კონტროლი

5 დახურულ შეკითხვებზე მოითხოვება დასმულ შეკითხვაზე სასურველი პასუხის შერჩევა პასუხთა შეთავაზებული ვარიანტებიდან.

ხორციელდებოდა საველე სამუშაოს პარალელურად. ინტერვიუერთა 10%-მა გაიარა საველე შემონმება (200 ინტერვიუ) მონაცემთა შედეგების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად. UNHCR -ის სამართლებრივი დაცვის თანამშრომლები ინტერვიუს მსვლელობის მონიტორინგის ჩასატარებლად და საჭიროებისამებრ ინტერვიუერთა შემდგომი ტრენინგის მიზნით ჩადიოდნენ საველე სამუშაოების ადგილზე.

ცხრილი № 1.2ა გამოკითხვის ადგილი: ინტერვიუების რაოდენობა თითოეულ რეგიონში

რეგიონი	სულ ინტერვიუების რაოდენობა
თბილისი	799
სამეგრელო-ზემო სვანეთი	514
შიდა ქართლი	209
მცხეთა-მთიანეთი	117
ქვემო ქართლი	117
იმერეთი	113
აჭარა	51
კახეთი	21
რაჭა-ლეჩხუმი – ქვემო სვანეთი	20
გურია	20
სამცხე-ჯავახეთი	20
<b>სულ</b>	<b>2,001</b>

### მონაცემების დამუშავება და ანალიზი

გამოკითხვის ფარგლებში სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის სტატისტიკის სპეციალისტებმა შეიმუშავეს მონაცემთა SPSS პროგრამაში შეყვანის მატრიცა. მონაცემთა შეტანის შემდგომ მონაცემთა მთლიანი ბაზა გაინმინდა, კვლევის მონაცემები გაანალიზდა და დამუშავდა SPSS (ვერსია 15) პროგრამაში, სადაც გამოყენებული იქნა როგორც აღწერიითი ისე ანალიტიკური სტატისტიკა<sup>6</sup>. საბოლოო ეტაპზე შედგა ანალიტიკური ანგარიში. ანგარიში მოცემული ცხრილებისა და დიაგრამების უმეტესობა 2,001-ვე იძულებით გადაადგილებული პირის პასუხებს შეიცავს, თუმცა, ზოგიერთი შეკითხვა დაესვა მხოლოდ იმ შედარებით მცირე ჯგუფს, რომელმაც დადებითად უპასუხა წინა კითხვას. ასეთ შემთხვევებში, რესპონდენტთა რაოდენობა აღინიშნება როგორც, მაგალითად „N=908“ რესპონდენტები, ყველა სხვა ცხრილსა და დიაგრამაში მთლიანი რაოდენობა აღინიშნება როგორც „N=2,001“ ან „იძულებით გადაადგილებულ პირთა საერთო რაოდენობა“.

მონაცემთა ანალიზის დონეზე განხორციელდა **მონაცემების შენონვა**. შენონვის კოეფიციენტები ასეთი იყო: იძულებით გადაადგილებული პირები აფხაზეთიდან (გალის გარდა) - 1.10092, იძულებით გადაადგილებული პირები გალიდან - 1.42045, იძულებით გადაადგილებული პირები 2008 წლის კონფლიქტის დროს - 0.73699, იძულებით გადაადგილებული პირები სამხრეთ ოსეთიდან - 0.97889.

6 აღწერიითი სტატისტიკა ანალიზში წარმოადგენს ყველა რესპონდენტისგან მიღებულ ზოგად შედეგებს (იძულებით გადაადგილებული პირთა (იგპ) საერთო რაოდენობა). ანალიტიკური სტატისტიკა აჩვენებს სამიზნე ჯგუფებს შორის კორელაციას და გამოიყენება შესადარებლად.

“სტატისტიკაში შენონვა გამოიყენება არაპროპორციული შერჩევის ზომის კორექტირებისათვის და ახდენს შეგროვებული მონაცემების მონესრიგებას ისე, რომ ისინი წარმოადგენდნენ იმ მოსახლეობას, რომლის საფუძველზეც გაკეთდა შერჩევა“. (<http://en.statistik-tutorial.de/tutorials/weighting-spss.html>).

## 2. გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაცემები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, კვლევის ჩატარების პერიოდში იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა საქართველოში შეადგენდა 257,989-ს, აქედან 223,715 რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირი იყო აფხაზეთიდან და 34,274 – სამხრეთ ოსეთიდან.<sup>7</sup>

### 2.1 დევნილობამდე საცხოვრებელი ადგილი<sup>8</sup>

კვლევის ფარგლებში სულ გამოიკითხა 2,001 იძულებით გადაადგილებული პირი. მიღებული მონაცემები მთელ ანგარიშში აღწერს არა მხოლოდ იძულებით გადაადგილებულ პირთა მთელ რაოდენობას, არამედ ასახავს თითოეულ სამიზნე ჯგუფს. სამიზნე ჯგუფების განაწილება იხილეთ დიაგრამებში № 2.1ა და 2.1ბ ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა თითოეულ სამიზნე ჯგუფში ასეთია:

1. იძულებით გადაადგილებული პირები გალის რაიონიდან, აფხაზეთი, 521 რესპონდენტი;
2. იძულებით გადაადგილებული პირები აფხაზეთიდან (გალის გარდა) 684 რესპონდენტი (მათ რიცხვში შედიან იძულებით გადაადგილებული პირები გულრიფშიდან, გაგრიდან, სოხუმიდან, გუდაუთადან, ოჩამჩირედან, ტყვარჩელიდან და კოდორის ხეობიდან);

7 ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტს მიანოდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ 2014 წლის ოქტომბერში, კვლევის ჩატარების პერიოდში. 2015 წლის იანვრის მდგომარეობით, საქართველოში რეგისტრირებული იყო 262,009 იძულებით გადაადგილებული პირი (საქართველოში UNHCR-ის მზრუნველობის ქვეშ მყოფი მოსახლეობა, 2015 წ. იანვარი).


8 მთელ დოკუმენტში „დევნილობამდე საცხოვრებელი ადგილი“ ეხება საცხოვრებელ ადგილს პირველ იძულებით გადაადგილებამდე.



აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ გამოკითხულ პირთა საერთო რაოდენობაა: 1,205.

**დევნილთა სამიზნე ჯგუფები**

დიაგრამა № 2.1ა




3. იძულებით გადაადგილებული პირები სამხრეთ ოსეთიდან, 341 რესპონდენტი (მათ რიცხვშია იძულებით გადაადგილებული პირები ცხინვალიდან, ჯავადან, ზნაურიდან, ახალგორიდან და შიდა ქართლიდან);

4. 2008 წლის კონფლიქტის დროს იძულებით გადაადგილებული პირები, 455 რესპონდენტი (მათ შორის იძულებით გადაადგილებული პირები შიდა ქართლიდან, ახალგორიდან, ცხინვალიდან, ზნაურიდან, გულრიფშიდან, სოხუმიდან და კოდორის ხეობიდან);

**დევნილობამდე საცხოვრებელი ადგილი**

დიაგრამა № 2.1ბ




ყველაზე მრავალრიცხოვან გადაადგილებას ადგილი ჰქონდა 1990-იანი წლების დასაწყისში. რესპონდენტთა უმრავლესობა<sup>9</sup> გადაადგილდა 1990-1994 წლებში (64.1%) ან 2008 წელს (31.7%) (იხილეთ დიაგრამა № 2.1გ).

<sup>9</sup> „გამოკითხული იძულებით გადაადგილებული პირები“, „გამოკითხული დევნილები“ და „რესპონდენტები“ ერთსა და იმავეს აღნიშნავს მთელ ანგარიშში და იგულისხმება 2,001 იძულებით გადაადგილებული პირი, ვინც მონაწილეობდა კვლევაში.

## უკანასკნელი გადაადგილების თარიღი


დიაგრამა № 2.1გ



მრავალი პირის იძულებით გადაადგილება მოხდა ნებაყოფლობით დაბრუნების შემდგომ. იძულებით გადაადგილებულ პირთა ყველაზე დიდი პროცენტული რაოდენობა (32%), რომლებიც ერთზე მეტჯერ გადაადგილდნენ არის სამხრეთ ოსეთიდან, ამას მოსდევს გალის მოსახლეობა აფხაზეთიდან (17.7%) და აფხაზეთის სხვა რაიონებიდან, გალის გარდა (9.4%). რესპონდენტთა თითქმის 15%-თვის, რომლებიც 2008 წელს გადაადგილდნენ, ეს მეორე გადაადგილება იყო (იხილეთ დიაგრამა № 2.1 დ).

## ყოფილხართ თუ არა იძულებით გადაადგილებული პირი ერთზე მეტჯერ?

დიაგრამა № 2.1დ



დევნილთა უმრავლესობა სამხრეთ ოსეთიდან გადაადგილდა 1989-1991 წლებში, (63.6%). სამხრეთ ოსეთიდან გადაადგილებული პირების უმრავლესობა 2008 წელს ხელმეორედ იქცა დევნილად. დევნილთა უმრავლესობა აფხაზეთიდან გადაადგილდა 1992-1994 წლებში (91.3%) (იხილეთ ცხრილი № 2.1 ა).



ცხრილი № 2.1 ა უკანასკნელი გადაადგილების თარიღი

უკანასკნელი გადაადგილების თარიღი:	სულ	გადაადგილებული 2008 წლის კონფლიქტის დროს	სამხრეთ ოსეთი	აფხაზეთი		
				აფხაზეთი (გალის გარდა)	გალის რაიონი	სულ აფხაზეთი
1992 – 1994	47.8%	-	7.0%	93.9%	88.7%	91.3%
2008	31.7%	99.1%	27.6%	0.9%	0.4%	0.6%
1989 – 1991	16.6%	-	63.6%	2.3%	1.0%	1.6%
1995 – 2003	3.1%	-	1.2%	2.5%	8.6%	5.6%
2009 – 2014	0.6%	0.9%	0.3%	0.1%	1.0%	0.6%
2004 – 2007	0.2%	-	0.3%	0.3%	0.3%	0.3%
სულ	100%	100%	100%	100%	100%	100%

გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობის ასაკი იყო 25-59 წელი გადაადგილების დროს. ეს ტენდენცია შეიმჩნევა ყველა სამიზნე ჯგუფში, გარდა იძულებით გადაადგილებული პირებისა გალიდან, სადაც რესპონდენტების უმეტესობა გადაადგილების დროს მცირეწლოვანი იყო (38.8%). (იხ. ცხრილი № 2.1ბ). 2,001 რესპონდენტის 1.6%, ანუ 32 რესპონდენტი დაიბადა გადაადგილების შემდეგ. იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად,<sup>10</sup> პირი უფლებამოსილია მიიღოს დევნილის სტატუსი, „თუ ერთ-ერთ ან ორივე მშობელს მინიჭებული აქვს ან/და ჰქონდა დევნილის სტატუსი, მხოლოდ მშობლის (მშობლების) ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე.“ ყველა ჯგუფში 18-24 წლის ასაკის გადაადგილებულთა რიცხვი უფრო მცირე იყო, დიდი ალბათობით იმ მიზეზით, რომ მოსახლეობის ეს ნაწილი სწავლობდა თბილისში ან სხვა ქალაქში.

ცხრილი № 2.1ბ გადაადგილების დროს იძულებით გადაადგილებულ პირთა ასაკი თითოეულ ჯგუფში

რამდენი წლის იყავით როდესაც მოგიწიათ იძულებით გადაადგილება?	სულ	გადაადგილებული 2008 წლის კონფლიქტის დროს	სამხრეთ ოსეთი	აფხაზეთი		
				აფხაზეთი (გალის გარდა)	გალის რაიონი	სულ აფხაზეთი
0-5 წლის	6.1%	-	8.8%	5.1%	10.4%	7.7%
6-17 წლის	19.1%	11.0%	16.4%	20.3%	28.4%	24.3%
18-24 წლის	13.6%	13.2%	15.5%	13.3%	12.3%	12.8%
25-39 წლის	28.6%	28.8%	29.6%	28.2%	27.6%	28.0%
40-59 წლის	26.0%	36.0%	22.6%	27.8%	17.8%	22.8%
60 წლის და ზევით	5.0%	11.0%	5.3%	2.9%	1.3%	2.1%
დაბადებული გადაადგილების შემდეგ	1.6%	-	1.8%	2.4%	2.2%	2.3%
სულ	100%	100%	100%	100%	100%	100%

10 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ საქართველოს კანონი. თავი 2, მუხლი 6, პუნქტი 2, 2014 წლის 6 თებერვალი.

## 2.2 ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილი

იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობას (2,001 რესპონდენტიდან) ჩაუტარდა ინტერვიუ თბილისში (41.1%), სამეგრელო-ზემო სვანეთში (22.6%) და შიდა ქართლში (12.0%). რესპონდენტები ოთხ სამიზნე ჯგუფში განაწილებულნი არიან თბილისსა და საქართველოს ათ რეგიონში.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გეთავაზობს სტატისტიკურ მონაცემებს დევნილთა მთლიანი მოსახლეობის შესახებ თითოეულ რეგიონში,<sup>11</sup> გამოკითხულ დევნილთა რაოდენობას თითოეული რეგიონის და დევნილობამდე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობა ცხოვრობს თბილისში და სამეგრელოში (იხ. ცხრილი №2.2ა).

ცხრილი № 2.2ა დევნილთა მთლიანი რაოდენობა საქართველოს რეგიონების მიხედვით და გამოკითხულ დევნილთა რაოდენობა საქართველოს რეგიონებში ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილისა და დევნილობამდე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

საცხოვრებელი ადგილი: (რეგიონი)	სულ იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა	გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა პროცენტული რაოდენობა რეგიონების მიხედვით	დევნილობამდე საცხოვრებელი ადგილი				
			გადაადგილებული 2008 წელს	სამხრეთოსეთი	აფხაზეთი		
					აფხაზეთი (გარდა)	გალი	აფხაზეთი
თბილისი	98,019	41.1%	36.9%	60.7%	45.8%	21.3%	33.5%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	84,219	22.6%	0.2%	-	29.1%	60.3%	44.7%
იმერეთი	24,608	5.0%	0.7%	1.5%	7.7%	10.0%	8.8%
შიდა ქართლი	16,450	12.0%	28.1%	16.7%	3.4%	0.2%	1.8%
ქვემო ქართლი	12,354	7.4%	9.7%	19.1%	1.2%	-	0.6%
მცხეთა-მთიანეთი	10,835	6.4%	24.0%	1.4%	0.4%	-	0.2%
აჭარა	6,393	2.2%	-	-	3.3%	5.3%	4.4%
სამცხე-ჯავახეთი	2,283	0.8%	-	0.3%	2.5%	0.4%	1.4%
კახეთი	1,491	0.9%	0.4%	0.3%	1.8%	1.1%	1.5%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	849	0.8%	-	-	2.6%	0.4%	1.5%
გურია	488	0.8%	-	-	2.2%	1.0%	1.6%
<b>სულ</b>	<b>257,989</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>


11 იძულებით გადაადგილებულ პირთა აღნიშნული სტატისტიკური დაყოფა რეგიონების მიხედვით სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტს მიანოდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ 2014 წლის ოქტომბერში, კვლევის ჩატარების პერიოდში.

ოთხ სამიზნე ჯგუფში რესპონდენტები შემდეგნაირად განაწილდნენ რეგიონების მიხედვით:

1. 2008 წლის კონფლიქტის დროს იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობას<sup>12</sup> ჩაუტარდა ინტერვიუ თბილისში (36.9%), შიდა ქართლში (28.1%), და მცხეთა-მთიანეთში (24%);
2. სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა 60.7% -ს ჩაუტარდა ინტერვიუ თბილისში, დაახლოებით ერთ მეხუთედს ქვემო ქართლში (19.1%), და 16.7%-ს შიდა ქართლში;
3. აფხაზეთიდან (გალის გარდა) იძულებით გადაადგილებული პირების თითქმის ნახევარს თბილისში ჩაუტარდა ინტერვიუ (45.8%) და 29.1%-ს სამეგრელო-ზემო სვანეთში.
4. გალიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობას ინტერვიუ ჩაუტარდა სამეგრელო-ზემო სვანეთში (60.3%), და ერთ მეხუთედზე მეტს (21.3%), თბილისში.

### დევნილთა ამჟამინდელი მდგომარეობა

დიაგრამა №2.2ა



როგორც აღვნიშნეთ, გამოკითხულთა 41.1% ცხოვრობს თბილისში, დაახლოებით იგივე პროცენტული რაოდენობა ცხოვრობს სხვა ქალაქებში, და 18% სოფლებში. სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები უმთავრესად განსახლებულნი არიან თბილისში და კოტეჯური ტიპის დასახლებებში შიდა ქართლში, აგრეთვე მიმდებარე მცხეთა-მთიანეთის რეგიონში. იძულებით გადაადგილებულთა ამ ჯგუფის წარმომადგენლობა საქართველოს ყველა რეგიონში ყველაზე მაღალია. UNHCR-ის სავსე მონიტორინგისას (რაჭა, სვანეთი, ცაგერი, ლენტეხი) აღმოჩნდა, რომ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს ჰქონდათ ოჯახური კავშირები საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის, მაღალმთიან რეგიონებში, რაც ხსნის მათ ამ რეგიონებში ნათესავებთან განსახლებას იძულებ-


12 დიაგრამა 2.1ა.

ბით გადაადგილების შემდეგ. გალის მოსახლეობა უმეტესად დარჩა სამეგრელოს რეგიონში (60.3%), რადგან ცდილობენ შეინარჩუნონ გალთან სიახლოვე, საიდანაც ჯერ კიდევ შესაძლებელია გადაადგილება იმ ტერიტორიაზე, სადაც მათი ყოფილი კარმიდამო იყო. გალის მოსახლეობის 20% დასახლებულია თბილისში, 10% – იმერეთში და 5% – აჭარაში.

გადაადგილების შემდეგ იძულებით გადაადგილებულმა პირებმა იპოვეს დროებითი საცხოვრებელი, სადაც ზოგიერთი მათგანი კვლავ ცხოვრობს ოცი წლის შემდეგ და ელოდება საცხოვრებლით უზრუნველყოფის გრძელვადიან გადაწყვეტას. გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა 39.3% ცხოვრობს კერძო საცხოვრებელში<sup>13</sup>. აქედან, 19.9% ფლობს საკუთარ საცხოვრებელს, 9.7% ცხოვრობს ნათესავებთან, 4.4% ქირაობს საცხოვრებელს და 2.8% თვითნებურად არის შესახლებული. რესპონდენტთა 21.5% ცხოვრობს არარეაბილიტირებულ კოლექტიურ ცენტრებში, 16.7% ცხოვრობს რეაბილიტირებულ კოლექტიურ ცენტრებში, 11.4% კოტეჯური ტიპის დასახლებაში და 10.5% ძირითადად ბათუმსა და ფოთში ახლად აშენებულ სახლებში.

### საცხოვრებლის ტიპი

დიაგრამა № 2.2ბ



საცხოვრებელ პირობებს შორის განსხვავებები შეიმჩნევა დევნილობამდე საცხოვრებელი ადგილისა და გადაადგილების თარიღის მიხედვით. გამოკითხული 2008 წელს იძულებით გადაადგილებული პირები, ძირითადად ცხოვრობენ კერძო სახლებში/ბინებში (47.9%) ან კოტეჯური ტიპის დასახლებებში (37.1%). მონაცემები გვჩვენებს, რომ 1990-იანი წლების კონფლიქტის შედეგად გადაადგილებულ პირთა, განსაკუთრებით აფხაზეთიდან დევნილთა, საბინაო პირობები ჯერ კიდევ დიდად მოუგვარებელია, რადგან მრავალი იძულებით გადაადგილებული

<sup>13</sup> სექტორული დიაგრამა 2.2.ბ -ს მარჯვნივ მოცემულია კერძოდ განსახლებული იძულებით გადაადგილებულ პირთა პროცენტული განაწილება, რომლებიც ფლობენ საკუთრებას, ცხოვრობენ ნათესავებთან, ქირაობენ, თვითნებურად არიან შესახლებული ან სხვა (39.3%).

პირი ცხოვრობს არარეაბილიტირებულ კოლექტიურ ცენტრებში. ამასთან, გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა საშუალოდ 20.9%-მა აფხაზეთიდან მიიღო საცხოვრებელი ახალ აშენებულ სახლებში. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის ინტერვიუერების დაკვირვებით, იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახები ხშირად არ ცხოვრობდნენ იმ მისამართზე, სადაც იყვნენ დარეგისტრირებულნი. ადგილზე მისვლისას ხშირად აღმოჩენილა, რომ იძულებით გადაადგილებული პირები სხვა ოჯახის მისამართზე იყვნენ დარეგისტრირებულნი, ხოლო სინამდვილეში სხვაგან ცხოვრობდნენ. ინტერვიუერებისთვის განსაკუთრებით ძნელი იყო გალიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ადგილსამყოფელის დადგენა. ხშირად მეზობლებთან გასაუბრების შემდეგ ირკვეოდა მათი ნებაყოფლობით გალში დაბრუნების შესახებ. კოტეჯური ტიპის დასახლებებში ინტერვიუერებმა აღმოაჩინეს, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს სხვა საცხოვრებელი ჰქონდათ და რომ ზოგი მათგანი აქირავებდა კოტეჯს ან დაკეტილი ჰქონდათ იგი, მაშინ როდესაც სხვა კოტეჯებში 11-12 წევრიანი ოჯახები ცხოვრობდნენ. ამგვარი შემთხვევები განსაკუთრებით ხშირი იყო მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, წეროვანისა და წილკანის კოტეჯური ტიპის დასახლებებში, სადაც უმრავლესობა 2008 წელს ახალგორიდან იძულებით გადაადგილებული პირია. 1990 წელს იძულებით გადაადგილებულ რესპონდენტთა 15-22% ცხოვრობს რეაბილიტირებულ კოლექტიურ ცენტრებში. სამხრეთ ოსეთიდან ორჯერ მეტი იძულებით გადაადგილებული პირი ფლობს საკუთარ სახლს, აფხაზეთიდან (გალის გარდა) იძულებით გადაადგილებულ პირებთან შედარებით. №2.2 ცხრილში მოცემულია ამჟამინდელი საცხოვრებლის შესახებ დაწვრილებითი მონაცემები დევნილობამდე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ცხრილი № 2.2 ადგილმდებარეობა: ამჟამინდელი საცხოვრებლის სახეობა

საცხოვრებლის სახეობა:	სულ	გადაადგილებული 2008 წლის კონფლიქტის დროს	სამხრეთ ოსეთი	აფხაზეთი		
				აფხაზეთ (გალის გარდა)	გალის რაიონი	სულ აფხაზეთი
არარეაბილიტირებული კოლექტიური ცენტრი	21.5%	4.8%	18.8%	26.8%	35.3%	31.0%
რეაბილიტირებული კოლექტიური ცენტრი	16.7%	10.1%	19.4%	21.8%	15.5%	18.7%
ახალი შენობები	10.5%	-	-	18.7%	23.0%	20.9%
კოტეჯური ტიპის დასახლება	11.4%	37.2%	7.0%	0.7%	1.0%	0.8%
სახლი/ბინა	39.3%	47.9%	54.3%	31.3%	24.4%	27.8%
საკუთრება	19.9%	20.9%	29.0%	17.5%	12.3%	14.9%
ნაქირავები	4.4%	4.6%	4.7%	3.4%	4.8%	4.1%
ნათესავეებთან	9.7%	17.4%	12.9%	3.9%	5.0%	4.5%
თვითნებურად შესახლებული	2.8%	1.8%	3.8%	4.5%	1.2%	2.8%
სხვა	2.5%	3.3%	3.8%	1.9%	1.2%	1.5%
არ არის ცნობილი	0.6%	-	0.5%	0.7%	0.8%	0.8%
სულ	100%	100%	100%	100%	100%	100%


## 2.3 სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემები

ცხრილი № 2.3ა გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა ასაკი და სქესი

ასაკი	გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა სქესი		სულ
	მდედრობითი	მამრობითი	
16-24	4.9%	4.0%	8.9%
25-39	16.7%	11.1%	27.7%
40-59	25.7%	14.9%	40.6%
60+	15.3%	7.5%	22.8%
<b>სულ</b>	<b>62.6%</b>	<b>37.4%</b>	<b>100%</b>

### შინამეურნეობის წევრთა რაოდენობა

დიაგრამა №2.3ა



გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა 62.6% იყო ქალი და 37.4% მამაკაცი. რესპონდენტთა ყველაზე დიდი პროცენტული რაოდენობა (40.6%) 40-59 წელს შორის იყო, 27.7% 25-39 წლის, ხოლო ერთ მეზუთედზე მეტი იყო 60 წლის ან ზევით.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ყველა სამიზნე ჯგუფში შემავალი იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობის ოჯახები 4-5 წევრისგან შედგებოდა. ოჯახის საშუალო სიდიდე არის 3.68, საქართველოში არსებული ოჯახების საშუალო სიდიდის მსგავსად, რაც არის 3.6<sup>14</sup>.

14 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [http://geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/census/2002/IV%20tomi%20-%20Sinameurneobebis%20da%20ojaxebis](http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/census/2002/IV%20tomi%20-%20Sinameurneobebis%20da%20ojaxebis)

იძულებით გადაადგილებულ რესპონდენტებს სთხოვეს მიეთითებინათ, თუ არსებობდა მათ ოჯახში რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი ტიპის მონყვლა-დობა:

ცხრილი № 2.3ბ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების პოტენციური მონყვლადობა <sup>15</sup>

ოჯახის წევრთა რაოდენობა:	სულ	გადაადგილებული 2008 წელს	სამხრეთ ოსეთი	აფხაზეთი		
				აფხაზეთი (გალის გარდა)	გალის რაიონი	სულ აფხაზეთი
5 წლამდე	26.3%	26.8%	26.7%	22.5%	29.2%	25.8%
სკოლის მოსწავლე/სტუდენტი	40.9%	43.3%	40.8%	38.3%	41.5%	39.9%
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი (I ჯგუფი)	3.3%	2.9%	2.1%	5.1%	3.3%	4.2%
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი (II ჯგუფი)	7.5%	6.6%	6.7%	9.1%	7.5%	8.3%
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი (III ჯგუფი)	1.0%	0.9%	0.9%	1.2%	1.2%	1.2%
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი (სტატუსის გარეშე)	2.4%	4.0%	1.5%	1.9%	2.3%	2.1%
ასაკოვანი პირი, რომელიც ზრუნვას საჭიროებს	3.8%	5.7%	3.8%	4.1%	1.7%	2.9%
პენსიონერი	42.0%	36.9%	39.0%	51.9%	40.1%	46.0%
ომის ვეტერანი	13.9%	20.7%	11.1%	17.7%	6.3%	12.0%
ოჯახის არცერთი წევრი არ მიეკუთვნება ამ კატეგორიებს	15.6%	15.4%	18.5%	11.5%	16.9%	14.2%

ყველა ჯგუფში აღინიშნება გარკვეული ტენდენციები მცირედი განსხვავებებით:

- ✓ გამოკითხული ოჯახების ერთ მეოთხედზე მეტს ჰყავს 5 წლამდე ბავშვები.
- ✓ 40.9% -ს ჰყავს ოჯახში სულ ცოტა ერთი სკოლის მოსწავლე ან სტუდენტი.
- ✓ ოჯახების 42%-ს ჰყავს საპენსიო ასაკის წევრი და ყველაზე მეტი პენსიონერი ცხოვრობს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებში.

<sup>15</sup> შეკითხვა იყო „ერთზე მეტი პასუხი“ ტიპის, და ამდენად ზოგიერთმა ოჯახმა ერთზე მეტი პასუხი აარჩია. პასუხთა ჯამი აჭარბებს 100%-ს. მაგალითად, თუ 100 რესპონდენტი აირჩევს ორ პასუხს ერთ შეკითხვაზე, მაშინ არჩეული პასუხების რაოდენობა 200-ს გაუტოლდება. ანგარიშში ეს ცხრილები აღინიშნება როგორც „ერთზე მეტი პასუხი“



- ✓ ოჯახების 13.9%-ს ჰყავს ომის ვეტერანები, რაც მსგავსია ყველა სამიზნე ჯგუფში, გარდა გალიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებისა, სადაც ომის ვეტერანები მხოლოდ ოჯახების 6.3%-ს ჰყავს.
- ✓ ოჯახების 18%-ს ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (ეს მთლიანობაში მოიცავს პირველი, მეორე და მესამე ჯგუფის შშმპ-ს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ოფიციალური სტატუსის არ მქონე პირებს, და ასაკოვან ოჯახის წევრებს, რომლებიც ზრუნვას საჭიროებენ). აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რაოდენობა უფრო მაღალია.
- ✓ რესპონდენტთა 15.6%-ს არ ჰყავს ზემოთ ჩამოთვლილი მონყვლადობის კატეგორიის ოჯახის წევრი.

## 2.4 ეკონომიკური მდგომარეობა

კვლევის შედეგების თანახმად, უმუშევრობის დონე გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირებში შეადგენდა 40.3%-ს. დასაქმებულ რესპონდენტთა მთლიანი რაოდენობა უდრის მხოლოდ 22.8%-ს<sup>16</sup>.

სამიზნე ჯგუფებში აღინიშნება მსგავსი ტენდენციები; თუმცა, შეინიშნება განსხვავებებიც:

- ✓ უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე აღინიშნება გალიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს შორის, (49.1%), მათგან მხოლოდ 15.4%<sup>17</sup>-მა აღნიშნა, რომ არის დასაქმებული, როდესაც სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მიერ აღნიშნული დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი უდრის 29.4%-ს.
- ✓ ზოგადად, სამხრეთ ოსეთიდან გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა დასაქმების პროცენტული რაოდენობა საჯარო და კერძო სექტორებში უფრო მაღალია, ვიდრე აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებში.
- ✓ აფხაზეთიდან (გალის გარდა) გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის 30.1% პენსიონერია.
- ✓ გალიდან გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის პროცენტულად მეტი დიასახლისია – 18%.

<sup>16</sup> ეს ციფრი შეიცავს მხოლოდ სისტემატურ სრულ სამუშაოს და არ შეესაბამება ეროვნულ სტატისტიკურ მონაცემებს, სადაც დასაქმების განსასაზღვრად გამოიყენება სხვა კრიტერიუმები.

<sup>17</sup> ეს არის საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებულთა, თვითდასაქმებულთა, ლიცენზირებული ბიზნესის მფლობელთა, ფერმერთა, დეკრეტულ შვებულებაში და სამხედრო სამსახურში მყოფი პირების ჯამური ციფრი.




ცხრილი № 2.4ა გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა დასაქმების მდგომარეობა დევნილობამდე მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

დასაქმება: <sup>18</sup>	სულ	გადაადგილებული 2008 წლის კონფლიქტის დროს	სამხრეთ ოსეთი	აფხაზეთი		
				აფხაზეთი (გალის გარდა)	გალის რაიონი	სულ აფხაზეთი
უმუშევარი	40.3%	39.3%	37.8%	34.6%	49.1%	41.9%
პენსიონერი	20.8%	15.8%	18.2%	30.1%	18.8%	24.5%
დიასახლისი (საპენსიო ასაკამდე)	13.8%	11.6%	10.6%	14.9%	18.0%	16.5%
საჯარო სექტორში დასაქმებული	10.1%	14.9%	10.6%	8.0%	6.9%	7.5%
კერძო ლიცენზირებული ბიზნესში დასაქმებული	8.7%	8.1%	14.1%	8.6%	4.0%	6.3%
სეზონური სამუშაო, ერთჯერადი სამუშაო	4.1%	6.8%	6.5%	2.2%	1.2%	1.7%
უმალღესი სასწავლებლის სტუდენტი	3.9%	5.5%	4.4%	2.6%	3.1%	2.9%
თვითდასაქმებული	3.1%	2.2%	3.8%	2.9%	3.5%	3.2%
არასამთავრობო სექტორში დასაქმებული	0.5%	0.4%	0.9%	0.3%	0.4%	0.3%
უარი პასუხის გაცემაზე	0.3%	0.4%	-	0.6%	-	0.3%
აქვს საკუთარი ლიცენზირებული ბიზნესი	0.1%	-	-	0.1%	0.4%	0.3%
სოფლის მეურნეობაში დასაქმებული	0.1%	0.2%	-	-	-	-
იმყოფება დეკრეტულ შვებულებაში	0.1%	0.2%	-	0.1%	0.2%	0.2%
იმყოფება სავალდებულო სამხედრო სამსახურში	0.1%	0.2%	-	-	-	-

### შინამეურნეობის საშუალო შემოსავალი თვეში დევნილობამდე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (ლარი)

დიაგრამა №2.4ა




18 ერთზე მეტი პასუხი

კვლევის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირთა შინამეურნეობის საშუალო შემოსავალი თვეში 453 ლარია, სადაც რესპონდენტთა 40%-ის შინამეურნეობის სიდიდე განისაზღვრება 4-5 წევრით (იხ. დიაგრამა № 2.3 ა). საქართველოში შინამეურნეობის საშუალო შემოსავალი თვეში 887 ლარია<sup>19</sup> და 247 ლარი თითოეულ ადამიანზე<sup>20</sup>, რაც კვლევის შედეგების მიხედვით ნიშნავს, რომ საშუალოდ იძულებით გადაადგილებულ პირებს, საქართველოში სხვა შინამეურნეობებთან შედარებით, მათი შემოსავლის ნახევარი აქვთ.

ყველაზე მაღალი საშუალო თვიური შემოსავალი (542 ლარი) აქვთ სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს, ხოლო ყველაზე დაბალი (საშუალოდ 364 ლარი) – გალიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს. ყველა სამიზნე ჯგუფში სულ საშუალო თვიური შემოსავლის მიხედვით, 2008 წელს იძულებით გადაადგილებული პირების შინამეურნეობის საშუალო შემოსავალი ოდნავ მაღალია, რაც შეადგენს 478 ლარს და აფხაზეთიდან (გალის გარდა) იძულებით გადაადგილებული პირების შინამეურნეობის საშუალო შემოსავალი თვეში გაცილებით ნაკლებია და შეადგენს 431 ლარს (იხ. დიაგრამა №2.4ა). ინტერვიუს შემდგომ გამართულ შეხვედრებზე, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის ინტერვიუებმა გაუზიარეს ერთმანეთს მათი შთაბეჭდილებები იმის თაობაზე, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა მნიშვნელოვანი რაოდენობა მალავდა შემოსავლებს და, ამდენად, გაურბოდა დამატებით შემოსავლებსა თუ სხვა ოფიციალურ ანაზღაურებაზე ან პენსიებზე საუბარს. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის ინტერვიუების აზრით, რესპონდენტთა შემოსავლები უფრო მაღალი იყო, ვიდრე მათ აღნიშნეს.

### დევნილთა შინამეურნეობის საშუალო შემოსავალი თვეში სოფელი/ქალაქის მიხედვით (ლარი)

დიაგრამა №2.4ბ




19 ეს ციფრი შეიცავს ნაღდ და უნაღდო შემოსავალს. ნაღდი ფულის შემოსავალი უდრის მხოლოდ 774 ლარს (2013 წლის საქართველოს სტატისტიკური მონაცემები, შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევა).

20 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [http://www.geostat.ge/index.php?action=page&p\\_id=182&lang=eng](http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=182&lang=eng)

თბილისში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა შინამეურნეობების ყველაზე მაღალი საშუალო შემოსავალი თვეში 551 ლარია. იძულებით გადაადგილებულ პირთა შინამეურნეობების საშუალო შემოსავალი სოფლებში თვეში 428 ლარს უდრის, რაც უფრო მეტია ვიდრე მათი, ვინც პატარა ქალაქებში ცხოვრობენ (საშუალოდ 371 ლარი) (იხ. დიაგრამა №2.4 ბ). ამავე ტენდენციას ადასტურებს ეროვნული სტატისტიკური მონაცემები, რომელთა მიხედვით სოფლად უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია (6.5%), ვიდრე უმუშევრობის დონე ქალაქში (25.6%)<sup>21</sup> 2013 წლის მდგომარეობით.

### შინამეურნეობის შემოსავლის წყაროები

დიაგრამა №2.4გ



■ იძულებით გადაადგილებულ პირთა საერთო რაოდენობა

იძულებით გადაადგილებულ პირთა შემოსავლების ძირითადი წყაროა იძულებით გადაადგილებულ პირთა შემწეობა (რომელსაც იღებს რესპონდენტთა 79.7%). იძულებით გადაადგილებულ პირთა 42% შემოსავლის ძირითად წყაროდ ასახელებს პენსიას და 41.5% იღებს ხელფასს. ფულადი სოციალური დახმარება იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების თითქმის ერთი მეხუთედის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს (იხ. დიაგრამა №2.4გ).

მსგავსი მდგომარეობაა ოთხივე სამიზნე ჯგუფში (იხ. ცხრილი №2.4ბ). მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდა მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილ შემოსავლის წყაროებთან მიმართებაში:

- ✓ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა (46%) შემოსავლის წყაროს უფრო ხშირად წარმოადგენს ხელფასი სხვა ჯგუფებთან შედარებით.

21 დასაქმება და უმუშევრობა 2013 წელს (ნლიური). საქსტატი 27.05.2014. [http://geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/english/labour/employment%20and%20unemployment%202013%20press%20release.pdf](http://geostat.ge/cms/site_images/_files/english/labour/employment%20and%20unemployment%202013%20press%20release.pdf)

- ✓ სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა (53.7%) შემოსავალი უფრო მეტად დამოკიდებულია პენსიაზე სხვა სამიზნე ჯგუფებთან შედარებით.
- ✓ სოციალური დახმარება, უფრო მეტად წარმოადგენს ძირითადი შემოსავლის წყაროს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, სხვა ჯგუფებთან შედარებით (იხ. ცხრილი №2.4ბ). უნდა აღინიშნოს, რომ ფულადი სოციალური დახმარება წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირთა შემწეობის ალტერნატივას: ოჯახს არ შეუძლია მიიღოს ორივე - იძულებით გადაადგილებულ პირთა შემწეობა და სოციალური დახმარება ერთდროულად და მან უნდა აირჩიოს ერთ-ერთი.

ცხრილი №2.4ბ იძულებით გადაადგილებულ პირთა შინამეურნეობის შემოსავლის წყარო დევიზობამდე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით<sup>22</sup>

შინამეურნეობის შემოსავლის ყველა წყარო:	სულ	გადაადგილებული 2008 წლის კონფლიქტის დროს	სამხრეთ ოსეთი	აფხაზეთი		
				აფხაზეთი (გალის გარდა)	გალის რაიონი	სულ აფხაზეთი
იძულებით გადაადგილებულ პირთა შემწეობა	79.7%	78.5%	87.7%	75.9%	77.0%	76.4%
ხელფასი	42.0%	36.9%	39.0%	51.9%	40.1%	46.0%
პენსია	41.5%	49.7%	53.7%	34.8%	28.2%	31.5%
სოციალური დახმარება	19.8%	18.5%	13.5%	22.8%	24.2%	23.5%
ომის ვეტერანის პენსია	4.8%	7.7%	4.4%	6.0%	1.3%	3.7%
საყოფაცხოვრებო სუბსიდია (ყოველთვიური ფულადი გასაცემელი სასაყოფაცხოვრებო და კომუნალური საჭიროების ხარჯების გასაწევად)	4.7%	5.1%	5.0%	2.2%	2.1%	5.7%
ფულადი დახმარება ნათესავებსა და მეგობრებისგან	4.3%	5.1%	4.1%	4.1%	4.0%	4.1%
ფინანსური დახმარება/პენსია შშმ პირებისთვის (II ჯგუფი)	3.6%	4.4%	2.9%	5.7%	5.8%	2.2%
ფინანსური დახმარება/პენსია შშმ პირებისთვის (I ჯგუფი)	2.5%	1.8%	2.1%	4.2%	1.9%	3.1%
დახმარება ობოლი ბავშვებისთვის	1%	1.5%	1.5%	0.6%	0.6%	0.6%
საკუთრად მონეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია <sup>23</sup>	0.3%	0.7%	-	0.4%	-	0.2%
სოციალური პაკეტი პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთათვის	0.2%	0.2%	0.3%	0.3%	0.2%	0.2%

22 ერთზე მეტი პასუხი.


23 სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისგან შემოსული დაბალი შემოსავალი სრულად არ ასახავს რეალურ სიტუაციას. იძულებით გადაადგილებული პირები განაგრძობენ მიწების დამუშავებას.

## 2.5 გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა მთავარი პრობლემები

რესპონდენტებს სთხოვეს პრობლემატური და ყველაზე პრობლემატური საკითხების არჩევა პრობლემათა ჩამონათვლიდან.<sup>24</sup> ყველაზე დიდ პრობლემას იძულებით გადაადგილებულ პირთათვის წარმოადგენს უმუშევრობა (32.5%), არადამაკმაყოფილებელი საბინაო პირობები (27.9%), საბანკო სესხების/კრედიტების გადახდა (9.8%) და მედიკამენტების ხელმისაწვდომობა (8.9%). საგანმანათლებლო სისტემა და სასკოლო ნივთები ნაკლებ პრობლემას წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის. პრობლემა, რომელიც ყველაზე ხშირად იქნა მითითებული შეეხებოდა უმუშევრობას<sup>25</sup>, სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას, საკვების ნაკლებობას, ავეჯის ნაკლებობას, საბანკო სესხებს/კრედიტებს, ტანსაცმელს, კომუნალურ გადასახადებსა და გასართობად საჭირო ფულს (იხ. დიაგრამა № 2.5ა).

### პრობლემატური საკითხები და ყველაზე მეტად პრობლემატური საკითხები, რომელიც აწუხებს დევნილებს

დიაგრამა №2.5ა



24 კითხვები დაისვა იმ პრობლემებზე რის წინაშეც დგანან იძულებით გადაადგილებული პირები მათ საჭიროებებზე პროგრამული რეაგირებისთვის საჭირო ინფორმაციის მისაწოდებლად.

25 შეეხება 2.5.ა დიაგრამის ნარინჯისფერ სვეტს და აღნიშნავს მოცემული ერთზე მეტი პასუხებიდან ყველაზე ხშირ არჩევანს.

### 3. იძულებით გადაადგილებულ პირთა მოსაზრებები ბრძელვადიანი გადაწყვეტილებების შესახებ

რესპონდენტებს დაესვათ კითხვები იძულებით გადაადგილებულ პირთათვის გრძელვადიანი გადაწყვეტილების სამი მთავარი არჩევანის შესახებ:


- **ნებაყოფლობითი დაბრუნება:** მდგრადი და ნებაყოფლობითი დაბრუნება დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას;
- **ინტეგრაცია:** მდგრადი ადგილობრივი ინტეგრაცია, სადაც იძულებით გადაადგილებულმა პირებმა ჰპოვეს თავშესაფარი;<sup>26</sup>
- **ახალ ადგილას განსახლება:** მდგრადი ინტეგრაცია ქვეყნის სხვა ნაწილში (განსახლება ქვეყნის ნებისმიერ ნაწილში).

საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა პრიორიტეტების გასაგებად, რესპონდენტებს შესთავაზეს რამდენიმე არჩევანი, რათა მათ პრიორიტეტებად დაელაგებინათ ისინი მნიშვნელობის მიხედვით: დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე ნებაყოფლობით დაბრუნება, ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას დარჩენა (ინტეგრაცია) ან საქართველოს სხვა რეგიონში განსახლება. რესპონდენტთა მიერ შეთავაზებული წინადადებების შედეგად, დაემატა კიდევ ერთი არჩევანი: ემიგრაცია საზღვარგარეთ. გრძელვადიანი გადაწყვეტილების სამი არჩევანიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გამოკვეთილმა უმრავლესობამ (73.4%) პრიორიტეტი მიანიჭა ნებაყოფლობით დაბრუნებას. სხვა შეკითხვაზე, სურდათ თუ არა მათ დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას დაბრუნება, რესპონდენტთა 88.3% -მა გამოხატა დაბრუნების სურვილი (იხ. დიაგრამა 3ბ). ინტეგრაცია წარმოადგენს პრიორიტეტს რესპონდენტთა თითქმის ერთი მეხუთედისთვის და ახალ ადგილას განსახლება მხოლოდ 1.8%-თვის, ხოლო საზღვარგარეთ ემიგრაცია 2.7%-თვისაა პრიორიტეტი. სხვა სამიზნე ჯგუფებთან შედარებით სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულმა პირებმა ყველაზე ნაკლებად არჩიეს ნებაყოფლობითი დაბრუნება, მათ არჩიეს ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას დარჩენა.

<sup>26</sup> დეფინიციები აღებულია უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომიტეტის (IASC) ჩარჩო დოკუმენტიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი გადაწყვეტილებების შესახებ. ბრუკინგის ინსტიტუტი, აპრილი, 2010 წ.

## იძულებით გადაადგილებულ პირთა დამოკიდებულება დაბრუნების, ინტეგრაციისა და ახალ ადგილას განსახლების მიმართ

დიაგრამა №3ა




კვლევაში განისაზღვრა, თუ რა ახდენს ზეგავლენას იძულებით გადაადგილებულ პირთა მიერ ინტეგრაციაზე, ახალ ადგილას განსახლებას ან ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაზე და რა პირობებია მათთვის მნიშვნელოვანი ამ სამი არჩევანის გაკეთებისას. ამ სამი გრძელვადიანი გადაწყვეტილებიდან თითოეულის შესახებ რესპონდენტებს დაუსვეს მთელი რიგი კითხვები.

თითოეულ არჩევანზე ცალ-ცალკე დასმული კითხვების შედეგად გამოიკვეთა განსხვავებული ტენდენციები:

### გსურთ თუ არა ნებაყოფლობით დაბრუნდეთ თქვენს დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას?


დიაგრამა №3ბ



შეკითხვაზე, დაბრუნდებოდნენ თუ არ დაბრუნდებოდნენ, იძულებით გადაადგილებულმა პირებმა უმეტესწილად დაბრუნება აირჩიეს. 1990-იან წლებში სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მიერ დადებითი პასუხების წილი ოდნავ ნაკლები იყო.

### მიიჩნევთ თუ არა თავს ადგილობრივად ინტეგრირებულად?


დიაგრამა №3გ



იძულებით გადაადგილებულ პირებს ჰკითხეს, გრძნობდნენ თუ არა თავს ინტეგრირებულად, ნაწილობრივ ინტეგრირებულად თუ არაინტეგრირებულად. 1990-იან წლებში იძულებით გადაადგილებული პირები ყველაზე მეტად ინტეგრირებულად თვლიან თავს, ხოლო 2008 წელს იძულებით გადაადგილებული პირები ნაწილობრივ ინტეგრირებულად ან არაინტეგრირებულად. დევნილთა მხოლოდ მცირე რაოდენობამ აღნიშნა, რომ არ თვლის თავს ინტეგრირებულად.

### გსურთ თუ არა ახალ ადგილას განსახლება?

დიაგრამა №3დ





იძულებით გადაადგილებულ პირთა 57.1% ამჯობინებს ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილზე დარჩენას, ხოლო 42.9% სურს სხვა ადგილას განსახლება და მათ უმრავლესობას ქალაქებში გადასვლა.

### 3.1 დემოგრაფიული მონაცემები და დამოკიდებულებები

ნებაყოფლობით დაბრუნების სურვილი დიდად არ განსხვავდებოდა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით, თუმცა, ქვემოთ მოყვანილ კატეგორიებში შეიმჩნევა აშკარა განსხვავებები:

ცხრილი №3.1ა<sup>27</sup> იძულებით გადაადგილებულ პირთა დამოკიდებულებები სქესის მიხედვით

იძულებით გადაადგილებულ პირთა დამოკიდებულებები სქესის მიხედვით:	სქესი:	
	მდედრობითი	მდედრობითი
დეენილობამდე საცხოვრებელ ადგილზე ნებაყოფლობით დაბრუნება	72.8%	78.4%
ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას დარჩენა	21.1%	16.4%
საცხოვრებლად საქართველოს სხვა რეგიონში გადასვლა	1.7%	2.0%
საზღვარგარეთ ემიგრაცია	2.3%	2.4%
არ ვიცი	2.1%	0.8%
სულ	100%	100%

სქესის მიხედვით მიღებული მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ მამრობითი სქესის რესპონდენტებმა უფრო ხშირად გამოთქვეს დეენილობამდე საცხოვრებელ ადგილზე ნებაყოფლობით დაბრუნების სურვილი ვიდრე ქალებმა, ხოლო ქალებმა მეტად ამჯობინეს ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილზე დარჩენა (იხ. ცხრილი №3.1ა).

ცხრილი № 3.1ბ იძულებით გადაადგილებულ პირთა დამოკიდებულებები ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით

იძულებით გადაადგილებულ პირთა დამოკიდებულებები ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით :	16-24	25-39	40-59	60 +
დეენილობამდე საცხოვრებელ ადგილზე ნებაყოფლობით დაბრუნება	62.7%	66.6%	77.5%	79.1%
ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას დარჩენა	24.4%	25.1%	18.4%	17.9%
საცხოვრებლად საქართველოს სხვა რეგიონში გადასვლა	2.8%	3.3%	1.2%	0.6%
საზღვარგარეთ მიგრაცია	8.3%	3.6%	1.7%	0.2%
არ ვიცი	1.8%	1.4%	1.2%	2.2%
სულ	100%	100%	100%	100%

რესპონდენტებს 16-24 წლის და 25-39 წლის ასაკობრივ ჯგუფებში ნაკლებად სურთ ნებაყოფლობით დაბრუნება, ვიდრე 40-59 და 60 წელს გადაცილებულ ასაკობრივ ჯგუფებში.

27 გამოთვლილია რესპონდენტთა იმ რაოდენობიდან, ვინც ჩამოთვლილი ვარიანტებიდან რომელიმე მათგანი მიიჩნია მთავარ პრიორიტეტად.

16-24 წლის ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდებს სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით მეტად სურთ საზღვარგარეთ წასვლა.

საინტერესოა, რომ რესპონდენტთა დასაქმებულებად და უმუშევრებად დაყოფის შემდეგ, რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავებები ნებაყოფლობით დაბრუნებასთან დაკავშირებით არ გამოვლენილა (იხ. ცხრილი №3.1გ).

**ცხრილი №3.1გ იძულებით გადაადგილებულ პირთა დამოკიდებულებები დასაქმების მდგომარეობის მიხედვით**

იძულებით გადაადგილებულ პირთა დამოკიდებულებები დასაქმების მდგომარეობის მიხედვით	დასაქმებული	უმუშევარი
დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე ნებაყოფლობით დაბრუნება	71.9%	74.2%
ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას დარჩენა	21.2%	20.4%
საცხოვრებლად საქართველოს სხვა რეგიონში გადასვლა	2.3%	1.6%
საზღვარგარეთ მიგრაცია	3.5%	2.1%
არ ვიცი	1.1%	1.7%
სულ	100%	100%

კვლევის შედეგების მიხედვით, შემოსავალი ნაკლებად ახდენს ზემოქმედებას იძულებით გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობით დაბრუნებაზე. დაბალი შემოსავლის მქონე იძულებით გადაადგილებულ პირთა მეტი რაოდენობა ამჯობინებს ნებაყოფლობით დაბრუნებას, ვიდრე უფრო მაღალი შემოსავლის მქონე პირები, ხოლო ამ უკანასკნელთათვის პრიორიტეტულია ახალ ადგილას განსახლება ან მიგრაცია.

**ცხრილი № 3.1დ იძულებით გადაადგილებულ პირთა დამოკიდებულებები შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავლის მიხედვით**

იძულებით გადაადგილებულ პირთა დამოკიდებულებები შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავლის მიხედვით:	დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე ნებაყოფლობით დაბრუნება	ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას დარჩენა	საცხოვრებლად საქართველოს სხვა რეგიონში გადასვლა	საზღვარგარეთ მიგრაცია	მიჭირს პასუხის გაცემა	სულ
	440.14	483.21	504.73	602.93	389.09	453.23

## 4. ინტეგრაცია

ტერმინი „ინტეგრაცია“ ეხება მდგრად ადგილობრივ ინტეგრაციას იმ ტერიტორიაზე, სადაც იძულებით გადაადგილებულმა პირებმა მოიპოვეს თავშესაფარი და იგი განისაზღვრება უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომიტეტის (IASC) იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი გადანაცვლებების შესახებ ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად. „განსახლება“ ან „განსახლებული“ იძულებით გადაადგილებულ პირთა აზრით და ადგილობრივ კონტექსტში ასოცირდება საცხოვრებელის საკუთრებაში ფლობასთან, რაც მხოლოდ ერთ, თუმცა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ინტეგრაციისთვის.

გრძელვადიანი გადანაცვლებების შესახებ იძულებით გადაადგილებულ პირთა მოსაზრებების შესაფასებლად მნიშვნელოვანია გავიგოთ, თუ რამდენად არიან ისინი ინტეგრირებულნი ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას. ინტეგრაცია მიიღწევა რამდენიმე ძირითადი უფლების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მათ შორისაა უსაფრთხოება და თავისუფალი გადაადგილება, შესაფერისი საცხოვრებელი პირობები, დასაქმებასა და საარსებო საშუალებებზე ხელმისაწვდომობა და ეფექტური მექანიზმები კარ-მიდამოს დასაბრუნებლად ან დაკარგული მიწისა და საკუთრების სანაცვლოდ კომპენსაციის მისაღებად.


- ✓ რესპონდენტების უმრავლესობა (57.3%) თავს სრულიად ინტეგრირებულად გრძნობს, მესამედი (33.3%) – ნაწილობრივ ინტეგრირებულად, ხოლო 8.3% ფიქრობს, რომ არ არის ინტეგრირებული. სხვა სამიზნე ჯგუფებთან შედარებით, 2008 წელს იძულებით გადაადგილებული პირები ყველაზე ნაკლებად ინტეგრირებულები არიან მათ ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას.
- ✓ თბილისსა და სხვა ქალაქებში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირებში აღინიშნება ინტეგრაციის უფრო მაღალი დონე, ვიდრე სოფლად მაცხოვრებელთა შორის. ეს ფაქტი მიანიშნებს იმაზე, რომ ქალაქებში უფრო მეტი ხელშეწყობა აქვს იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრაციას, ვიდრე სოფლებში.
- ✓ ინტეგრაციის დაბალი დონე მეტად აღინიშნება უფრო ასაკოვან რესპონდენტებს შორის, ვიდრე ახალგაზრდებში: 60 წლის და ზევით ასაკის რესპონდენტთა მხოლოდ 47.9% თავს სრულიად ინტეგრირებულად თვლიან, ხოლო 16-24 წლის ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტების პროცენტული მაჩვენებელი, ვინც სრულიად ინტეგრირებულად თვლის თავს, უდრის 70.6%-ს.
- ✓ მდებარეობითი სქესის იძულებით გადაადგილებული პირების პასუხები მია-ნიშნებს იმაზე, რომ ისინი ოდნავ მეტად არიან ინტეგრირებულნი (59.5%), ვიდრე მამრობითი სქესის რესპონდენტები (53.8%).
- ✓ შედარებით მაღალი საშუალო თვიური შემოსავლის მქონე იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებში ინტეგრაციის დონე მაღალია, ხოლო უფრო

დაბალი საშუალო თვიური შემოსავლის მქონე ოჯახები თავს თვლიან მხოლოდ ნაწილობრივ ინტეგრირებულად ან არაინტეგრირებულად.

- ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთა განცხადებით, სრული ინტეგრაცია შესაძლებელია, თუ მათ პირველ რიგში ექნებათ საარსებო წყარო (46.3%), სახლი/ბინა კარგ მდგომარეობაში (20.4%), სამედიცინო მომსახურება (10.7%), და უსაფრთხოება (7.5%).
- ✓ ინტეგრაციასთან დაკავშირებით, იძულებით გადაადგილებულ პირთა ოთხივე ჯგუფმა ყველაზე ნაკლებ პრობლემატურ საკითხად მიიჩნია დოკუმენტებზე წვდომა, უსაფრთხოება, საზოგადოებრივ საკითხებში მონაწილეობა, ადგილობრივ საზოგადოებასთან ადაპტაცია და პირადი კონტაქტების დამყარება (მეგობრები, ნაცნობები).
- ✓ ერთერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას, გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა თანახმად, წარმოადგენს დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას მყოფი ოჯახის წევრების, ნათესავების, მეგობრების და ნაცნობების მონახულების საშუალების არქონა.
- ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების ნახევარს (50.9%) არ გააჩნია სახლი, ბინა ან მიწის ნაკვეთი საკუთრებაში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

### მიიჩნევთ თუ არა თავს ადგილობრივად ინტეგრირებულად?

დიაგრამა №4ა




რესპონდენტთა 41.5% აღნიშნავს, რომ კარგად არის ინტეგრირებული ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას. თუ შევადარებთ სხვა სამიზნე ჯგუფებს, აფხაზეთიდან (გალის გარდა) იძულებით გადაადგილებული პირები ყველაზე მეტად არიან ინტეგრირებულნი (51.2%) ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას, ხოლო 2008 წელს იძულებით გადაადგილებული პირები - ყველაზე ნაკლებად (30.3%), რაც შეესაბამება დროის იმ პერიოდს, რომელიც თავდაპირველი გადაადგილების

შემდეგ გავიდა. რესპონდენტთა ერთ მეოთხედზე მეტი (27.3%) არ თვლის თავს ინტეგრირებულად ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას. ეს ციფრები განსაკუთრებით მაღალია 2008 წელს გადაადგილებულ რესპონდენტთა შორის (33.4%) (იხ. დიაგრამა № 4ბ).

### ფიქრობთ თუ არა, რომ დაფუძნდით ან მომავალში დაფუძნდებით თქვენს ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას?


დიაგრამა №4ბ



იმისათვის, რომ უკეთ გაგვეგო იძულებით გადაადგილებულ პირთა მოსაზრებები ინტეგრაციის შესახებ, რესპონდენტებს ჰკითხეს, იცნობდნენ თუ არა ისინი სხვა იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებიც ინტეგრირდნენ, როგორ მოახერხეს მათ ეს და რა ტიპის საცხოვრებელში ცხოვრობენ ამჟამად. რესპონდენტთა 45.8%-მა განაცხადა, რომ იცნობდა იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებიც ინტეგრირებულნი არიან ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას, ხოლო თითქმის იმავე რაოდენობის რესპონდენტებმა თქვეს, რომ არ იცნობდნენ ასეთებს. 2008 წელს იძულებით გადაადგილებული პირების (ძირითადად სამხრეთ ოსეთიდან ) წილი, ვისაც ჰქონდა ინფორმაცია ნაცნობების ინტეგრაციის შესახებ, ყველაზე მაღალი იყო (იხ. დიაგრამა № 4გ).

### იცნობთ თუ არა თქვენს თემში დევნილებს, რომლებიც სამუდამოდ დაფუძნდნენ ერთ საცხოვრებელ ადგილას?


დიაგრამა №4გ



### იცნობთ თუ არა თქვენს თემში დევნილებს, რომლებიც სამუდამოდ დაფუძნდნენ ერთ საცხოვრებელ ადგილას?

(დადებითი პასუხი ამჟამინდელი საცხოვრებელი რეგიონის მიხედვით)

დიაგრამა №4დ



შემდგომში მიღებული შედეგები გაანალიზდა რეგიონების მიხედვით, იმის დასადგენად, თუ რომელ რეგიონშია უფრო ხელსაყრელი პირობები ინტეგრაციისთვის საქართველოში. აღმოჩნდა, რომ დევნილთა (რესპონდენტთა 79.9%) ნაცნობებს შორის ყველაზე მეტი ადამიანი მცხეთა- მთიანეთში იყო ინტეგრირებუ-


ლი, იქ, სადაც ამჟამად არიან განსახლებულნი გადაადგილების შემდეგ. ხოლო იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც ცხოვრობენ რაჭაში და კახეთში, ყველაზე ნაკლებ ადამიანს იცნობენ, ვინც ინტეგრირებულია ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას (იხ. დიაგრამა № 4 დ).

იძულებით გადაადგილებულ პირებს ჰკითხეს, იცნობდნენ თუ არა სხვა დევნილებს, რომლებმაც მოახერხეს დასახლება გადაადგილების შემდეგ. 908 რესპონდენტიდან, 31.4%-მა უპასუხა, რომ იცნობდნენ ისეთ იძულებით გადაადგილებულ პირებს, ვინც შეიძინა მუდმივი საცხოვრებელი. მეოთხედზე მეტმა (26.3%) თქვა, რომ იძულებით გადაადგილებული პირები დასახლდნენ ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას ინტეგრაციის მეშვეობით, განსაკუთრებით ისინი, ვინც 2008 წელს გადაადგილდნენ. გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა 18.4%-მა უპასუხა, რომ მათ მოახერხეს ინტეგრაცია სამუშაოს პოვნისთანავე. გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა 14.7% ახალ ადგილას განსახლებას აღიქვამდა, როგორც გამოსავალს. რესპონდენტთა მცირე რაოდენობა იცნობდა იძულებით გადაადგილებულ პირებს, ვინც სამუდამოდ დასახლდა დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე ნებაყოფლობით დაბრუნების შედეგად. (4.3%). გალიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა 10.8%-მა აღნიშნა რომ იცნობდნენ ნებაყოფლობით დაბრუნებულ ადამიანებს (იხ. დიაგრამა № 4ე).<sup>28</sup>

**თუ იცნობთ თქვენს თემში დევნილებს, რომლებიც სამუდამოდ დაფუძნდნენ, ერთ საცხოვრებელ ადგილას, როგორ მოახერხეს მათ ეს?**

დიაგრამა №4ე

N=908




28 მიუხედავად იმისა, რომ ცხრილებისა და დიაგრამების უმეტესობა გამოკითხული იძულებით გადაადგილებული 2001 პირის პასუხებს აჩვენებს, გარკვეული შეკითხვები დაესვა მხოლოდ მცირე ჯგუფს, რომელმაც დადებითად უპასუხა წინა შეკითხვას. ამ შემთხვევებში, რესპონდენტთა რაოდენობა აღნიშნება როგორც N=908 რესპონდენტი; რესპონდენტთა საერთო რაოდენობა აღნიშნულია როგორც "N=2001" ან "იძულებით გადაადგილებულ პირთა საერთო რაოდენობა."



იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობა მოიაზრებს კერძო სახლის საკუთრებაში ფლობას, როგორც სამუდამო განსახლებას (36.1%). 2008 წლის კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები უმეტესად ცხოვრობენ კოტეჯური ტიპის დასახლებებში და, ამდენად, აღიქვამენ კოტეჯში მცხოვრებ დევნილებს, როგორც სამუდამოდ განსახლებულებს (იხ. დიაგრამა № 4)<sup>29</sup>.

**თუ იცნობთ თქვენს თემში დევნილებს, რომლებიც სამუდამოდ დაფუძნდნენ, ერთ საცხოვრებელ ადგილას, სად ცხოვრობენ ისინი?**

დიაგრამა №4



**4.1 დემოგრაფია და ინტეგრაცია**

დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილთან ერთად, იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრაციის დონე მათ ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას ურთიერთკავშირშია სხვა რამდენიმე დემოგრაფიულ ფაქტორთან, მათ შორის გადაადგილების შემდეგ საცხოვრებელ ადგილთან, ასაკთან, ქესთან და შემოსავალთან.

**ქალაქი/სოფელი**

თბილისში მცხოვრებ რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ისინი თავს ინტეგრირებულად მიიჩნევენ და სხვა ქალაქებში მცხოვრებთა პასუხებიც მსგავსი იყო. სოფლებში მცხოვრები რესპონდენტები კი მეტწილად ფიქრობენ, რომ ისინი ნაწილობრივ არიან ინტეგრირებულები (იხ. ცხრილი № 4.1ა).

29 ეს ხსნის იმას, თუ რატომ თვლიან იძულებით გადაადგილებული პირები ნაცნობებს მცხეთა-მთიანეთში განსახლებულად, სადაც ყველაზე დიდი კოტეჯური ტიპის დასახლებაა საქართველოში.



ცხრილი № 4.1ა იძულებით გადაადგილებულ პირთა მოსაზრებები ინტეგრაციის შესახებ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით: ქალაქი – სოფელი

მიიჩნევთ თუ არა თავს ადგილობრივად ინტეგრირებულად?	დასახლების ადგილი			სულ
	თბილისი	ქალაქი	სოფელი	
დიახ	63.3%	60.1%	37.3%	57.3%
ნაწილობრივ ინტეგრირებული ვარ	27.3%	30.8%	52.6%	33.3%
არა	8.6%	7.5%	9.4%	8.3%
არ ვიცი	0.8%	1.6%	0.7%	1.1%
სულ	100%	100%	100%	100%

**ასაკობრივი ფაქტორი**

პასუხი – „ვარ სრულად ინტეგრირებული“ – დომინირებდა ყველა ასაკობრივ ჯგუფში. თუმცა, სრული ინტეგრაციის დონე იკლებს ასაკის ზრდასთან ერთად: 60 წლის და მეტი ასაკის რესპონდენტთა 47.9% თავს თვლის სრულად ინტეგრირებულად, მაშინ როდესაც 16-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში ეს მონაცემი 70.6%-ის ტოლია. შესაბამისად, ისეთი პასუხები, როგორცაა „ნაწილობრივ ინტეგრირებული“ და „არაინტეგრირებული“ უფრო მეტია მოზრდილ რესპონდენტებს შორის, ვიდრე 16-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში (იხ. ცხრილი № 4.1ბ).

ცხრილი № 4.1ბ იძულებით გადაადგილებულ პირთა მოსაზრებები ინტეგრაციის შესახებ ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით

მიიჩნევთ თუ არა თავს ადგილობრივად ინტეგრირებულად?	ასაკობრივი ჯგუფი				სულ
	16-24	25-39	40-59	60 და ზევით	
დიახ	70.6%	62.3%	56.2%	47.9%	57.3%
ნაწილობრივ ინტეგრირებული ვარ	22.0%	30.7%	33.7%	40.1%	33.3%
არა	5.7%	6.8%	9.2%	9.3%	8.3%
არ ვიცი	1.7%	0.2%	0.9%	2.7%	1.1%
სულ	100%	100%	100%	100%	100%

როგორც კვლევა აჩვენებს, ინტეგრაციის დონე დაკავშირებულია რესპონდენტთა ასაკთან გადაადგილების დროს. რესპონდენტთა საშუალო ასაკი გადაადგილების დროს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ სრულად არიან ინტეგრირებულნი უფრო მცირეა (28 წელი) ვიდრე მათი, ვინც თავს ნაწილობრივ ინტეგრირებულად ან არაინტეგრირებულად თვლის (35 წელი).

ცხრილი № 4.1გ იძულებით გადაადგილებულ პირთა მოსაზრებები ინტეგრაციის შესახებ გადაადგილების დროს მათი საშუალო ასაკის მიხედვით

რა ასაკის იყავით, როდესაც გახდით დევნილი? (რესპონდენტების მიერ დასახლებული საშუალო ასაკი დევნილად გახდომის პერიოდში)	მიიჩნევთ თუ არა თავს ადგილობრივად ინტეგრირებულად?			სულ
	დიახ, მთლიანად	ნაწილობრივ	ვფიქრობ არ ვარ ინტეგრირებული	
	28	35	35	31

## სქესი

უფრო მეტმა ქალმა უპასუხა, რომ არის სრულად ინტეგრირებული, ვიდრე მამაკაცმა, ხოლო მამაკაცების უფრო მეტი პროცენტი თავს თვლის მხოლოდ ნაწილობრივ ინტეგრირებულად, ან არაინტეგრირებულად.

ცხრილი № 4.1დ იძულებით გადაადგილებულ პირთა მოსაზრებები ინტეგრაციის შესახებ სქესის მიხედვით

მიიჩნევთ თუ არა თავს ადგილობრივად ინტეგრირებულად?	სქესი		სულ
	მდედრობითი	მამრობითი	
დიახ	59.5%	53.8%	57.3%
ნაწილობრივ	31.8%	35.8%	33.3%
არა	7.2%	10.1%	8.3%
არ ვიცი	1.5%	0.3%	1.1%
სულ	100%	100%	100%

## შემოსავალი

მიღებული მონაცემები აგრეთვე განსხვავდება ოჯახის საშუალო თვიური შემოსავლის მიხედვით. კვლევამ ცხადყო, რომ ინტეგრირებულ ოჯახთა საშუალო თვიური შემოსავალი უფრო მეტია, ვიდრე ნაწილობრივ ინტეგრირებულთა ან არაინტეგრირებულთა შემოსავალი. შესაბამისად, ინტეგრაციის აღქმის დონე ასევე დამოკიდებულია შემოსავალზე (იხ. ცხრილი № 4.1ე).

ცხრილი № 4.1ე იძულებით გადაადგილებულ პირთა მოსაზრებები ინტეგრაციის შესახებ ოჯახის საშუალო თვიური შემოსავლის მიხედვით

ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი:	მიიჩნევთ თუ არა თავს საზოგადოებასთან ინტეგრირებულად?			სულ
	დიახ, მთლიანად	ნაწილობრივ	ვფიქრობ არ ვარ ინტეგრირებული	
	494 ლარი	409 ლარი	385 ლარი	


## 4.2 ინტეგრაციისთვის საჭირო პირობები

კვლევის ჩატარებისას, იძულებით გადაადგილებულ პირებს სთხოვეს, გაეზიარებინათ მათი მოსაზრებები საკუთარი ინტეგრაციის შესახებ და იმ იძულებით გადაადგილებული პირების შესახებ, რომლებმაც მიიღეს გრძელვადიანი გადამწყვეტილება. იმის გასაგებად, თუ რა არის მათი მოსაზრების საფუძველი, იძულებით გადაადგილებულ პირებს სთხოვეს, დაეკონკრეტებინათ თუ რა პირობები იყო მათთვის მნიშვნელოვანი ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას ინტეგრაციისთვის. იძულებით გადაადგილებულ პირთა ყველაზე დიდმა

ნანილმა აღნიშნა საარსებო წყარო<sup>30</sup> (46.3%), როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, შემდეგ საცხოვრებლით უზრუნველყოფა (20.4%) და სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა (10.7%) (იხ. დიაგრამა № 4.2ა). პასუხები ყველა ჯგუფში ერთგვაროვანი იყო, მხოლოდ გალიდან იძულებით გადაადგილებულმა პირებმა მეტი მნიშვნელობა მიანიჭეს საარსებო წყაროს და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულმა სხვაზე მეტი მნიშვნელობა მიანიჭეს საცხოვრებლით უზრუნველყოფას (იხ. ცხრილი № 4.2ა).

### ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილზე ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვანი პირობები

დიაგრამა №4.2ა



30 ამ კონტექსტში დასაქმება მიიჩნევა საარსებო წყაროს შემადგენელ ნაწილად. ზოგადად, „საარსებო წყარო, ისეთი საქმიანობის შედეგად მიიღება, რომელიც უზრუნველყოფს ძირითადი სასიცოცხლო საჭიროებებით, როგორც არის საკვები, წყალი, თავშესაფარი და ტანსაცმელი. საარსებო წყაროს ქონა გულისხმობს ცოდნის მიღების შესაძლებლობას, უნარებს, სოციალურ კავშირებს, ნედლეულს და სხვა რესურსებს, რაც აუცილებელია ინდივიდუალური და კოლექტიური საჭიროებების სტაბილურად და ღირსეულად დასაკმაყოფილებლად. საარსებო წყარო ჩვეულებრივ განმეორებადი ხასიათისაა, მაგალითად, სოფლის მეურნეობაში, მეცხოველეობაში, მეთევზეობაში, საბაზრო სექტორში დასაქმებით ან სამეწარმეო საქმიანობით. იდეალურ შემთხვევაში, ადამიანები მუშაობენ საბაზრო ეკონომიკისთვის პროდუქციისა და მომსახურების მინოდების ერთ ან მრავალ სფეროში, რაც ეფუძნება ფულად ანაზღაურებას ან ბარტერს. სამუშაო იძლევა მათი საკვებით უზრუნველყოფისა და თვითუზრუნველყოფის საფუძველს, ამასთან ერთად სტაბილურობას, აყვავებას და მშვიდობას მთლიანად საზოგადოებაში“. UNHCR-ის საარსებო წყაროს მოპოვების გლობალური სტრატეგია (2014-18), UNHCR-ის პროგრამის მხარდაჭერისა და მენეჯმენტის განყოფილება, 2014. შეგიძლიათ იხილოთ საიტზე: <http://www.unhcr.org/530f107b6.pdf>

ცხრილი № 4.2ა პირობები ინტეგრაციისთვის ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას<sup>31</sup>

რა პირობების არსებობაა მნიშვნელოვანი თქვენი ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილზე ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად?	გადაადგილებული 2008 წელს	სამხრეთ ოსეთი	აფხაზეთი		
			აფხაზეთი (გა-ლის გარდა)	გალის რაიონი	სულ აფხაზეთი
საარსებო წყარო	45.1%	45.7%	45.5%	48.3%	47.1%
ადეკვატური საცხოვრებელი პირობები	6.2%	6.7%	8.1%	8.9%	19.7%
სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა	19.7%	22.9%	20.0%	19.4%	10.6%
უსაფრთხოება	4.4%	2.9%	4.0%	3.4%	8.5%
განათლებაზე ხელმისაწვდომობა	11.8%	10.0%	11.5%	9.7%	3.7%
ნაცნობები, პირადი კონტაქტები, მეგობრები	3.0%	3.0%	2.8%	2.8%	2.8%
თუ ადამიანები არ აღმიქვამენ როგორც „უცხოს“ (თუ არ ვარ საზოგადოების-გან გარიყული)	3.0%	2.6%	2.2%	1.7%	1.9%
მართლმსაჯულებაზე/ იურიდიულ მომსახურებაზე წვდომა	2.4%	2.3%	1.2%	0.8%	1.0%
სხვა	1.4%	0.4%	1.1%	1.3%	1.2%
უარი პასუხზე	0.5%	0.2%	0.6%	0.3%	0.4%
არ ვიცი	2.6%	3.3%	2.7%	3.4%	3.1%


იძულებით გადაადგილებული პირები ყველაზე უსაფრთხოდ გრძნობენ თავს შემდეგ საკითხებთან მიმართებაში: დოკუმენტებზე წვდომა, უსაფრთხოება, მართლმსაჯულებაზე წვდომა, და საზოგადოების მიერ მიღების შეგრძნება. სხვა პრობლემებია ოჯახის წევრების, ნათესავების, მეგობრების და ნაცნობების მონახულების შესაძლებლობის არქონა დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას (იხ. დიაგრამა № 4.2ბ).<sup>32</sup>

31 ერთზე მეტი პასუხი.

32 ერთზე მეტი პასუხი.

## ინტეგრაციისთვის სხვადასხვა პირობების არსებობა

დიაგრამა №4.2ბ



უნწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომიტეტის (IASC) იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი გადანაცვლებების შესახებ ჩარჩო დოკუმენტი იძლევა იძლევა შემდეგ კრიტერიუმებს გრძელვადიანი გადანაცვლებების მიღწევის შესაძლებლობის დასადგენად: უსაფრთხოება და დაცულობა; ცხოვრების სათანადო დონე, საარსებო საშუალებებზე ხელმისაწვდომობა, საცხოვრებელი სახლების აღდგენა, მინა და საკუთრება, დოკუმენტებზე წვდომა, ოჯახის გამთლიანება, საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობა და ეფექტურ სამართლებრივ დაცვასა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა.

საქართველოში იძულებით გადაადგილებულმა პირებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ წვდომა დოკუმენტებზე, მონაწილეობენ საზოგადოებრივ საქმიანობაში და თავს უსაფრთხოდ გრძნობენ, თუმცა, საარსებო წყაროზე ხელმისაწვდომობა, საცხოვრებელი და ცხოვრების სათანადო სტანდარტი მხოლოდ ნაწილობრივ არის მიღწეული. იძულებით გადაადგილებულ რესპონდენტთა მოსაზრებით, ყველაზე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე ოჯახის წევრების, ნათესავების, ნაცნობისა და მეგობრების მონახულების შესაძლებლობის არქონა. ეს მონაცემები მსგავსია ოთხივე სამიზნე ჯგუფში.

ცხრილი №4.2ბ დევნილთა მოსაზრებები ინტერვიუს პირობების მიღწევის შესახებ

	2008 წლის კონფლიქტის დროს გადაადგილებული				სამხრეთ ოსეთი				აფხაზეთი (ბალის გარდა)				გაღის რაიონი				აფხაზეთი								
	დიაგნოზი	ყაფი	საქმე	საქმე	დიაგნოზი	ყაფი	საქმე	საქმე	დიაგნოზი	ყაფი	საქმე	საქმე	დიაგნოზი	ყაფი	საქმე	საქმე	დიაგნოზი	ყაფი	საქმე	საქმე					
დოკუმენტზე ხელმისაწვდომობა (სული: დიახ - 83.6%)	85.1%	10.5%	2.0%	2.4%	100%	81.8%	13.5%	2.3%	2.4%	100%	83.3%	10.5%	2.3%	3.9%	100%	84.3%	11.9%	1.5%	2.3%	100%	83.8%	11.2%	1.9%	3.1%	100%
მყავს ნაცხოტები და მეგობრები, მაქვს პირადი კონტაქტები სადაც ვცხოვრობ (სული: დიახ - 82.3%)	75.2%	21.1%	2.9%	0.8%	100%	83.3%	13.2%	2.9%	0.6%	100%	84.6%	10.7%	2.2%	2.5%	100%	85.8%	12.1%	0.8%	1.3%	100%	85.2%	11.4%	1.5%	1.9%	100%
ადამიანი არ მთვლიან უცხოდი, არ ვარ გარიყული საზოგადოების-გან (სული: დიახ - 78.9%)	84.0%	9.0%	5.7%	1.3%	100%	79.2%	8.8%	11.4%	0.6%	100%	75.7%	7.5%	13.6%	3.2%	100%	76.8%	7.5%	11.3%	4.4%	100%	76.3%	7.5%	12.5%	3.7%	100%
შემოდოლ მიზანდღეობა საზოგადოებრივ საქმიანობაში (სული: დიახ - 75.4%)	69.0%	22.4%	6.6%	2.0%	100%	70.7%	25.2%	2.9%	1.2%	100%	79.1%	13.9%	3.4%	3.6%	100%	82.7%	12.1%	2.7%	2.5%	100%	80.9%	13.0%	3.0%	3.1%	100%
უსაფრთხოება (სული: დიახ - 73.8%)	80.4%	16.7%	2.2%	0.7%	100%	70.7%	20.8%	7.3%	1.2%	100%	70.0%	19.9%	8.0%	2.1%	100%	74.1%	19.6%	4.6%	1.7%	100%	72.1%	19.7%	6.3%	1.9%	100%
მართლმსაჯულებაზე იურიდიული მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა (სული: დიახ - 29.3)	23.3%	23.1%	31.9%	21.7%	100%	29.6%	29.0%	15.8%	25.6%	100%	34.5%	30.0%	13.3%	22.2%	100%	29.8%	27.4%	13.2%	29.6%	100%	32.1%	28.7%	13.3%	25.9%	100%
განათლებაზე ხელმისაწვდომობა (სული: დიახ - 21.4%)	18.7%	20.0%	38.2%	23.1%	100%	21.7%	26.7%	22.6%	29.0%	100%	20.8%	36.8%	16.8%	25.6%	100%	24.4%	42.2%	13.4%	20.0%	100%	22.6%	39.5%	15.1%	22.8%	100%
სამედიცინო მოსახურებაზე ხელმისაწვდომობა (სული: დიახ - 16.7%)	15.6%	48.4%	33.2%	2.8%	100%	16.7%	62.5%	19.1%	1.7%	100%	17.3%	54.1%	23.5%	5.1%	100%	17.3%	58.2%	20.0%	4.5%	100%	17.3%	56.1%	21.7%	4.9%	100%
სათანადო საბინაო პირობები (სული: დიახ - 15.4%)	16.0%	53.0%	30.5%	0.5%	100%	15.0%	50.7%	34.0%	0.3%	100%	14.6%	44.9%	39.8%	0.7%	100%	16.1%	47.4%	36.3%	0.2%	100%	15.4%	46.1%	38.0%	0.5%	100%
სათანადო საცხოვრებელი პირობები (სული: დიახ - 14.7%)	14.7%	54.1%	30.5%	0.7%	100%	13.2%	49.3%	37.2%	0.3%	100%	14.9%	44.0%	40.6%	0.5%	100%	15.9%	46.1%	37.6%	0.4%	100%	15.4%	45.0%	39.1%	0.5%	100%
ოჯახის წევრების ნათესავების და ნაცნობ-მეგობრების მონახულების შესაძლებლობა (დევნილობაშივე საცხოვრებელ ადგილზე) (სული: დიახ - 10.8%)	6.4%	13.0%	77.8%	2.8%	100%	5.9%	12.9%	80.6%	0.6%	100%	10.2%	20.5%	67.0%	2.3%	100%	20.3%	32.1%	45.9%	1.7%	100%	15.3%	26.3%	56.4%	2.0%	100%
საარსებო წყარო/შემოსავალი (სული: დიახ - 8.3%)	7.7%	60.4%	30.5%	1.4%	100%	7.6%	56.6%	34.6%	1.2%	100%	9.4%	46.8%	41.4%	2.4%	100%	8.6%	56.8%	32.4%	2.2%	100%	9.0%	51.8%	36.9%	2.3%	100%
სათანადო სამსახური (სული: დიახ - 7.0%)	9.0%	12.1%	75.8%	3.1%	100%	9.1%	12.9%	74.2%	3.8%	100%	5.3%	13.5%	74.1%	7.1%	100%	4.6%	12.1%	79.1%	4.2%	100%	4.9%	12.8%	76.6%	5.7%	100%

### 4.3 ამჟამინდელი საცხოვრებელი პირობები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა. და ლტოლვილთა სამინისტროს გათვლით იძულებით გადაადგილებულ პირთა დაახლოებით 51,000 ოჯახი (166,500 იძულებით გადაადგილებული პირი) ჯერ კიდევ საჭიროებს საბინაო პრობლემის გრძელვადიან გადნყვეტას.<sup>33</sup>

რესპონდენტთა 56.2%-მა განაცხადა, რომ მთავრობისგან ან არასამთავრობო ორგანიზაციისგან მიიღო საცხოვრებელი ან ფინანსური დახმარება სახლის ან ბინის შესაძენად, ხოლო 32.4% -მა აღნიშნა, რომ არ მიუღია. რესპონდენტთა იმ ჯგუფიდან ვინც თქვა, რომ მიიღო ზემოთ აღნიშნული დახმარება, 54.4% -ს ან უკვე პრივატიზირებული აქვს საცხოვრებელი ან ამჟამად ახდენს მის პრივატიზაციას (იხ. ცხრილი №4.5ა). აღსანიშნავია, რომ საქართველოში ოჯახების 94.8% საკუთრებაში აქვს საცხოვრებელი ფართი და/ან მინა.<sup>34</sup>

გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის უფრო დიდი ნაწილი (39.3%) ცხოვრობს კერძო სექტორში, 21.5% განაგრძობს ცხოვრებას არარეაბილიტირებულ კოლექტიურ ცენტრებში, 16.7% ცხოვრობს რეაბილიტირებულ კოლექტიურ ცენტრებში, 11.4% კოტეჯური ტიპის დასახლებებში და 10.5% - ახლად აშენებულ სახლებში (იხ. დიაგრამა № 2.2ბ).

რესპონდენტთა 26.3% -მა განაცხადა, რომ გრძელვადიანი გადნყვეტილების შეთავაზების შემთხვევაში, პრიორიტეტია მათი ამჟამინდელი საცხოვრებლის პრივატიზაცია, შემდეგი პრიორიტეტებია: ახალ ადგილას განსახლება რეაბილიტირებულ კოლექტიურ ცენტრში დიდ ქალაქში (13.7%), ახალ ადგილას განსახლება არარეაბილიტირებულ კოლექტიურ ცენტრში თბილისში (9.3%), ახალ ადგილას განსახლება სოფელში (8.5%), ან ახალ ადგილას განსახლება რეაბილიტირებულ კოლექტიურ ცენტრში ნებისმიერ ადგილას (5.1%) (იხ. დიაგრამა № 4.5ა).

გადაადგილების შემდეგ იძულებით გადაადგილებულ პირთა 43.9%-ს ან არ შეუცვლია საცხოვრებელი ან მხოლოდ ერთხელ შეიცვალა. 27.1%-ს საცხოვრებელი ორჯერ აქვს შეცვლილი, ხოლო 28%-ს – სამჯერ ან მეტჯერ (იხ. ცხრილი № 5ა).

რესპონდენტებს შორის, არარეაბილიტირებულ შენობებში ყველაზე დიდი რაოდენობით გალიდან იძულებით გადაადგილებულ პირები (35.3%) ცხოვრობენ (იხ. ცხრილი № 2.2ბ). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის ინტერვიუებისთვის განსაკუთრებით ძნელი აღმოჩნდა გალიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა (მათ შორის მათი, ვინც რეგისტრირებულია ახლად აშენებულ ბინებში) ადგილსამყოფელის დადგენა. მეზობლების ინფორმაციით, ეს პირები ნებაყოფლობით დაბრუნდნენ გალში. გალიდან

33 კომუნიკაცია ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ქ-ნ გვანცა შენგელიასთან; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მოადგილე. 2015 წლის 2 მარტი.

34 კომუნიკაცია ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ქალბატონ ირმა გვილავასთან, საქსტატი. შინამეურნეობათა ინტეგრირებული კვლევა: საქართველოს სტატისტიკა. 2013 წ. 2015 წლის 14 მაისი.



იძულებით გადაადგილებულ პირთა მხოლოდ 14.1%-მა განაცხადა, რომ ისინი ფლობენ ან თანასაკუთრებაში აქვთ სახლი/ბინა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. ეს ყველაზე მცირე პროცენტული რაოდენობაა ყველა იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის (იხ. ცხრილი № 4.3ა).

### საცხოვრებლის საკუთრებაში ფლობა საქართველოში

რესპონდენტთა ნახევარს, 50.9%-ს, არ გააჩნია სახლი, ბინა ან მიწის ნაკვეთი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

ცხრილი № 4.3ა იძულებით გადაადგილებულ პირთა პირადი საკუთრება საქართველოში (საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორია) დევნილობამდე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

ფლობთ თუ არა სახლს/ ბინას ან მიწის ნაკვეთს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე? n=2001	სულ	გადაადგილებული 2008 წლის კონფლიქტის დროს	სამხრეთ ოსეთი	აფხაზეთი		
				აფხაზეთი (გალის გარდა)	გალის რაიონი	სულ აფხაზეთი
დიახ, ჩემს ოჯახს აქვს სახლი/ბინა საკუთრებაში	25.30%	20.90%	26.50%	29.00%	24.70%	26.80%
დიახ, მე მაქვს სახლი/ბინა საკუთრებაში	13.30%	7.80%	17.30%	16.90%	11.30%	14.10%
დიახ, ჩემი ოჯახი ფლობს სახლს/ბინას და მიწის ნაკვეთს	3.00%	7.80%	2.90%	0.60%	0.60%	0.60%
დიახ, მე ვფლობ სახლს/ბინას და მიწის ნაკვეთს	2.20%	4.60%	2.90%	1.00%	0.20%	0.60%
დიახ, ჩემი ოჯახი ფლობს სახლს/ ბინას და მე ვარ თანამესაკუთრე	1.90%	0.90%	2.90%	1.30%	2.60%	2.00%
დიახ, ჩემი ოჯახი ფლობს მიწას	1.40%	1.80%	3.20%	0.60%	-	0.30%
დიახ, მე ვფლობ მიწას	1.10%	1.50%	2.30%	0.30%	0.20%	0.20%
დიახ, ჩემი ოჯახი ფლობს მიწას და მე ვარ თანამესაკუთრე	0.30%	0.20%	1.10%	-	-	-
დიახ, ჩემი ოჯახი ფლობს სახლს/ბინას და მიწას და მე ვარ თანამესაკუთრე	0.30%	1.30%	-	-	-	-
არა, ჩვენ/ მე არ ვფლობთ საკუთრებას	50.90%	53.20%	40.30%	50.20%	59.80%	55.00%
უარი პასუხზე	0.30%		0.60%	0.10%	0.60%	0.40%
სულ	100%	100%	100%	100%	100%	100%

რესპონდენტთა 25.3% -მა განაცხადა, რომ მათი ოჯახის წევრებს საკუთრებაში აქვთ სახლი ან ბინა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან (გალის



გარდა) 1990 წელს გადაადგილებული პირების ოდნავ მეტს სახლი ან ბინა აქვთ საკუთრებაში, ვიდრე იძულებით გადაადგილებულ პირებს გალიდან, ან მათ, ვინც 2008 წელს გადაადგილდნენ. რაც შეეხება მინის საკუთრებაში ფლობას, კვლევის შედეგების თანახმად, სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა (მათ შორის 2008 წლის კონფლიქტის დროს) უფრო მეტი ფლობს მინას, ვიდრე აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები.

#### 4.4 საცხოვრებლის გრძელვადიანი გადაწყვეტა

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ რესპონდენტთა თითქმის ერთ მესამედს არ მიუღია საცხოვრებელი (სახლი/ბინა) ან ფინანსური დახმარება ბინის შესაძენად სახელმწიფოსგან ან სხვა ორგანიზაციისგან, ხოლო ნახევარზე მეტს (56.2%) მიღებული აქვს ასეთი დახმარება სახელმწიფოსგან. ეს მონაცემები მსგავსია ოთხივე სამიზნე ჯგუფში. თუმცა, სამხრეთ ოსეთის მონაცემები ოდნავ განსხვავდება, რადგან, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებთან შედარებით, უფრო მეტმა სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულმა პირმა განაცხადა, რომ მიიღო ფინანსური დახმარება სახლის შესასყიდად.

ცხრილი №4.4ა განუვლი დახმარება საცხოვრებლი უზრუნველყოფაში დენილობამდე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

მივილიათ თუ არა საცხოვრებელი (სახლი/ბინა) ან ფინანსური დახმარება სახელმწიფოსგან ან სხვა ორგანიზაციისგან/დანესებულებისგან სახლის/ბინის შესასყიდად?	სულ	გადაადგილებული 2008 წლის კონფლიქტის დროს	სამხრეთ ოსეთი	აფხაზეთი		
				აფხაზეთი (გალის გარდა)	გალის რაიონი	სულ აფხაზეთი
დიახ, მივიღე დროებითი საცხოვრებელი სახელმწიფოსგან	56.2%	56.7%	49.6%	59.6%	58.7%	59.2%
არა, არ მიმიღია	32.4%	24.6%	31.3%	35.8%	37.4%	36.6%
დიახ, მიღებული მაქვს ფინანსური დახმარება სახელმწიფოსგან სახლის/ბინის საყიდლად	7.9%	16.9%	11.7%	1.5%	1.7%	1.6%
დიახ, მიღებული მაქვს ფინანსური დახმარება ორგანიზაციისგან/ დანესებულებისგან სახლის/ბინის საყიდლად	1.7%	0.4%	5.0%	0.6%	1.0%	0.8%
დიახ, მივიღე დროებითი საცხოვრებელი ორგანიზაციისგან/ დანესებულებისგან	1.3%	0.7%	1.8%	1.9%	1.0%	1.4%
უარი პასუხზე	0.5%	0.7%	0.6%	0.6%	0.2%	0.4%
სულ	100%	100%	100%	100%	100%	100%

## 4.5 საცხოვრებლის სასურველი გრძელვადიანი გადაწყვეტილება


გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირს შორის 1,351-ია ისეთი, ვინც მიიღო მთავრობის დახმარება, 54.4% -მა მოახდინა მათთვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართის პრივატიზაცია.<sup>35</sup> მათი უმრავლესობა არის აფხაზეთიდან (გალის გარდა) იძულებით გადაადგილებული პირი და 2008 წელს გადაადგილებული პირი. გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა ნახევარზე მეტს გალიდან, ჯერ არ აქვს საცხოვრებელი ფართი პრივატიზირებული.

ცხრილი № 4.5ა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი

თუ მიგილიათ საცხოვრებელი და ფლობთ თუ არა მას თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრები, ან ხომ არ ანარმობთ მის პრივატიზაციას? (სულ 1,351 რესპონდენტი)	სულ	გადაადგილებული 2008 წლის კონფლიქტის დროს	სამხრეთ ოსეთი	აფხაზეთი		
				აფხაზეთი (გალის გარდა)	გალის რაიონი	სულ აფხაზეთი
დიახ	54.4%	57.1%	54.3%	60.9%	44.6%	52.8%
არა	43.2%	40.8%	43.5%	37.5%	51.7%	44.6%
არ ვიცი	2.4%	2.1%	2.2%	1.6%	3.7%	2.6%
სულ	100%	100%	100%	100%	100%	100%

### თუ სახელმწიფომ შემოგთავაზათ საცხოვრებელი ფართი გრძელვადიანი პერიოდით, რას მიანიჭებთ უპირატესობას?

დიაგრამა №4.5ა



35 ტერმინი „პრივატიზაცია“, საქართველოში გამოიყენება, როგორც საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა.

გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის შეთავაზების შემთხვევაში, იძულებით გადაადგილებული პირები ამჯობინებენ მათი ამჟამინდელი საცხოვრებლის პრივატიზაციას (26.3%) ან აირჩევენ დიდ ქალაქში რეაბილიტირებულ კოლექტიურ ცენტრში განსახლებას (13.7%), არარეაბილიტირებულ კოლექტიურ ცენტრში განსახლებას თბილისში (9.3%), ან სოფელში საცხოვრებლის მიღებას (8.5%). რესპონდენტთა ერთი მეხუთედს არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი არჩევანი არ აკმაყოფილებს (იხ. დიაგრამა №4.5ა).

მონაცემები მსგავსია ოთხივე სამიზნე ჯგუფში. რესპონდენტთა უფრო დიდმა ნაწილმა (37.7%) მთავარ პრიორიტეტად მიიჩნია განსახლება სხვა საცხოვრებელ ადგილას. ქალაქის დასახლებებში განსახლების მსურველებს შორის პრიორიტეტული არჩევანი იყო კოლექტიური ცენტრები, ხოლო გამოკითხულ გადაადგილებულ პირთა 8.5%-მა და 2008 წელს გადაადგილებულთა 16.1%-მა უმეტესად არჩია სოფლად დასახლება. 2008 წელს იძულებით გადაადგილებულ პირებს ყველაზე მეტად სურთ მათი ამჟამინდელი საცხოვრებლის პრივატიზაცია (იხ. ცხრილი №4.5ბ).

ცხრილი № 4.5ბ იძულებით გადაადგილებულ პირთა პრიორიტეტები გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით

თუ შემოგთავაზებენ გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფას, რა იქნება თქვენი პრიორიტეტი?	სულ	გადაადგილებული 2008 წლის კონფლიქტის დროს	სამხრეთ ოსეთი	აფხაზეთი		
				აფხაზეთი (გალის გარდა)	გალის რაიონი	სულ აფხაზეთი
სახლის/ბინის პრივატიზაცია, სადაც ვცხოვრობ	26.3%	32.7%	24.6%	29.4%	18.6%	24.0%
რეაბილიტირებული კოლექტიური ცენტრი დიდ ქალაქში	13.7%	11.7%	11.5%	15.9%	15.8%	15.8%
არარეაბილიტირებული კოლექტიური ცენტრი თბილისში	9.4%	12.7%	14.4%	6.6%	3.8%	5.2%
სახლი სოფლად, რომელიც შემიძლია ავირჩიო	8.5%	16.1%	9.1%	3.4%	5.8%	4.6%
რეაბილიტირებული კოლექტიური ცენტრი სადმე	5.1%	3.7%	2.3%	3.2%	10.9%	7.1%
სხვა	5.0%	2.7%	2.9%	3.5%	10.9%	7.2%
არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილიდან	20.8%	13.6%	27.6%	23.2%	18.7%	20.9%
არ ვიცი	11.2%	6.8%	7.6%	14.8%	15.5%	15.2%
<b>სულ</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>

### გადანყვეტილებებთან დაკავშირებული კომუნიკაცია

იძულებით გადაადგილებულ პირებს დაუსვეს შეკითხვა იმის შესახებ, თუ კომუნიკაციის რომელი წყარო მიაჩნდათ ყველაზე ეფექტურად მათი პრობლემების გადასაწყვეტად. რესპონდენტთა უმეტესმა ნაწილმა უპასუხა, რომ მათი პრობლემების გადასაწყვეტად ყველაზე მნიშვნელოვანია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან კომუნიკაცია (32%). იძულებით გადაადგილებულმა პირებმა, აგრეთვე, ხაზი გაუსვეს ადგილობრივ ხელისუფლებასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ცენტრალურ ხელისუფლებასთან<sup>36</sup> კომუნიკაციის მნიშვნელობას, ასევე მედიის მიერ მათი პრობლემების გაშუქების საჭიროებას. რესპონდენტთა პასუხები ოთხივე სამიზნე ჯგუფში მსგავსია (იხ. ცხრილი №4.5გ).

ცხრილი №4.5გ იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების კომუნიკაცია<sup>37</sup>

როგორ შეიძლება უკეთ მიანვიდინოთ ხმა იძულებით გადაადგილებული პირთა პრობლემების გადაჭრის გზების მოსაძებნად?	სულ	გადაადგილებული 2008 წელს	სამხრეთ ოსეთი	აფხაზეთი		
				აფხაზეთი (გალის გარდა)	გალის რაიონი	სულ აფხაზეთი
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან კომუნიკაციით	32.0%	30.1%	33.9%	31.7%	32.6%	32.1%
ადგილობრივ ხელისუფლებასთან კომუნიკაციით	15.9%	19.2%	15.0%	14.7%	14.4%	14.6%
საერთაშორისო ორგანიზაციებთან კომუნიკაციით	15.0%	15.8%	15.1%	16.2%	12.8%	14.5%
მედიის მიერ პრობლემების გაშუქებით	13.4%	14.0%	13.1%	12.8%	13.7%	13.2%
ცენტრალურ ხელისუფლებასთან კომუნიკაციით	11.1%	11.2%	12.0%	11.6%	9.7%	10.7%
იძულებით გადაადგილებულ პირთა შეხვედრით საერთაშორისო ორგანიზაციებთან	0.1%	0.2%	-	-	0.1%	0.1%
UNHCR-თან კომუნიკაციით	0.02%	-	-	0.1%	-	0.05%
არ ვიცი	12.3%	9.4%	11.0%	13.0%	16.7%	14.8%

36 ეს შეეხება, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს გარდა, საქართველოს სხვა სამინისტროებს.

37 ერთზე მეტი პასუხი.

## 5. ახალ ადგილას განსახლება

- ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობას (57.1%) არ სურს ახალ ადგილას განსახლება, ხოლო 42.9%-ს აქვს ამის სურვილი. 1990-იან წლებში იძულებით გადაადგილებულ პირებს სამხრეთ ოსეთიდან ნაკლებად აქვთ სხვაგან განსახლების სურვილი, სხვა სამიზნე ჯგუფებთან შედარებით.
- ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა, რომელთაც არ სურთ ახალ ადგილას განსახლება ყველაზე დიდია თბილისში (72.6%). საქართველოს შიგნით სხვა ქალაქებში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ რესპონდენტებს შორის, დაახლოებით ნახევარს სურს ახალ ადგილას განსახლება, აგრეთვე სოფლებში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობას (63.9%) აქვს სხვაგან განსახლების სურვილი.
- ✓ სხვაგან განსახლების მსურველი იძულებით გადაადგილებულ პირთა პროცენტული რაოდენობა შედარებით უფრო მაღალია 16-24 (51.7%) და 25-39 (50.6%) წლის ასაკობრივ ჯგუფებში და უფრო დაბალია 40-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში (41.8%), და განსაკუთრებით დაბალია 60 წლის ან ზევით ასაკობრივ ჯგუფში (32.1%).
- ✓ ერთ-ერთი ფაქტორი, რაც ზეგავლენას ახდენს სხვაგან განსახლების სურვილზე, ოჯახის შემოსავალია: იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს, რომელთა საშუალო თვიური შემოსავალი უფრო დაბალია (417 ლარი) ნაკლებად აქვთ სხვაგან განსახლების სურვილი, ვიდრე უფრო მაღალი საშუალო თვიური შემოსავლის მქონე ოჯახებს (481 ლარი ან მეტი).
- ✓ რესპონდენტთა ნახევარი, ვისაც სურს ახალ ადგილას განსახლება, ამჯობინებს დიდ ქალაქში ცხოვრებას, ხოლო მეოთხედმა გამოთქვა რეგიონალურ ცენტრში ცხოვრების სურვილი. გალიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს ურჩევნიათ რეგიონალურ ცენტრში ცხოვრება (სახელდობრ ზუგდიდში, გალთან სიახლოვის გათვალისწინებით); და ყველა იძულებით გადაადგილებულ პირთა 14%-ს სურს სოფელში გადასვლა.
- ✓ მთავარი მიზეზები, რის გამოც იძულებით გადაადგილებულ პირებს სურთ ახალ ადგილას განსახლება არის: საარსებო წყარო (51.9%) და უკეთესი საცხოვრებელი პირობები (26.4%).

### გადაადგილებისა და სხვაგან განსახლების სიხშირე

იძულებით გადაადგილებულ პირთა ერთ მეოთხედზე მეტმა საცხოვრებელი ადგილი ორჯერ შეიცვალა და იგივე პროცენტმა მხოლოდ ერთხელ. რესპონდენტთა 15.7%-მა შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი 4 – 10-ჯერ. ყველაზე ხშირი იყო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების სხვაგან განსახლება, რაც გალიდან გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა 63.8%-ს და აფ-

ხაზეთიდან (გალის გარდა) იძულებით გადაადგილებულ პირთა 62%-ს შეადგენს, რომლებიც ორჯერ ან მეტჯერ გადავიდნენ სხვა ადგილას. დევნილად ქცევის შემდეგ, სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების სხვაგან განსახლების დონეც საკმაოდ მაღალია (57.2%). რესპონდენტთა დაახლოებით ერთ მეხუთედს საერთოდ არ შეუცვლია საცხოვრებელი ადგილი გადაადგილების შემდეგ და 2008 წელს გადაადგილებულ პირთა 62.3%-მა შეიცვალა ადგილი ერთხელ ან საერთოდ არ გადასულა სხვა ადგილას.

ცხრილი № 5ა გადაადგილების შემდეგ საცხოვრებელი ადგილის შეცვლის სიხშირე

რამდენჯერ შეიცვალეთ საცხოვრებელი ადგილი(ბინა/სახლი) დევნილობის შემდეგ? (პირველი გადაადგილების შემდეგ)	სულ	გადაადგილებული 2008 წლის კონფლიქტის დროს	სამხრეთ ოსეთი	აფხაზეთი		
				აფხაზეთი (გალის გარდა)	გალის რაიონი	სულ აფხაზეთი
2	27.1%	20.4%	28.2%	31.7%	28.0%	29.9%
1	24.7%	42.0%	14.6%	18.2%	24.2%	21.1%
0	19.2%	20.3%	27.9%	18.1%	10.9%	14.5%
4 – 10 -ჯერ	15.7%	6.8%	17.0%	17.0%	21.9%	19.4%
3	11.6%	10.3%	11.4%	12.1%	12.7%	12.4%
უარი პასუხზე	0.8%	0.2%	0.3%	1.7%	0.7%	1.3%
10-ზე მეტჯერ	0.7%	-	0.6%	1.2%	1.2%	1.2%
მიჭირს პასუხი	0.2%	-	-	-	0.4%	0.2%
სულ	100%	100%	100%	100%	100%	100%

პირველად გადაადგილების შემდეგ, რესპონდენტთა 41.1% კვლავ გადავიდა სხვა რეგიონში/ ქალაქში/სოფელში (იხ. ცხრილი №5ბ). 58.2% -მა უპასუხა, რომ არ გადასულა იმ ქალაქიდან/სოფლიდან, სადაც პირველად ჩამოვიდა (იხ. ცხრილი №.5ბ). იძულებით გადაადგილებულ პირთა 79.8%-მა განაცხადა, რომ ზოგადად შეიცვალეს საცხოვრებელი ადგილი (მათ შორის იმავე სოფელსა თუ ქალაქში, სადაც თავიდან დასახლდნენ გადაადგილების შემდეგ) (იხ. ცხრილი №5ა).

ცხრილი № 5ბ განსახლება გადაადგილების შემდეგ


გადაადგილების შემდეგ შეიცვლიათ თუ არა საცხოვრებელი ადგილი? (არ იგულისხმება იმავე სოფელსა თუ ქალაქში ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა)	სულ	გადაადგილებული 2008 წელს	სამხრეთ ოსეთი	აფხაზეთი		
				აფხაზეთი (გალის გარდა)	გალის რაიონი	სულ აფხაზეთი
არა	58.2%	48.8%	64.8%	62.7%	56.2%	59.5%
დიახ	41.1%	51.2%	34.6%	35.4%	43.2%	39.3%
უარი პასუხზე	0.7%	-	0.6%	1.9%	0.6%	1.2%
სულ	100%	100%	100%	100%	100%	100%

## 5.1 დემოგრაფია და ახალ ადგილას განსახლება

დიაგრამა №5.1ა

### გსურთ თუ არა ახალ ადგილას განსახლება?

N=2001



კვლევა გვიჩვენებს, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობას (57.1%) არ სურს სხვაგან განსახლება, ხოლო 42.9% -ს აქვს ახალ ადგილას განსახლების სურვილი. სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს ნაკლებად სურთ ახალ ადგილას განსახლება, ვიდრე აფხაზეთიდან გადაადგილებულ პირებს (დიაგრამა №5.1ა).

მონაცემების გაანალიზების შედეგად გამოვლინდა, რომ სხვაგან განსახლების მზაობა ურთიერთკავშირშია განსახლების ადგილთან, ასაკთან და ოჯახის საშუალო შემოსავალთან.

თბილისში გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა 72.6% -ს არ აქვთ ახალ ადგილას განსახლების სურვილი. საქართველოს სხვა ქალაქებში რესპონდენტთა დაახლოებით ნახევარმა გამოთქვა სხვაგან განსახლების სურვილი, ხოლო ნახევარს არ სურს სხვაგან განსახლება. სოფლებში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობა ამჯობინებს საცხოვრებელი ადგილის შეცვლას (იხ. ცხრილი №5.1ა).

ცხრილი № 5.1ა ახალ ადგილას განსახლების სურვილი ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილიდან გამომდინარე

ისურვებდით საცხოვრებელი ადგილის შეცვლას?	დასახლების ადგილი			სულ
	თბილისი	ქალაქი	სოფელი	
დიახ, ვისურვებდი	27.4%	49.3%	63.9%	42.9%
არა, არ ვისურვებდი	72.6%	50.7%	36.1%	57.1%
სულ	100%	100%	100%	100%

მათი პროცენტული რაოდენობა, ვისაც სურს ახალ ადგილას განსახლება შედარებით მაღალია 16-24 და 25-39 წლის ასაკის რესპონდენტთა შორის, ხოლო

40-59 წლის რესპონდენტთა შორის ასეთი სურვილი ნაკლებია და კიდევ უფრო ნაკლებია 60 წლის და ზევით ასაკობრივ ჯგუფში (იხ. ცხრილი №5.1ბ).

ცხრილი № 5.1 ბ ახალ ადგილას განსახლების სურვილი ასაკზე დაყრდნობით

ისურვებდით საცხოვრებელი ადგილის შეცვლას?	ასაკობრივი ჯგუფი				სულ
	16-24	25-39	40-59	60 და ზევით	
დიახ, ვისურვებდი	51.7%	50.6%	41.8%	32.1%	42.9%
არა, არ ვისურვებდი	48.3%	49.4%	58.2%	67.9%	57.1%
სულ	100%	100%	100%	100%	100%

ოჯახის უფრო დაბალი საშუალო თვიური შემოსავლის მქონე რესპონდენტებს უფრო მეტად სურთ ახალ ადგილას განსახლება, ვიდრე უფრო მაღალი საშუალო თვიური შემოსავლის მქონე ოჯახების წარმომადგენლებს (იხ. ცხრილი №5.1გ).


ცხრილი № 5.1გ ახალ ადგილას განსახლების სურვილი საშუალო თვიურ შემოსავალზე დაყრდნობით

ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი:	ისურვებდით საცხოვრებელი ადგილის შეცვლას?		სულ
	დიახ, ვისურვებდი	არა, არ ვისურვებდი	
	417 ლარი	481 ლარი	453 ლარი

## 5.2 ახალ ადგილას განსახლების სასურველი გადაწყვეტილება

### თუ გსურთ ახალ ადგილას განსახლება, რომელ ვარიანტს მიანიჭებთ უპირატესობას?

დიაგრამა №5.2ა



გალიდან იძულებით გადაადგილებული პირების გარდა, რესპონდენტთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ მათ არ სურდათ ამჟამინდელი საცხოვრებელი




ადგილიდან გადასვლა. იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებსაც სურდათ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, სთხოვეს დაეკონკრეტებინათ მათი პრიორიტეტები. რესპონდენტთა ნახევარს სურს დიდ ქალაქში ცხოვრება, ხოლო მეოთხედმა გამოთქვა რეგიონულ ცენტრში ცხოვრების სურვილი. გალიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობამ უპასუხა, რომ მათი პირველი არჩევანი იქნებოდა ქალაქში ცხოვრება; იმათი პროცენტული რაოდენობა, ვისაც ურჩევნია სოფელში გადასვლა ყველაზე მაღალია 2008 წელს სამხრეთ ოსეთიდან გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის (იხ. დიაგრამა №5.2ა).

გამოვლინდა იძულებით გადაადგილებულ პირთა სხვაგან განსახლების სურვილის რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზი. უმთავრეს მამოტივირებელ ფაქტორთა შორის არის საარსებო წყარო (51.9%) და უკეთესი საცხოვრებელი პირობები (26.4%). ეს ტენდენცია ოთხივე სამიზნე ჯგუფში მსგავსია (იხ. დიაგრამა №5.2ბ). ასევე, ნახსენები იყო სამედიცინო მომსახურებასა და განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები, ხოლო უსაფრთხოება ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, სხვა ჯგუფებთან შედარებით.

### ახალ ადგილას განსახლების სურვილის გამომწვევი მიზეზები

დიაგრამა №5.2ბ

N=900



## 6. ნებაყოფლობითი დაბრუნება

✓ რესპონდენტთა მნიშვნელოვან უმრავლესობას სურს დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას ნებაყოფლობით დაბრუნება. რესპონდენტებს შესთავაზეს ოთხი სავარაუდო არჩევანი ნებაყოფლობითი დაბრუნების სურვილის შესავასებლად:

- 1.) ნამდვილად დავბრუნდები ნებაყოფლობით;
- 2.) ალბათ დავბრუნდები ნებაყოფლობით;
- 3.) ალბათ არ დავბრუნდები ნებაყოფლობით;
- 4.) არ დავბრუნდები ნებაყოფლობით.

მთლიან შერჩევაში ნებაყოფლობით დაბრუნების მსურველთა რაოდენობა იძულებით გადაადგილებულ პირებს შორის არის 88.3%, მხოლოდ 4%-ს ნამდვილად არ სურს ნებაყოფლობით დაბრუნება, 4.9% ალბათ არ მოინდომებს ნებაყოფლობით დაბრუნებას და 2.5% -მა არ იცის.

- ✓ 2.6%-მა აღნიშნა, რომ სურს დაბრუნდეს დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე ნებაყოფლობით, თუ იგი „შეინარჩუნებს ამჟამინდელ სტატუსს და არ იქნება აღიარებული მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების მიერ“ 2.6%-ში შედიან პირები დევნილობამდე ყველა საცხოვრებელი ადგილიდან.
- ✓ რესპონდენტთა 42.8% არ თვლის, რომ ნებაყოფლობით დაბრუნება შესაძლებელია უახლოესი 10 წლის განმავლობაში.
- ✓ იძულებით გადაადგილებულმა პირებმა აფხაზეთიდან (გალის გარდა) ყველაზე დიდი სურვილი გამოთქვეს ნებაყოფლობით ნამდვილად დაბრუნების შესახებ (80.7%), ხოლო 1990-იან წლებში სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს შორის ეს სურვილი შედარებით ნაკლებ ადამიანს გააჩნია (55.1%). არჩევანი – „ნამდვილად დავბრუნდები, ნებაყოფლობით“, აგრეთვე, გაიზიარა გალიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა 70%-ზე მეტმა და მათ, ვინც გადაადგილდნენ 2008 წელს.
- ✓ რესპონდენტთა 91.5% ნებაყოფლობით დაბრუნებას განიხილავს როგორც ერთ-ერთ არჩევანს, თუ მოხდება აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის საქართველოსთან რეინტეგრაცია, ხოლო 12.3% სურს ნებაყოფლობით დაბრუნება აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში იმ შემთხვევაშიც, თუ მსოფლიოს ქვეყნები, საქართველოს ჩათვლით, აღიარებენ მათ დამოუკიდებლობას.
- ✓ ნებაყოფლობით დაბრუნების სურვილი ურთიერთკავშირშია ასაკთან: 16-24 და 25-39 წლის ასაკობრივ ჯგუფში შემავალი რესპონდენტები ნაკლებად აფიქსირებენ შემდეგ პოზიციას „ნამდვილად დავბრუნდები ნებაყოფლობით“

- (58.9% და 66.7% შესაბამისად) იძულებით გადაადგილებულ პირთა უფრო ასაკოვან თაობასთან შედარებით (60 წლის და ზევით ასაკობრივ ჯგუფში შეამავალი რესპონდენტების 78.4% მტკიცედ გამოხატავს ნებაყოფლობით დაბრუნების სურვილს).
- ✓ უფრო მეტმა მამრობითი სქესის რესპონდენტმა (76.9%) უპასუხა დადებითად შეკითხვას ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ, ვიდრე მდებარეობითი სქესის რესპონდენტმა (70.1%).
  - ✓ დევენილობამდე საცხოვრებელ ადგილას ქონების დაკარგვა ნებაყოფლობით დაბრუნების სურვილის არქონის მიზეზთა ჩამონათვალში პირველ მიზეზად დასახელდა (62.4%).
  - ✓ ოთხივე სამიზნე ჯგუფში ნებაყოფლობით დაბრუნების სურვილის მთავარ მიზეზებად დასახელდა შემდეგი: 1.) „მსურს ნებაყოფლობით დაბრუნება, დევენილობამდე საცხოვრებელ ადგილთან, ემოციური კავშირის გამო“ (30.9%); 2.) „მსურს ნებაყოფლობით დაბრუნება, რადგან იქ ჩემი სახლი და ქონებაა“ (28.7%); 3.) „მსურს ნებაყოფლობით დაბრუნება, რადგან იქ ჩემი ნათესავების საფლავებია“ (26%).
  - ✓ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი ფიქრობს, რომ შეძლებს ნებაყოფლობით სამუდამოდ დაბრუნებას დევენილობამდე საცხოვრებელ ადგილას. ამგვარ პოზიციას შედარებით ნაკლებად იზიარებენ დევენილები გალიდან.
  - ✓ რესპონდენტთა უმრავლესობა (70.7%) აცხადებს, რომ მათი ოჯახის წევრები იზიარებენ მათ დამოკიდებულებას ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ.
  - ✓ ნებაყოფლობითი დაბრუნების წინაპირობებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია უსაფრთხოება (19%) და საარსებო წყარო (13%), ამის შემდგომ სახელდება საკუთარ სახლში/ბინაში ნებაყოფლობითი დაბრუნება (12.9%), და სამოქალაქო უფლებების დაცვა (12.7%).
  - ✓ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დევენილობამდე საცხოვრებელი ადგილი მოინახულა რესპონდენტთა 21.4% -მა.
  - ✓ რესპონდენტთა დიდ უმრავლესობას (81.8%) აქვს დევენილობამდე საცხოვრებელი ადგილის მონახულების სურვილი უსაფრთხოების გარანტიის არსებობის შემთხვევაში.
  - ✓ რესპონდენტთა 44.8%-ს აქვს კონტაქტი დევენილობამდე საცხოვრებელ ადგილზე მცხოვრებ მოსახლეობასთან. იძულებით გადაადგილებულ პირებს გალიდან და 2008 წელს გადაადგილებულ პირებს შედარებით მეტი კონტაქტი აქვთ დევენილობამდე საცხოვრებელ ადგილას მცხოვრებ მოსახლეობასთან, ვიდრე სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან (გალის გარდა ) 1990-იან წლებში იძულებით გადაადგილებულ პირებს.

## 6.1 მოსაზრებები ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ


კვლევა გვაჩვენებს, რომ რესპონდენტთა უმრავლესობას სურს დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე ნებაყოფლობით დაბრუნება. მათ შესთავაზეს ოთხი არჩევანი ნებაყოფლობითი დაბრუნების სურვილის შესაფასებლად:

- 1.) ნამდვილად დავბრუნდები ნებაყოფლობით;
- 2.) ალბათ დავბრუნდები ნებაყოფლობით;
- 3.) ალბათ არ დავბრუნდები ნებაყოფლობით;
- 4.) არ დავბრუნდები ნებაყოფლობით.

იმ რესპონდენტების პროცენტული რაოდენობა, ვინც ფიქრობს, რომ ნამდვილად დაბრუნდება ნებაყოფლობით, შეადგენს 70.7%-ს. მათგან აფხაზეთიდან (გალის გარდა) იძულებით გადაადგილებულმა პირებმა ყველაზე მეტად გამოხატეს ნებაყოფლობითი ნამდვილად დაბრუნების სურვილი (80.7%), ხოლო 1990-იან წლებში სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც უპასუხეს, რომ ნამდვილად სურთ ნებაყოფლობით დაბრუნება, ყველაზე ნაკლებია (ამ ჯგუფში უფრო ხშირი პასუხი იყო: „ალბათ დავბრუნდები ნებაყოფლობით“, ხოლო ყველაზე დიდმა პროცენტმა განაცხადა, რომ არ დაბრუნდება ნებაყოფლობით) (იხ. დიაგრამა №6.1ა).

### გსურთ თუ არა ნებაყოფლობით დაუბრუნდეთ თქვენს დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილს სამუდამოდ?

დიაგრამა №6.1ა




ჩამოთვლილი ოთხი არჩევანის ანალიტიკურმა დაჯგუფებამ (რომელიც დაჯგუფდა ალბათური და დადებითი და ალბათური და უარყოფითი პასუხების შერ-

წყმით) გვარჩენა, რომ რესპონდენტთა დიდ უმრავლესობას (88.3%) სურს ნება-ყოფლობით დაბრუნება. სხვა სამიზნე ჯგუფებთან შედარებით, 1990-იან წლებში სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ რესპონდენტთა ყველაზე მეტმა პროცენტულმა რაოდენობამ (19.9%) განაცხადა, რომ არ სურდა დევენილობამდე საცხოვრებელ ადგილზე ნებაყოფლობით დაბრუნება (დიაგრამა №6.1ბ).

### გსურთ თუ არა ნებაყოფლობით დაუბრუნდეთ თქვენს დევენილობამდე საცხოვრებელ ადგილს?

დიაგრამა №6.1ბ




ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს ნებაყოფლობით დაბრუნებასთან დაკავშირებით წარმოადგენს ის, თუ რა პოლიტიკური სცენარით დაბრუნდებოდნენ იძულებით გადაადგილებული პირები დევენილობამდე საცხოვრებელ ადგილზე. მონაცემების მიხედვით, რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (90%) ნებაყოფლობით დაბრუნებას განიხილავს იმ შემთხვევაში, თუ მოხდება აფხაზეთის/სამხრეთ ოსეთის რეინტეგრაცია საქართველოსთან, ხოლო 12.3% დათანხმდებოდა ნებაყოფლობით დაბრუნებაზე მაშინაც კი, თუ აფხაზეთი/სამხრეთ ოსეთი გახდება დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელსაც აღიარებდნენ მსოფლიოს ქვეყნები საქართველოს ჩათვლით. რესპონდენტთა უმრავლესობამ უპასუხა, რომ ისინი არ დაბრუნდებოდნენ ნებაყოფლობით დევენილობამდე საცხოვრებელ ადგილას, თუ აფხაზეთი/სამხრეთ ოსეთი ინტეგრირდება რუსეთის ფედერაციასთან, შეინარჩუნებს ამჟამინდელ სტატუსს ან გახდება დამოუკიდებელი ქვეყანა, რომელსაც არ აღიარებს საქართველო (იხ. დიაგრამა

№6.1გ). მთლიან შერჩევაში, იძულებით გადაადგილებულ პირთა პროცენტული რაოდენობა, ვისაც ნებაყოფლობით სურს დაბრუნება, უდრის 88.3%-ს, ხოლო მხოლოდ 4% პასუხობს, რომ ნამდვილად არ სურს დაბრუნება, 4.9% ფიქრობს, რომ ალბათ არ სურს დაბრუნება და 2.5%-მა ჯერ არ იცის. დევნილთა მხოლოდ 2.6%-მა აღნიშნა, რომ სურს ნებაყოფლობით დაბრუნება დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე თუ იგი „შეინარჩუნებს ამჟამინდელ სტატუსს და არ იქნება აღიარებული მსოფლიოს უმეტესი სახელმწიფოების მიერ“. რესპონდენტთა 42.8%-ს არ სჯერა, რომ შესაძლებელია ნებაყოფლობით დაბრუნება მომავალი ათი წლის განმავლობაში (იხ. დიაგრამა №6.1ე).

### დაბრუნდებით თუ არა სამუდამოდ თქვენს დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას იმ შემთხვევაში, თუ ის...

დიაგრამა №6.1გ



როგორც უკვე აღინიშნა, იძულებით გადაადგილებულ პირთა მხოლოდ 2.6%-მა აღნიშნა, რომ დაბრუნდებოდა დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე თუ იგი შეინარჩუნებდა ამჟამინდელ სტატუსს, როგორც მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების მიერ არაღიარებული სახელმწიფო. სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებში პასუხებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არ ვლინდება (იხ. ცხრილი №6.1ა).

ცხრილი № 6.1ა ნებაყოფლობით დაბრუნების სურვილი თუ დევნილობამდე არსებული საცხოვრებელი ადგილი შეინარჩუნებს ამჟამინდელ სტატუსს, დევნილობამდე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით<sup>38</sup>

R9. დაბრუნდებით, თუ არა სამუდამოდ თქვენს დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას იმ შემთხვევაში, თუ...		P12. დევნილობამდე საცხოვრებელი ადგილი										სულ	
		2008 წელს იძულებით გადაადგილებული პირები		იძულებით გადაადგილებული პირები სამხრეთ ოსეთიდან		იძულებით გადაადგილებული პირები აფხაზეთიდან (გარდა გალისა)		იძულებით გადაადგილებული პირები აფხაზეთიდან გალის რაიონიდან		იძულებით გადაადგილებული პირები აფხაზეთიდან (სულ)		%	შეუწონავი რაოდენობა
		%	შეუწონავი რაოდენობა	%	შეუწონავი რაოდენობა	%	შეუწონავი რაოდენობა	%	შეუწონავი რაოდენობა	%	შეუწონავი რაოდენობა		
შეინარჩუნებს ამჟამინდელ სტატუსს და არ იქნება აღიარებული მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების მიერ	დიახ	2.6%	12	2.9%	10	3.8%	26	1.2%	6	2.5%	32	2.6%	54
	არა	94.3%	429	92.7%	316	89.2%	610	93.1%	485	91.1%	1,095	92.3%	1,840
	არ ვიცი	3.1%	14	4.4%	15	7.0%	48	5.8%	30	6.4%	78	5.1%	107
სულ		100%	455	100%	341	100%	684	100%	521	100%	1,205	100%	2,001

ნებაყოფლობით დაბრუნების პრიორიტეტების შესწავლისას, დევნილობამდე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით დაყოფილი სამიზნე ჯგუფებში გამოვლინდა მსგავსი მონაცემები, მცირედი განსხვავებებით: 1990-იან წლებში სამხრეთ ოსეთიდან გადაადგილებულთა შორის (სხვა ჯგუფებთან შედარებით) უფრო ნაკლები რაოდენობა აცხადებს, რომ დაბრუნდება ნებაყოფლობით, თუ მოხდება რეგიონის რეინტეგრაცია საქართველოსთან (იხ. ცხრილი №6.1ბ).

38 მოცემული კვლევის შერჩევის ზომა: N=2,001 რესპონდენტს. მიუხედავად იმისა, რომ შერჩევის მიდგომა მიზნად ისახავს საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა მოსახლეობის სრულად წარმომჩენას, ოჯახთა რიცხვი, რომელმაც დადებითი პასუხი გასცა შეკითხვას (54) ძალზე დაბალია. ამდენად, შედეგების შემდგომი დაჯგუფება მოსახლეობის მიერ კითხვაზე დადებითი პასუხის მიხედვით მიზანშეუწონელია და არ არის რეკომენდირებული.



ცხრილი № 6.1ბ ნებაყოფლობით სამუდამოდ დაბრუნების პირობები

განიხილავთ ნებაყოფლობით სამუდამოდ დაბრუნების შესაძლებლობას დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას თუ იგი:	სულ	2008 წელს გადაადგილებული	სამხრეთ ოსეთი	აფხაზეთი		
				აფხაზეთი (გალის გარდა)	გალის რაიონი	სულ აფხაზეთი
რეინტეგრირდება საქართველოსთან	91.5%	94.3%	83.6%	94.4%	93.7%	94.1%
შეინარჩუნებს ამჟამინდელ სტატუსს და არ იქნება აღიარებული მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების მიერ	2.6%	2.6%	2.9%	3.8%	1.2%	2.5%
გახდება დამოუკიდებელი სახელმწიფო აღიარებული მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების მიერ, მაგრამ არ იქნება აღიარებული საქართველოს მიერ	2.6%	3.1%	2.1%	3.4%	1.9%	2.6%
გახდება დამოუკიდებელი სახელმწიფო აღიარებული მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს მიერ	12.3%	13.0%	11.7%	15.9%	8.4%	12.2%
ინტეგრირდება რუსეთის ფედერაციაში	3.7%	3.1%	4.4%	4.7%	2.7%	3.7%

შესაძლო პოლიტიკური სცენარების მიღმა, იძულებით გადაადგილებულმა პირებმა ჩამოთვალეს, სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში, ნებაყოფლობითი დაბრუნების სურვილის მთავარი მიზეზები. სამი ყველაზე ხშირად შერჩეული პასუხი იყო:


1. მსურს ნებაყოფლობით დაბრუნება დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილთან ემოციური კავშირის გამო (30.9%);
2. მსურს ნებაყოფლობით დაბრუნება რადგან ჩემი სახლი და საკუთრება იქ არის (28.7%);
3. მსურს ნებაყოფლობით დაბრუნება რადგან იქ ჩემი ნათესავების საფლავებია (26%).



### რა არის დაბრუნების სურვილის მთავარი მიზეზი?

დიაგრამა №6.1დ

N=1,792




ემოციური კავშირები, კერძო საკუთრება და ნათესავთა საფლავების მონახულება ყველა სამიზნე ჯგუფის მიერ დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე ნებაყოფლობითი დაბრუნების სურვილის დასახელებულ მიზეზთა შორის ყველაზე პრიორიტეტული იყო. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული რესპონდენტები უფრო იშვიათად ასახელებდნენ ნებაყოფლობითი დაბრუნების სურვილის მთავარ მიზეზად დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილთან ემოციურ კავშირს. გალიდან იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ნებაყოფლობითი დაბრუნების სურვილის მთავარი მიზეზია მათი ოჯახებისა და მეგობრების იქ ყოფნა. 2008 წელს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ნებაყოფლობითი დაბრუნების სურვილის უმთავრესი მიზეზი უკავშირდება სოციალურ და ეკონომიურ პირობებს დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას, რაც ნიშნავს, რომ ეს ჯგუფი, ყველა სხვა ჯგუფთან შედარებით, ინარჩუნებს ძლიერ ეკონომიურ კავშირებს დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილთან.

ცხრილი № 6.1გ ნებაყოფლობით დაბრუნების სურვილის პრიორიტეტული მიზეზები<sup>9</sup>


რა არის მთავარი მიზეზი, რის გამოც გასურთ დაბრუნება?	სულ	2008 წელს გადაადგილებული	სამხრეთ ოსეთი	აფხაზეთი		
				აფხაზეთი (გალის გარდა)	გალის რაიონი	სულ აფხაზეთი
ემოციური კავშირი ჩემს დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილთან	71.9%	77.3%	77.5%	67.5%	66.5%	67.0%
ჩემი სახლი და საკუთრება იქ არის	66.9%	70.3%	63.0%	68.1%	65.5%	66.8%
იქ ჩემი ნათესავების საფლავებია	60.6%	69.1%	64.9%	59.7%	49.7%	54.7%
ჩემი ოჯახი და ნათესავები იქ იმყოფებიან	19.4%	12.7%	8.4%	16.6%	38.1%	27.3%
სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობები	12.4%	24.4%	6.1%	11.0%	7.4%	9.2%
სხვა	0.3%	0.5%	0.4%	-	0.2%	0.1%
არ ვიცი	1.5%	0.5%	1.5%	1.9%	2.1%	2.0%

### ფიქრობთ თუ არა, რომ უახლოეს 10 წელიწადში შეძლებთ დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე ნებაყოფლობით დაბრუნებას სამუდამოდ?

დიაგრამა №6.1ე



### ფიქრობთ თუ არა, რომ შეძლებთ დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე ნებაყოფლობით და სამუდამოდ დაბრუნებას?




39 ერთზე მეტი პასუხი.

რაც შეეხება დროს, 42.8% ფიქრობს, რომ ვერ დაბრუნდება დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე შემდეგი ათი წლის განმავლობაში, ხოლო 26.5% -ს უჭირს დააფიქსიროს მისი პოზიცია ამ საკითხზე. მიუხედავად ამისა, რეპონდენტთა ნახევარზე მეტი ფიქრობს, რომ შეძლებენ ნებაყოფლობით დაბრუნებას სამუდამოდ დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე, გამონაკლისია გალიდან იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთა მეოთხედზე მეტი ვერ ხედავს ნებაყოფლობით დაბრუნების გრძელვადიანი გადაწყვეტის რეალურ შესაძლებლობას (დიაგრამა №6.1ე).

### თქვენი ოჯახის წევრები იზიარებენ თუ არა თქვენს დამოკიდებულებას დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას ნებაყოფლობით დაბრუნების შესახებ?

დიაგრამა №6.1ვ



რესპონდენტთა უმრავლესობა აცხადებს, რომ მათი ოჯახის წევრები იზიარებენ მათ დამოკიდებულებას ნებაყოფლობით დაბრუნებასთან დაკავშირებით. მცირე განსხვავებები ამ საკითხზე შეინიშნება სამხრეთ ოსეთიდან გადაადგილებულ პირებს შორის. (დიაგრამა №6.1ვ).


ის რესპონდენტები, რომლებსაც არ სურთ ნებაყოფლობითი დაბრუნება მთავარ მიზეზად ასახელებენ დაკარგულ საკუთრებას დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას (32%).

ნებაყოფლობით დაბრუნების სურვილის არქონის სხვა მიზეზთა შორის სახელდება ის, რომ დევნილებს საკუთარი ოჯახები და მეგობრების უმეტესობა ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილას ჰყავთ, ასევე უსაფრთხოების მდგომარეობა დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას, ემოციური კავშირის არქონა და ჯანმრთელობის მდგომარეობა. რამდენიმე იძულებით გადაადგილებულმა პირმა ნებაყოფლობით დაბრუნების სურვილის უქონლობის მიზეზად დაასახელა საარსებო წყაროსა და მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა (დიაგრამა №6.1ზ).

### თუ არ გსურთ ნებაყოფლობით დაბრუნება, რა არის ამის მიზეზი?

დიაგრამა №6.1ზ

N=155



ნებაყოფლობითი დაბრუნების სურვილის უქონლობის მიზეზთა შორის გამოიკვეთა შემდეგი განსხვავებები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებში<sup>40</sup>:

- ✓ 2008 წელს იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის, სხვა სამიზნე ჯგუფებთან შედარებით, დაბრუნების სურვილის არქონის მიზეზებიდან ყველაზე მეტად დასახელდა უსაფრთხოება. გალიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უფრო ნაკლებმა რაოდენობამ უპასუხა, რომ მათი პოზიცია უკავშირდება ოჯახის წევრებსა და მეგობრებს, უსაფრთხოებას, უკეთეს მომსახურებას, ცხოვრების უკეთეს პირობებს და ემოციური კავშირის არქონას. სხვა ჯგუფებთან შედარებით, ისინი ყველაზე ხშირად აღნიშნავენ, რომ არ სურთ ნებაყოფლობით დაბრუნება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.
- ✓ აფხაზეთიდან (გალის გარდა) იძულებით გადაადგილებული პირები უფრო ხშირად აღნიშნავენ ემოციური კავშირის არარსებობას დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილთან.

40 რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ერთზე მეტი პასუხი. №6.1დ ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები გამოთვლილია როგორც >100%, რადგან რესპონდენტებს შეეძლოთ სხვადასხვა პასუხების არჩევა.

ცხრილი № 6.1დ მიზეზი თუ რატომ არ გსურთ ნებაყოფლობით დაბრუნება

თუ არ გსურთ ნებაყოფლობით დაბრუნება, რა არის ამის მიზეზი? (N=155)	სულ	2008 წლის კონფლიქტის დროს გადაადგილებული	სამხრეთი	აფხაზეთი		
				აფხაზეთი (გალის გარდა)	გალის რაიონი	სულ აფხაზეთი
დაეკარგე ყველაფერი (სახლი, მიწა)	62.4%	43.3%	69.1%	59.4%	64.0%	61.7%
ოჯახის ყველა წევრი და მეგობრები აქ არიან	43.3%	33.3%	50.0%	40.6%	32.0%	36.3%
უსაფრთხოების გამო	29.4%	36.7%	29.4%	25.0%	24.0%	24.5%
არ მაქვს ემოციური კავშირი ჩემს დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილთან	19.9%	13.3%	22.1%	28.1%	12.0%	20.0%
ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ მაძლევს ამის საშუალებას	13.9%	10.0%	13.2%	15.6%	20.0%	17.8%
საარსებო წყარო	10.7%	13.3%	11.8%	9.4%	4.0%	6.7%
აქ უკეთესი მომსახურებაა (სამედიცინო, საგანმანათლებლო და სხვა)	9.1%	13.3%	10.3%	3.1%	4.0%	3.6%
სხვა	3.6%	3.3%	4.4%	-	4.0%	2.0%
მიჭირს პასუხის გაცემა	2.8%	10.0%	-	3.1%	4.0%	3.6%

ნებაყოფლობითი დაბრუნების სურვილის არქონის ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზებთან ერთად, იძულებით გადაადგილებული პირები თვლიან, რომ არსებობს დაბრკოლებები დევნილობამდე საცხოვრებელი ადგილზე ჩასვლასთან დაკავშირებით, რომელთა შორის არის დაპატიმრების შიში (22.8%), რუსეთის ჯარი (22.3%), ძალადობის შიში (20.7%) ან დოკუმენტების არქონა (17.5%) (იხ. ცხრილი №6.1ე). ძალადობის შიში მეტად გამოკვეთილია 1990-იან წლებში იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის, ხოლო დაპატიმრების შიში განსაკუთრებით ძლიერია აფხაზეთიდან დევნილებში. სხვა რესპონდენტებთან შედარებით, გალიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს ყველაზე მეტად ეშინიათ რუსეთის ჯარის. სხვა ჯგუფებთან შედარებით, 2008 წელს იძულებით გადაადგილებული პირები და გალიდან იძულებით გადაადგილებული პირები ყველაზე მეტად აღნიშნავენ დოკუმენტებთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ცხრილი № 6.1ე დევნილობამდე საცხოვრებელი ადგილის მონახულების დამაბრკოლებელი ფაქტორები<sup>41</sup>

რა დაბრკოლებები არსებობს თქვენს დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე ჩასვლის მხრივ?	სულ	2008 წლის კონფლიქტის დროს გადაადგილებული	სამხრეთ ოსეთი	აფხაზეთი		
				აფხაზეთი (გალის გარდა)	გალის რაიონი	სულ აფხაზეთი
დაპატიმრების შიში	22.8%	20.8%	20.6%	25.2%	24.9%	25.1%
რუსეთის ჯარი	22.3%	20.2%	22.6%	22.3%	24.1%	23.2%
ძალადობის შიში	20.7%	17.4%	20.6%	23.1%	21.8%	22.4%
საბუთების არქონა	17.5%	19.2%	15.7%	16.8%	18.5%	17.7%
მავთულხლართები	10.1%	13.1%	14.3%	6.8%	5.7%	6.3%
ტრანსპორტის არარსებობა	3.4%	3.8%	4.7%	2.6%	2.4%	2.5%
სხვა	1.3%	3.7%	0.7%	0.7%	0.4%	0.5%
არ არსებობს დაბრკოლებები	0.2%	0.7%	-	0.1%	-	0.1%

რესპონდენტთა ნახევარზე მეტი ნაწილობრივ არის ინფორმირებული მათი დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე მიმდინარე მოვლენების შესახებ, ხოლო თითქმის მესამედმა აღნიშნა, რომ არ არიან ინფორმირებულები. მიღებული შედეგების მიხედვით, გალიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს და 2008 წელს გადაადგილებულებს მეტი ინფორმაცია აქვთ დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე არსებული სიტუაციის შესახებ, ვიდრე 1990-იან წლებში გადაადგილებულ პირებს სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან (გალის გარდა) (იხ. ცხრილი №6.1ვ).

ცხრილი № 6.1ვ ინფორმაცია დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას არსებული სიტუაციის შესახებ

რამდენად ინფორმირებული ხართ ომამდე თქვენს ყოფილ საცხოვრებელ ადგილას მიმდინარე მოვლენების შესახებ?	სულ	2008 წლის-კონფლიქტის დროს გადაადგილებული	სამხრეთ ოსეთი	აფხაზეთი		
				აფხაზეთი (გალის გარდა)	გალის რაიონი	სულ აფხაზეთი
ნაწილობრივ მაქვს ინფორმაცია	51.9%	54.3%	39.9%	49.4%	63.9%	56.7%
არ ვარ ინფორმირებული	31.2%	29.2%	43.7%	38.0%	14.2%	26.1%
სრულიად ინფორმირებული ვარ	13.2%	13.0%	11.7%	8.5%	19.8%	14.1%
არ ვიცი	3.7%	3.5%	4.7%	4.1%	2.1%	3.1%
სულ	100%	100%	100%	100%	100%	100%

41 ერთზე მეტი პასუხი.

## 6.2 დემოგრაფია და დაბრუნება


ნებაყოფლობით დაბრუნების სურვილი ურთიერთკავშირშია ასაკთან, სქესთან და გადაადგილების დროს რესპონდენტთა ასაკთან.

ცხრილი № 6.2ა დამოკიდებულება ნებაყოფლობით დაბრუნების მიმართ ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

ისურვებდით ნებაყოფლობით სამუდამოდ დაბრუნებას დეენილობამდე საცხოვრებელ ადგილას ?	ასაკობრივი ჯგუფი				სულ
	16-24	25-39	40-59	60+	
ნამდვილად დავბრუნდები	58.9%	66.7%	76.4%	78.4%	72.7%
ალბათ, დავბრუნდები	26.0%	22.7%	16.1%	13.1%	18.1%
ალბათ არ დავბრუნდები/არ დავბრუნდები <sup>42</sup>	15.1%	10.6%	7.5%	8.5%	9.2%
სულ	100%	100%	100%	100%	100%

### ფიქრობთ თუ არა, რომ

დიაგრამა №6.2ა



ნებაყოფლობით დაბრუნების სურვილი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. ზოგადად, 16-24 და 25-39 წლის ასაკობრივი ჯგუფების რესპონდენტებს ნაკლებად სურთ ნებაყოფლობით დაბრუნება, ვიდრე 40-59 და 60 წელს გადაცილებულ რესპონდენტებს (იხ. ცხრილი №6.2ა)

42 მონაცემები დაჯგუფდა ანალიტიკურად, მოცემული პასუხების თითოეულ ჯგუფთან შესაბამისობაში მოყვანის და კვლევის ცდომილების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. ამ შემთხვევაში, აკუმულირდა მხოლოდ პასუხები „ალბათ არ დავბრუნდები“ და „არ დავბრუნდები“, რადგან რესპონდენტთა რიცხვი, ვინც ეს პასუხი გასცა ძალზე მცირე იყო.

16-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში რესპონდენტთა ნახევარს მიაჩნია, რომ შეძლებენ ნებაცხოვრებით სამუდამოდ დაბრუნებას დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე, 25.2% ფიქრობს, რომ ეს შესაძლებელი იქნება შემდეგი 10 წლის განმავლობაში. ოჯახის სხვა წევრების მოსაზრებებს თუ შევადარებთ, 38.9% ფიქრობს, რომ მათი ოჯახის ახალგაზრდა თაობა ნებაცხოვრებით დაბრუნდება დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე (იხ. დიაგრამა №6.2ა)<sup>43</sup>

სხვა სამიზნე ჯგუფებთან შედარებით, 1990-იან წლებში სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები ფიქრობენ, რომ ნაკლებ სავარაუდოა მათი ოჯახებიდან ახალგაზრდა თაობის ნებაცხოვრებით დაბრუნება დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე (იხ. ცხრილი №6.2ბ).

ცხრილი № 6.2ბ ახალგაზრდა თაობის ნებაცხოვრებით დაბრუნება

ფიქრობთ თუ არა, რომ თქვენს ოჯახში მცხოვრები ახალი თაობა დაბრუნდება თქვენს დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას?	სულ	2008 წლის კონფლიქტის დროს გადაადგილებული	სამხრეთ ოსეთი	აფხაზეთი		
				აფხაზეთი (გალის გარდა)	გალის რაიონი	სულ აფხაზეთი
დიახ	38.9%	41.8%	30.2%	41.5%	42.0%	41.8%
არა	20.7%	14.7%	29.3%	17.8%	20.9%	19.4%
ჩემს ოჯახში არ არის ახალგაზრდა თაობა	20.9%	24.0%	21.1%	22.5%	15.9%	19.2%
არ ვიცი	19.5%	19.5%	19.4%	18.2%	21.2%	19.6%
<b>სულ</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>

რაც შეეხება სქესს, მამაკაცებს ოდნავ მეტად სურთ ნებაცხოვრებით დაბრუნება, ვიდრე ქალებს (იხ. ცხრილი №6.2გ).

ცხრილი № 6.2გ ნებაცხოვრებით დაბრუნების სურვილი სქესის მიხედვით

გსურთ თუ არა ნებაცხოვრებით დაბრუნდეთ თქვენს დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას სამუდამოდ?	სქესი		სულ
	მდედრობითი	მამრობითი	
ნამდვილად დავბრუნდები	70.1%	76.9%	72.7%
ალბათ დავბრუნდები	19.9%	15.2%	18.1%
ალბათ არ დავბრუნდები/არ დავბრუნდები	10.0%	7.9%	9.2%
<b>სულ</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>


43 პროცენტული რაოდენობა წარმოადგენს იმ იძულებით გადაადგილებულ პირებს, ვინც დადებითად უპასუხა მოცემულ შეკითხვას.



### 6.3 ნებაყოფლობითი დაბრუნების პირობები

#### თუ განიხილავთ დაბრუნებას დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას, რა პირობების დაკმაყოფილება იქნება თქვენთვის მნიშვნელოვანი?

დიაგრამა №6.3ა



რესპონდენტთა უმრავლესობას სურს ნებაყოფლობით დაბრუნება; თუმცა, ამისათვის საჭიროა გარკვეული პირობების დაკმაყოფილება. უსაფრთხოების გარანტია ყველაზე მნიშვნელოვან პირობად სახელდება რესპონდენტთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შემთხვევაში, მას მოსდევს საარსებო წყაროს მიღების შესაძლებლობები, საკუთარ სახლებში დაბრუნების შესაძლებლობა და სამოქალაქო უფლებების დაცვა. მონაცემები ერთმანეთის მსგავსია ყველა სამიზნე ჯგუფში (დიაგრამა №6.3ა).

354-მა დევნილმა რესპონდენტმა უპასუხა, რომ ნებაყოფლობით დაბრუნდებიან დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ მოხდება მათი რეგიონის საქართველოსთან ინტეგრაცია. იძულებით გადაადგილებულ პირებს, ვინც ამგვარი პასუხი გასცა, სთხოვეს გაეზიარებინათ მათი მოსაზრებები ნებაყოფლობით დაბრუნების პირობებთან დაკავშირებით. ამ ჯგუფმა აღნიშნა, რომ მათ სურთ ნებაყოფლობით დაბრუნება დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე იმ შემთხვევაშიც, თუ საქართველო ვერ აღადგენს კონტროლს დაკარგულ ტერიტორიაზე, ოღონდ თუ შეინარჩუნებენ საქართვე-

ლოს მოქალაქეობას, ექნებათ თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა და თუ რუსეთის ჯარები დატოვებენ ტერიტორიას (ცხრილი №6.3ა).

ცხრილი 6.3ა<sup>44</sup> პირობები ნებაყოფლობითი დაბრუნებისთვის თუ საქართველო ვერ აღადგენს კონტროლს დაკარგულ ტერიტორიაზე (დეფინილობამდე საცხოვრებელი ადგილი)

თუ ფიქრობთ თქვენს დეფინილობამდე საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებას იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველო ვერ აღადგენს კონტროლს დაკარგულ ტერიტორიაზე, რა პირობების დაკმაყოფილება იქნება თქვენთვის მნიშვნელოვანი? (N=354)	სულ	2008 წლის კონფლიქტის დროს გადაადგილებული	სამხრეთ ოსეთი	აფხაზეთი		
				აფხაზეთი (გაბლის გარდა)	გაბლის რაიონი	სულ აფხაზეთი
თუ შევინარჩუნებ საქართველოს მოქალაქეობას	14.8%	13.5%	11.5%	16.3%	17.8%	16.9%
თუ შესაძლებლობა მექნება თავისუფლად ვიმგზავრო როგორც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ასევე ჩემს დეფინილობამდე საცხოვრებელ ადგილას	13.7%	12.5%	14.3%	13.3%	14.9%	14.0%
თუ რუსეთის ჯარი დატოვებს დაკავებულ ტერიტორიას	12.3%	12.2%	13.8%	12.1%	11.3%	11.8%
თუ დავიბრუნებ ჩემს ქონებას/საკუთრებას	11.1%	9.8%	12.4%	12.8%	8.7%	11.1%
თუ ადგილობრივი ხელისუფლება დაგვიცავს იქ დაბრუნებულ ქართველებს და არ მოხდება ჩვენი დისკრიმინაცია	9.7%	11.0%	9.2%	9.9%	8.4%	9.3%
თუ ბავშვებს შესაძლებლობა ექნებათ ისწავლონ ქართულენოვან სკოლებში	7.8%	8.3%	7.4%	6.9%	8.7%	7.7%
თუ მექნება ყველა ის უფლება, რაც ადგილობრივ მოქალაქეს გააჩნია (მაგალითად, არჩევნებში მონაწილეობის და პარლამენტში არჩევის უფლება და სხვა)	7.5%	8.6%	6.9%	7.3%	7.1%	7.2%
თუ სხვა იძულებით გადაადგილებული პირებიც დაბრუნდებიან	7.4%	9.2%	9.2%	6.2%	5.2%	5.8%
თუ ის იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც დაბრუნდებიან, საქართველოს დანარჩენი მოქალაქეების მიერ არ იქნებიან მიჩნეულები საქართველოს მოქალაქეებად	4.2%	4.6%	2.8%	4.3%	5.2%	4.6%
თუ მექნება შესაძლებლობა გამოვიმუშავო იმდენივე ან უფრო მეტი თანხა, რასაც აქ გამოვიმუშავებ	4.0%	4.0%	5.1%	3.5%	3.6%	3.6%
თუ მექნება ხელმისაწვდომობა დოკუმენტებზე (საკუთრების უფლება, მოქალაქეობის უფლება და ა.შ.)	3.7%	4.6%	1.8%	4.1%	3.9%	4.0%
სხვა	0.2%	0.3%	0.5%	-	-	-
არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი	1.0%	-	2.3%	0.9%	1.0%	0.9%
ყველა შემთხვევაში	0.2%	-	-	0.4%	0.6%	0.5%
უარი პასუხზე	0.9%	1.2%	0.9%	0.4%	1.3%	0.7%
მიჭირს პასუხის გაცემა	1.5%	0.3%	1.8%	1.8%	2.3%	2.0%

44 ერთზე მეტი პასუხი. ამ შეკითხვას უპასუხეს რესპონდენტებმა, რომლებიც თანახმა არიან დაბრუნდნენ დეფინილობამდე საცხოვრებელ ადგილზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ მოხდება მათი რეგიონის საქართველოსთან ინტეგრაცია.

გამოკითხულმა იძულებით გადაადგილებულმა პირებმა აღწერეს მათი ყოფილი სახლების მდგომარეობა დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე: რესპონდენტთა ნახევარზე მეტის სახლები დანგრეული, დამწვარი ან განადგურებულია. რესპონდენტთა 20.2%-ის სახლები დაკავებული აქვთ სხვა ადამიანებს, სახლის მესაკუთრის ნებართვის გარეშე, მეტწილად აფხაზეთში (გალის გარდა) (39.9%) და სამხრეთ ოსეთში (29.6%). რესპონდენტთა 14.2%-ის სახლები მიტოვებულია. ყველაზე ნაკლები სახლი მიტოვებულია აფხაზეთში (გალის გარდა) (4.4%) და ყველაზე მეტი მიტოვებული სახლი ეკუთვნით 2008 წელს იძულებით გადაადგილებულ პირებს (29.9%). სხვა ჯგუფებთან შედარებით, გალიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს შორის იმ რესპონდენტთა პროცენტული რაოდენობა, რომელთა სახლებშიც ოჯახის წევრები ცხოვრობენ (15.4%), ყველაზე დიდია. აფხაზეთიდან (გალის გარდა) გადაადგილებულ პირთა 13.7%-მა არ იცის, რა მდგომარეობაშია მათი სახლები; თუმცა სხვა სამიზნე ჯგუფებში ეს ნაკლებად შეიმჩნევა (იხ. ცხრილი №6.3ბ).

ცხრილი № 6.3ბ ყოფილი საცხოვრებლის მდგომარეობა დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას<sup>45</sup>

რა მდგომარეობაშია თქვენი ყოფილი საცხოვრებელი სახლი/ბინა დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას?	სულ	2008 წლის კონფლიქტის დროს გადაადგილებული	სამხრეთ ოსეთი	აფხაზეთი		
				აფხაზეთი (გალის გარდა)	გალის რაიონი	სულ აფხაზეთი
დანიშნულ/დაინვა / განადგურდა	54.4%	60.4%	58.1%	47.4%	51.8%	49.6%
სხვა ადამიანები ცხოვრობენ ჩვენი ნებართვის გარეშე	20.2%	5.5%	29.6%	39.9%	5.8%	22.8%
მიტოვებულია	14.2%	29.9%	7.9%	4.4%	14.8%	9.6%
ნაწილობრივ დანგრეულია	10.8%	10.5%	12.0%	7.6%	12.9%	10.2%
ჩვენი ოჯახი სარგებლობს	6.3%	7.5%	1.8%	0.6%	15.4%	8.0%
სხვა ადამიანები ცხოვრობენ ჩვენი ნებართვით	3.0%	2.6%	2.3%	2.9%	4.2%	3.6%
გაყიდე	0.6%	-	0.9%	-	1.3%	0.7%
სხვა	0.3%	0.2%	0.6%	0.1%	0.4%	0.3%
არ ვიცი	7.7%	3.1%	9.7%	13.7%	4.4%	9.1%

რესპონდენტთა მხოლოდ 9%-ს სურს დახმარება დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე მათი ქონების გაყიდვაში, ხოლო 53.9% არ სურს ამგვარი დახმარება. რესპონდენტთა ჯგუფებს შორის განსხვავებები უმნიშვნელოა (იხ. ცხრილი №6.3გ).

45 ერთზე მეტი პასუხი.

ცხრილი № 6.3გ საკუთრების გაყიდვა დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას

გსურთ თუ არა დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას საკუთრების (სახლი/ ბინა/ მიწის ნაკვეთი) გაყიდვაში დახმარება?	სულ	2008 წლის კონფლიქტის დროს გადაადგილებული	სამხრეთ ოსეთი	აფხაზეთი		
				აფხაზეთი (გალის გარდა)	გალის რაიონი	სულ აფხაზეთი
დიახ	9.0%	9.2%	9.4%	11.3%	6.0%	8.6%
არა	53.9%	52.5%	53.7%	54.5%	54.7%	54.6%
არ მსურს/ არ შემიძლია გაყიდვა	29.2%	29.9%	27.0%	26.2%	33.8%	30.0%
არ ვიცი	7.9%	8.4%	9.9%	8.0%	5.5%	6.8%
სულ	100%	100%	100%	100%	100%	100%

რესპონდენტთა ნახევარზე მეტი გადაადგილების შემდეგ არ ჩასულა დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას. ამას აღნიშნავს აფხაზეთიდან (გალის გარდა) იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი უმრავლესობა (81.9%) და 2008 წელს გადაადგილებული პირები (60.9%). დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე ყველაზე ხშირად ჩასვლას აღნიშნავს რესპონდენტთა ორი ჯგუფი, ესენია: დევნილები გალიდან და 2008 წელს იძულებით გადაადგილებული პირები (იხ. ცხრილი №6.3დ).


ცხრილი №6.3დ დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე ბოლო ჩასვლის თარიღი

ბოლოს როდის იყავით დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას?	სულ	2008 წლის კონფლიქტის დროს გადაადგილებული	სამხრეთ ოსეთი	აფხაზეთი		
				აფხაზეთი (გალის გარდა)	გალის რაიონი	სულ აფხაზეთი
1990-1995	5.8%	0.0%	8.8%	10.1%	4.4%	7.3%
1996-2003	3.8%	0.4%	8.8%	1.8%	4.4%	3.1%
2004-2008	11.1%	5.1%	27.3%	1.2%	10.9%	6.1%
2009-2013	13.0%	20.4%	4.7%	2.0%	25.0%	13.5%
2014	9.2%	12.5%	1.5%	1.0%	21.7%	11.4%
არ ვყოფილვარ მას შემდეგ, რაც გავხდი დევნილი	55.7%	60.9%	47.8%	81.9%	32.2%	57.0%
უარი პასუხზე	0.3%	0.4%	-	0.7%	0.2%	0.5%
არ ვიცი	1.1%	0.3%	1.1%	1.3%	1.2%	1.1%
სულ	100%	100%	100%	100%	100%	100%


იძულებით გადაადგილებულ პირთა 21.4%-მა განაცხადა, რომ ნამყოფია დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ძირითადად სახლის/ბინის, საფლავეების, მეგობრების, ნათესავების და ოჯახის წევრების მოსანახულებლად, ან ქორწილებში, დასაფლავებაზე, რაიმე დღესასწაულზე დასასწრებად და შვეებულების, არდადეგების გასატარებლად (იხ. დიაგრამა №6.3ბ).

**დაბრუნებულხართ თუ არა ნებაყოფლობით, გარკვეული პერიოდით, დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილზე ბოლო 5 წლის განმავლობაში?**

დიაგრამა №6.3ბ



**რა მიზნით მოინახულეთ დევნილობამდე საცხოვრებელი ადგილი?**



